მაგრამ გაბედული ძიება მაინც გვინდა! ჩვენი მხატვრები შეძლებენ უნდა მიჰყვნენ ნოვატორულ სულის თქმას, მაგრამ მხოლოდ იმით, რომ ახალი ცხოვრების ახალი იდეები მკაფიოდ და ხატოვნად გადმოცენ. ამისათვის მხატვარს თვალში თარაზო უნდა ედგას და გულში ღარი ეყიდოს, რომ აღვიღა ვაჩრახოს დოგმატიკოსის ჯუჯღუნიც და ფორმალისტის ლაქლაქიც.

არც იმათ უნდა დაუყვავოთ, ვინც სოციალისტურ შინაარსს ეროვნულ ფორმას აცლის. საბჭოთა ხალხების ხელოვნება წელში ისე გაიმართა, რომ ახლა ძნელია გარჩევა, — ვინ ხნიერი და მდიდარია, ვინ მოზარდი და ღარიბი. მომავლის კომუნისტური კულტურა — აი მიზანი. მაგრამ, ნურას უყვარავად, იმათ, ვისაც ჰგონიათ, რომ ზვალნიდელ კომუნისტური ხელოვნების მერას კომსოპოლიტი მხედარი შევაზმავს. ხალხის ხელოვნების ნიველირების ფულგებს ღეინ ი აზრის აძლევდა. ნაციონალურმა მრავალფეროვნებამ უნდა შექმნას ერთობლივი კომუნისტური კულტურა, ამას ქადაგებს პარტიის ახალი პროგრამა, — ცხოვრების მხატვრული ასახვის გაბედული ნოვატორობა მსოფლიო კულტურის პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებას გულისხმობს. მსოფლიო პროგრესულ ტრადიციებს კი ხალხები ქმნიან. ამიტომ ხალხების ეროვნულ ხელოვნებას არც ფერი უნდა დაეუკარგოთ და არც არმოძალ. სხვაგვარად, ჩვენი დიდად სოციალისტური სამშობლოს ხელოვნება დაფარსულ ერთიან მწკნენ მიხდვრად გადაიქცევა და საკულდაგულო უყვავილობა მომიზიბვლელ სილამაზესაც წაართმევს და მომავალბედულ სურნელსაც გადაცლის.

მხატვრებს ეს კარგად ესმით და ამიტომაც ასე შეწყობილად ამღერებენ საერთო საბჭოური ფერების მელდიას საკურობო გამომყენაზე მოსკოვში, რომელიც პარტიის XXII ყრილობას მიეძღვნა.

კიდევ რა დავერნა გასაკეთებელი? ის, რომ მუშისა და კოლმუშრნის ოჯახში ეყიდოს საბჭოური მხატვრის ნაწარმოებში, არც საზოგადოებრივი დაწესებულებები იყოს „შელამაზებელი“ ერთი მხატვრისა და ერთი თემის მილიონობით ჩამოხედილი და რკინიგზის ვაგონებით შემოზიდული მხატვრული ასლები. ქართველი მუშა და კოლმუშრე თავის სახლშიც უნდა უყურებდეს მშობლიური ხალხის ცხოვრებიდან აღებულ ფერწერულ სურათებს. და იგი მათ ისეთივე თავყანისცემით აღიქვამს, როგორც ჩვენი გამოჩენილი მწერლების რომანებსა და ლექსებს. განა ბევრს უკვირია შოთას, ილიას და



მ. ემსა ბაქოს 26 კომისრის ხსოვნისადმი მოძღვნილი მედალიონი

აკაკის ფერწერული პორტრეტები, ბეერის ბინას თუ ამშვენებს ჩვენი თანამედროვე გმირის და რაინდი წინაპრების ცხოვრებისა და ბრძოლის აღმწერი ტილოები, რომელთა ხილვით თვით თანამედროვეობასაც კი მეტი პატივი დაეძება?

ამის მიღწევა კი სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების გამოცემის მოგვარებით შეიძლება. ეს საქმე არც ისე მეორეხარისხოვანია, როგორც ზოგიერთი გამომცემელს ჰგონია.

არც იმაში ვგუთქმის — ბარაკალა, რომ ჩვენი სახვითი ხელოვნების სვებედზე ასე ძუნწად ვწერთ ქართულ საბჭოურ პრესაში. რაკი პრესის კარი ღიაა, საქმის სახვალით დაედება არ უნდა გავამშვიდებდეს. კრიტიკა და ხელოვნებათმცოდნეობა თანმიმდევრულად უნდა აჩვენებდეს ქართული საბჭოური სახვითი ხელოვნების განვითარებას, რომელიც დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე სამი წლის წინათ იყო და ხველ უფრო სისხლსავე და მრავალფეროვანი იქნება, ვიდრე დღეს არის.

ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაციაში დიდი როლი შეუძლია შესარულოს საეციალიზებულმა გამოცემებმა. მოსკოვმა ჯერ კიდევ სამი წლის წინათ გვიჩინა, შეგვექმნა სამხატვრო ფონდთან ისეთი გამოცემლობა, რომელიც მოსახლეობას მისწავლად ფერად რეპროდუქციებს, ალბომებს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ ვერ მოგვარდა ამ ფრიად საჭირო საქმის ფეხზე დაყენება. ზოგიერთებმა მხატვართა გამოცემლობის არსებობა მიზანშეუწონად ჩათვალეს და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული პატარა გამოცემლობა „ხელოვნების“ დახურვაც კი გაიფიქრეს. ნუ გვაიწყვდება, რომ თეატრალური საზოგადოების ათკაცობანა გამოცემლობა „ხელოვნებამ“ ათჯერ უფრო მეტი საქმე გააკეთა ქართული სახვითი ხელოვნებისათვის ამ სამი წლის მანძილზე, ვიდრე ჰუთასაკაცობანა სუთმა სახლმთიფო გამოცემლობამ. და ახლა იმისათვის, რომ დიდი გამოცემლობების უხეირო მუშაობა თვალში არ გვეცხოს, კარგად მომუშავე ამ პატარა გამოცემლობას რას ვერჩით!

ეს აზრი მცდარი და საქმისათვის საზარელია. პირიქით,



უნაა შექმნას მხატვართა ასეთივე გამომცემლობა, როგორც განაჩინათ თეატრალურ, მუსიკოსებს, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში, და ამ გამომცემლობას უნდა ეწოდოს „ქართველი მხატვარი“.

მხატვართა რეპროდუქციის მასაში გაჩანას ხელს შეუწყობს სახიფათო ხილოვნების ხალხთან კავშირის, მასების ესთეტიკური გემოვნების ამაღლებას.

ამასთან ოპაპშირებით. საჭიროა გაააზროთ იმ უმარობილო დამოკიდებულებას, რომელსაც იჩენენ გამომცემლობები ხელოვნებათმცოდნეთა მიმართ. ცნობილია, რომ ქართული ხელოვნებაზე და მათ შორის სახიფათო ხილოვნებაზე, მონოგრაფიის შერქმნა და კავშირბურობა იმდენად უნდა მოქმედებდეს-ორგანიზაციულ ხარჯებთან. მანამდე უნდა დაშვაოოს რამდენიმე ათეული ფურადი და შვეი რეპროდუქცია, სანამ წიგნს განასახილავდა მიიღებს გამომცემლობა. ამის გაკეთება კი ავტორს არ ძალუბს. თავის მხრივ გამომცემლობა უარს აცხადებს ავტორთან ხელშეკრულების დადებამდე. ამის შედეგად, სახიფათო ხელოვნების ილუსტრირებული ფურადი ალბომებისა და მონოგრაფიების გამოცემა განუზონცილებელი რჩება. აკლუკურის სამინისტრომ უნდა გადახედოს ამ მცირად პრაქტიკას და მხატვართა ფურადი რეპროდუქციის ალბომის, ან მონოგრაფიის მომზადებში აწინიერი წინსვარი ფინანსური მინარვილობა მიაღებინოს გამომცემლობას.

დროა, მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებზე იზრუნოს ყველა სახელმწიფო გამომცემლობაში, „საბჭოთა საქართველოში“ და „ნაკადუს“ და ააგრეული ჰყავს საბავშუო წიგნების გაფორმებაზე ქართველ მხატვართა საგრძნობი ნაწილი, მისაბამი იქნება, თუ „ნაკადუსში“ დირექტორი პოეტის ზურაბ ბერუღავა ისეთივე სიყვარულით მოეცემა ქართველ მხატვართა ნაწარმოებების ფურად გამოცემას, როგორც აქვდა და ახალ ქართულ მწერლობას. მისწავლე თათბარ მათა ძალადა კმაყოფილი დარჩება და ლექსთან და პროზასთან ერთად ფურადი ილუსტრაციებიც კიდევ უფრო დააგეზმარება ახალი თაობის ესთეტიკური გემოვნების ამაღლებამ.

საჭიროა უფრო ხშირად მოეწყოს ქართველ მხატვართა მოძრაი გამოფენები კინოთეატრების ფიფიებში, სადაც აბიბათსებით მაყურებელი გაეცნობა სპეციალურად შერჩეულ ექსპოზიციას.

ხელოვნებათმცოდნეობისა და კრიტიკის სიქციაში შემდეგ-წელი უნდა მოაგაროს მსხვილ თარბიკა-ქარხნებში და სასწავლო დაწესებულებებში დისკუსიების მოწყობის საქმე. ხომ ცუთ 30-ან წლებში ფართოდ გაფრცილებული ე. წ. „ლიტერატურული კასამართლობების“ პრაქტიკა, როცა ახალგაზრდობა მასობრივად მონარობობდა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების გმირების მოქმედების განხილვებში. ჩვენ არ ვფიქრობთ რომინი მხატვრის „გასამართლებას“, მაგრამ მისი ნამუშევრების საჯაროდ განხილვა კი დიდ სარგებლობას მოუტარბა მხატვართა და ხალხსაც. ამის გაკეთება საჭიროა, განსაკუთრებით რაიონებში. დისკუსიებში მონარობობა უნდა მიიღონ არა მარტო კრიტიკოსებმა, არამედ მხატვრებმაც. და არ არს იქები, რომ ამ საქმეში ცხოვლი დახმარებას გაევიწყოს მწერლობა კავშირი, მისი მითხრები იმ კალ და ბაბიბი და ბეხარიონ შექნები, რომლებიც თვითონ არიან მომწიფრნი და მითავენი არა ერთი ასეთი ლიტერატურული გასამართლები და დისკუსიისა.

ახალგაზრდობას ასარებს ცოცხალი მხატვრის ნახვა. ნუ დავევრავთ მხატვრისადმი ამ დიდი სიყვარულის გრძნობას, მივიდეთ მათთან, დავეხმაროთ, ხელი შევეწყობთ ახალგაზრდობის სწორად აღზრდის საპატიო საქმეს.

და ისევ ახალგაზრდობაზე. ჩვენი კრიტიკა გზის გამკვლევა შემოქმედების გზაზე გამოსული ახალგაზრდობისათვის. დაუშვებელია, თუ უხერი რჩევებს მივცემი, მოზობელი ნიადაგს მოეწყვეტო, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია ისიც, როცა მათ შემოქმედებით ძიებას თავიდანვე ამრეზილი გზდებით.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუცა წლის შემდეგ კომინიზმის კარს სწორად ის ახალგაზრდობა შეადგენს, რომელსაც ახლა, ზოგჯერ, უმართებლად ვტკუვსავთ. ჩვენი იმედი ახალგაზრდობაა. ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ, გინიერად მოვუქცეთ და მოზობილურად დავაროვთ.

უკანასკნელ ხანებში სრულიად გაქრა ჩვენი საგამოფენო ექსპანიციონელ პაკრიტული თემა, ჯარისკაცის თემა. ჩვენი ცხოვრების ამ მხარეს ნაკლები უზრადღება ექცევა როგორც მწერლობაში, ისე მხატვრობაში. უნდა დაუბრუნოთ პაკრიტულ თედაცვლით თემას ძველი რომანტიკა. ეს იქნება ჩვენი ახალგაზრდობის სწორად აღზრდის კიდევ ერთი გზა, რომელსაც შემოქმედებითადა უნდა გააყვეს მხატვართა დიდი და ნიჭიერი კოლექტივი.

მოსხენების ირგვლივ დაიწყო გაცხოველებული კამათი, რომლის მინარვილნი ლაპარაკობდნენ საქართველოს მხატვართა წარმატებებზე, ამოცანებზე და ნაკლოვანებებზე, სახიფათო ხელოვნების მუშების მიერ ცხოვრებისათან კავშირის განმკრიებაზე.

ჩვენმა მხატვრობა, — განაცხადა ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ მოქმედა ე. მ. ი. ხ. ა. ნ. დ. რ. მ. — საანგრიზო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს. პირველი გამოფენა მოვაწყეთ დ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ფიფიში, რომელმაც დიდად გააღვივა ქუთაისელთა ინტერესი ადგილობრივი მხატვრებისადმი. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოფენა მოეწყო საავტობიბოლ ქარხნის შენობაშიც. რბადიციად იქცა ქარხნის თეშებთან მხატვართა შესველები.

ქუთაისში მოეწყო მოსკოველ თანამედროვე მხატვართა გამოფენა, აგრეთვე საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპონატებისა და გიგო გამაშვილის ნაწარმოებთა საინტერესო გამოფენა.

გ. მიხანდარმა მოიყვანა ქუთაისელ მხატვართა შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესების სათაფი მაგალითები. გასულ წელს მხატვრებმა მიიღეს ორი ავტობიბოლური სახელისონი, მიმდინარე წლის დასაწყისში კიდევ ორი სახელონსონი, ხოლო პირველი კვარტალის ბოლოს მხატვრებმა დაეცემათ დამატებითი ოთხი ათეული სახელონსონი, სულ კი ჩაბარებენ 14 სახელონსონს. ყოველივე ეს არის პარტის ქუთაისის კომიტეტის მხრიდან მხატვრობისადმი დიდი ყურადღების შედეგი.

მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ შ. თ. ა. ხ. ო. ჯ. ა. შ. ვ. ი. მ. ა. ი. ლაპარაკა აჭარელ მხატვართა მინარვილობაზე მოსახლეობის ესთეტიკურ აღზრდაში. 1960 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყათში გადამსა საქართველოს რესპუბლიკაში პირველი საკოლმურენო გალერეა-მუზეუმი, სადაც მხატვრებმა კოლმურენებს გადასცეს 55-დე ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, დგორაციული ხელოვნებისა და კინამიკის მხატვრული ნაწარმოები.



ნ. შალივაშვილი

კახეთი, საკლმეურნეო პეიზაჟი



მუშეუმი ბევრ მნახველს იზიდავს. უცხოელი ტურისტები დიდი ინტერესით ათვალიერებენ გამოფენას.

სოლუაშივიმ დააყენა აჭარის რაიონებში მოძრავი გამოფენების მოწყობის საკითხი, აგრეთვე მოითხოვა თბილისიდან ხელმწიფეთამოქმედება და კრიტიკოსთა სწრაფი ჩასვლა. მან აღნიშნა, რომ ბათუმში ნაკლები ყურადღება ექცევა მთავრობის გადაწყვეტილებას. შესრულებას, რათა მხატვრების სასაუბროს ამენდეს ტიპიური ინდივიდუალური სახელოსნოები.

ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისათვის მთელი ხალხის აღმავალი შემოქმედებითი ბრძოლის ვითარებაში. ცხინვალელი მხატვრებიც ორგანულად არიან ჩამბუნლი კომუნისტური შემოქმედების ამ დიდ ფერხვლიში, — განაცხადა სამხრეთოსონების განყოფილების თავმჯდომარემ ნ. კაპისოვმა. გაიხარდა მხატვართა რაოდენობა, ამაღლდა მათი პროფესიული ოსტატობა, სულ უფრო მეტი ოსი მხატვარი მონაწილეობს რესპუბლიკურ გამოფენებზე.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა მოღვაწემ ბორის სანაკოევმა შექმნა რიგი თემატური სურათებისა, რომელთა ნაწილი მოსკოვში გამართულ გამოფენებზეც წაიღეს. წარმატებით გამოვიდა მხატვრებიც — ქოქოევი, დოლუზოვი, ნეკერიშვილი, კოტაევი და სხვები.

კაპისოვმა მოითხოვა, რომ შემდგომში მხატვართა კავშირში და კულტურის სამინისტრომ მეტი ყურადღება მიექციონ სამხრეთ-ოსეთის განყოფილებას, როგორც საგანოფენო ღონისძიებების ჩატარებაში, ისე შემოქმედებითი დავალებების განაწილებაში.

მხატვარმა რუსულან ჯაგერშივილმა აღნიშნა ელენე ასველდიანის თაოსნობით შექმნილ მხატვარ ქალთა ბრიგადის ნაყოფიერი ინიციატივა, რომელმაც დიდად სასარგებლო მუშაობა ჩაატარა. ამ ჯგუფის ძირითადი ბირთვი 15 მხატვრისადაც შედგება. ბრიგადის მიზანია ცხოვრების ახლის გაცნობა, შრომის მოწინავე ადამიანების პორტრეტების შექმნა, ვარდაქმნილი სოციალისტური ქვეყნის პეიზაჟის ასახვა. ამ ბრიგადის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი 1961 წლის მარტში მოხდა. ორი თვის მუშაობის შედეგად მოწიფი გამოფენა „თბილისი და მისი მიდამოები“, სოკო ნოვოდენილი იყო ეტიკაობა და დამთავრებული სურათები. ბრიგადამ იმოგზაურა კაქეთსა და გურიაში და მოაწიფი მეორე გამოფენაც. მიუხედავად ასეთი ინტენსიური მუშაობისა, მხატვართა კავშირმა და კულტურის სამინისტრომ რაგიოთარი მონაწილეობა არ მიიღეს არც ბრიგადის შემოქმედების მოგზაურობაში, არც გამოფენების მოწყობის ძნელ საქმეში.

სიტყვით გამოსულმა კორნელი სანაძემ ილაპარაკა რესპუბლიკური საგანოფენო კომიტეტის მუშაობაზე და კანონიერი უმთავრესობა გაითქვა, რომ მისი ნამუშევრებიდან არნიკული არ იყო არც ერთი ისეთი ნაწარმოები, რომლის გამოიტანა სასოგადოების წინაშე განართლებული იქნებოდა. შეიძლება მოხდეს, რომ ხელმწიფრებით წარმოდგენილი ნაწარმოები სუსტი გამოვიდეს, მაგრამ თუ მხატვარი სიბავრობს სხვა უკეთესს, საგანოფენო კომიტეტმა უარი არ უნდა თქვას.

სანაძემ დააყენა მხატვართა კლუბის, სამხატვრო აკადემიის შენობისა და აგრეთვე სპეციალიზებული გამოფენების ობიექტების საკითხები. ეს გამოიმკმელობა კომიუნიზმის

მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციების და ფართოდ გასაშვების მასხვს ფერწერისა და ქანდაკების საუკეთესო ნიმუშებს.

მხატვარი ა. ხელაძე შეეხი საგანოფენო კომიტეტის მუშაობის გარდაქმნის საკითხს. მისი აზრით, საგანოფენო კომიტეტს მხატვართა საერთო კრება უნდა ირჩევდეს და შემდეგ ამტკიცებდეს კულტურის სამინისტრო. მხატვრებთან ხელშეკრულებით მუშაობის პრაქტიკასთან დაკავშირებით ა. ხელაძემ განაცხადა: მას შესახებ ორი აზრი არსებობს: მხატვართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ხელმწიფრებების პრაქტიკა უნდა გაუქმდეს, რადგან ასეთი ფორმა თავისთავად საგანოფენო კომიტეტს დათმობაზე წასვლას უბიძგებს, აიძულებს მას მიიღოს ნაკლებად მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული ხარისხზე გაწეულია. მხატვართა ნაწილი მომზავი ასეთი ხელმწიფრულებების. ეს საკითხი მოითხოვს შესწავლას. მაგრამ ახლავე შეიძლება იმის მიზეზა, რომ ნაწილი თანხისა გაღებულ დენას ხელმწიფრულებით წარმოდგენილი ნაწარმოებების დასაფარად, მეორე ნაწილი კი შეძენილი იქნეს ნებისმიერ წარმოდგენილიდან საუკეთესო ნამუშევრები.

სიტყვას იღებს სახალხო მხატვარი ლალა გუდიაშვილი. იგი აღნიშნავს ქართულ მხატვართა წარმატებებს. მაგრამ გამოთქვამს მოსახურებას, რომ ფერწერაში და ქანდაკებაში ადვილად აქვს გაუგებრობები. ქანდაკების ფორმისა და შინაარსის განურჩევად ზღბნა მისი პატირიება დასახსვა ფერთი, რაც არქულ და გათხრებში ნაპოვ ძველ ბერძნულ და რომულ სამუშეუმი ქანდაკებებს მოგავსონებს.

მხატვარმა აღნიშნა ალ. ციკაბერიძის, დავით კაკაბაძის, ელენე ასველდიანის, ქეთევან მადალაშვილის, ევატორინე ბაღდაძის, ნათელა იანჭოშვილის, მიხეილ ჩიქოვანის, ლევან ცუციქოშვილის და სხვათა პერსონალური გამოფენები, რომლებზეც გამოიღინდა ავტორთა ინდივიდუალური სახე, მაღალი ოსტატობა, მათი შემოქმედების ერთეული თვისებები, ფერწერის კულტურა და გემოვნების სინატიფე. ამ გამოფენის მონაწილეობა ასწიეს ქართული სახვითი ხელოვნების მხატვრული დონე.

მოქალაქე მერაბ ბერძენიშვილმა თავისი სიტყვა მიუძღვნა ქანდაკების სპეციოფიკისა და ძეგლების დიდების საკითხს. მან მწკვივედ გაილაშქრა ისეთი ავტორების წინააღმდეგ, რომლებიც ქანდაკებას აძლევენ წმინდა გამოყენებით ფუნქციას და აცლიან ესთეტიკური ზეგავლენის ძალას თუ მხატვრული გადაწყვეტა საჭირო არ არის, რატომ ვდგამთ ძეგლებს და არ ვკვიდებთ აბრებს, რომლებზედაც დაწერილია მათი იქნება ჩამოთვლილი იმ პიროვნების თვისებები, ვისი ძეგლი უნდა ყოფილიყო დადგეილი. ქანდაკებას უნდა ჰქონდეს მხატვრული ფორმა. ქალკუმი უნდა იდგეიობდეს მაღალმხატვრული ქანდაკება, რომელიც საუკუნეებს გაუტლებს. არ უნდა ვერდებოდეთ ფორმის სიახლეს. მაგრამ ამაყუთ ცოტას ვმსჯელობთ, არასაკმარისად ვგავითობთ, არ ვწყობთ დებსულებს, არ გწერთ: მ ბერძენიშვილმა სინაწული აღნიშნა, რომ დღემდე თბილისში დადგეილი არ არის ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, დავით გურამიშვილის, ზაქარია ფილაშვილისა და თბილისის დამარსებლის ვახტანგ გორგასალის — ძეგლები.

მ. ბერძენიშვილმა ილაპარაკა ქანდაკებისა და ფერადი სხმულების ქართანაზე, რომელიც ფაქტიურად დახურულია. ეს კი მოქალაქეთათვის დიდ სიძნელებს ჩქნის.



ა. გიგოლაშვილი

სამუშაოდან დაბრუნება

ხელოვნებამცოდნე გულნარაჯაფარიძემ სწორად არ მიიჩნია, რომ მოხსენებებში არაფერი იყო ნათქვამი ისეთ ნიჭიერ ფერმწერლებზე და გრაფიკოსებზე, როგორიც არიან ნადარეიშვილი, გრიგოლია, მირზაშვილი, ბანძელაძე. მან გააკრიტიკა საგამოფენო კომიტეტის მუშაობა. აღნიშნა, რომ სტუმრად ჩამოსული მოსკოველი მოქანდაკე კერბელის აზრი ელ. ამაშუკელის „ქართულის დედაზე“, როგორც თვით კერბელს განუცხადებია, დამახინჯებულად დაიბეჭდა გაზეთში.

მოქანდაკე გიორგი ოჩიაურმა ილაპარაკა თეორიული საკითხებისათვის თავის არიდების მავალთებზე. მოუწოდა, რომ შემდეგში გაბედულად და თანმიმდევრულად მოეწოს დისკუსიები ისეთ საკითხებზე, როგორც არის თემისა და მხატვრული მემკვიდრეობის ათვისების პრობლემა. თეორიული დისკუსია მრავალ მოვლენას მოჰყვანს ნათელს. ჩვენ ვთვლით, — განაცხადა გ. ოჩიაურმა, — რომ პოზიცია, რომელიც გმობს სხვა ერების მხატვრული ტრადიციების შესწავლით ეროვნულის გამიდრინებას, კონსერვატორულია და დროა გადისინჯოს. იაკობ ნიკოლაძემ ღრმად შესისწავლა როდენის მემკვიდრეობა. ნიკოლოზ კანდელაკმა შემოქმედებითად განავითარა მატევეის პლასტიკური კონცეფციები. ლადო გუდაშვილი ქართულ ფრესკასთან ერთად აღმოსავლური ფერწერის საწყისებსაც უჩიარა. მისე თითქმე და

ალექსანდრე ციმაკურიძემ რუსული ხელოვნების ცხოველმყოფელი გავლენა განიცადა. ელენე ასვლედიანმა და დავით კაკაბაძემ ფრანგული ხელოვნების ღრმა შესწავლით გაამდიდრეს პალიტრა. ყველა მათგანმა ნაციონალური ქართული ხელოვნების შექმნაში შეიტანა ფასდაუდებელი წვლილი, მრავალფეროვანი გახადა ჩვენი ეროვნული ხელოვნება.

ვერ წარმომიდგენია, ჭეშმარიტებაზე ვილაპარაკოთ და იგი მხოლოდ აწმყოს თვალსაზრისით გაგაშუქოთ, რადგან აწმყო არ არსებობს წარსულისა და მომავლის გარეშე. — განაცხადა მხატვარმა ჯიბსონ ხუნდაძემ. მისსალომებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი კავშირის უფროსი თაობის ნიჭიერ წარმომადგენლებს გვერდში ამოუდგა ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მთელი არმია საიმედო ნიჭიერი ახალგაზრდებისა. მათ საქმით დაამტკიცეს, და ამას აღნიშნავს ჩვენი პრესაც, რომ ყველა გამოფენაზე ძირითადად მონაწილეობდნენ ახალგაზრდები. ამასთან დაგავშირებით, ჯ. ხუნდაძე ლაპარაკობს საგამოფენო კომიტეტის განახლების საჭიროებაზე, კრიტიკის სექციის წევრთა მიერ მტერი პრინციპულობის გამოჩენის აუცილებლობაზე, ნაწარმოებთა შეფასებისას კრიტიკულად ღრმა იდეურობისა და მაღალმხატვრულობის აღიარებაზე.

მოქანდაკე მორის თალაკვაძემ ილაპარაკა იმ ნაკლოვან მხარეებზე, რომელიც ასასიათებს ბევრ მხატვარს.



აგრეთვე წამოაყენა თბილისში დასადგმელი მინუმენტების მაღალი პროექსიული ოსტატობით შესრულების მოთხოვნა, სახი გაუსუა იმას, რომ ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ლენინისეული მინუმენტური პროპაგანდის ფართოდ გაშლას.

ედუნდ კალანდაძე, შეგონ ფერწერის სექციის განვლილ მუშაობას, აღნიშნა, რომ ბევრი რამ სექციის გაუკეთებელი დარჩა. მან გააკრიტიკა მხატვართა კავშირის კრიტიკისა და ხელოვნებისმცოდნეობის სექციის მუშაობა, რომლის წევრებმაც საკმარისად ვერ წარამართეს პრობლემატურ-თეორიული საკითხების განხილვა, არ მიიღეს აქტიური მონაწილეობა მხატვართა გამოფენების შეფასებაში, ნაკლებად გამოიღონენ პრესაში. ე. კალანდაძემ დააყენა თბილისში კეთილმოწყობილი საგამოფენო დარბაზის აგების საკითხი.

სიტყვით გამოვიდა მხატვარი ელენე ახვლედიანი, რომელმაც გულთბილად აღნიშნა მოძმე სიმებისა და აზერბაიჯანელი მხატვრების მეგობრული დამოკიდებულება ქართველი მხატვრების მიმართ. ილაპარაკა იმ დიდ ყურადღებასა და ინტერესზე, რომელიც გამოიჩინეს ერევნისა და ბაქოს მცხოვრებლებმა საქართველოდან ჩატანილი საიუბილეო და პერსონალური გამოფენებისადმი, კერძოდ — მისი გამოფენებისადმი. — „და აი, მე მინდა ვისარგებლო ამ ტრიბუნით და მადლობა გადავუხადო ამ მყოფ სიმებს და აზერბაიჯანელ აშხანაგებს, იმ სიტობსა და ალერსისათვის, რომელიც მაჩვენეს მეც და ამ გამოფენაზე ჩამოსულ ჩემს აშხანაგებსაც“. — დაამთავრა თავისი გამოსვლა ე. ახვლედიანმა.

ელენე ახვლედიანი ყრბობის ყურადღება გამახვილა მხატვრული ნაწარმოების იდეურობისა და შესრულების ოსტატობაზე. მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას ძნელია ადამიანი ენდოს მხოლოდ თავის გუჟანს. არ შეიძლება ერთი მოსმენით სიმფონიის სრულყოფილად შეგრძნობა, ძნელია ერთი დანახვით ხელალებით მსჯერის გამოტანა. ზოგიერთი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე მხატვრულ ოსტატობას აიგივებს ხელოსნობასთან და, მათი აზრით, ოსტატობა იწყება იქ, სადაც იწყება კეთება, ნაწარმოების შესრულება. უკეთეს შემთხვევაში ფერწერაში იხილავენ კომპოზიციას, ნახატს, კოლორიტს. ქანდაკებაში კი — კომპოზიციას, კონსტრუქციას, მოცულობას, პლასტიკას და რატომღაც არ იღებენ მხედველობაში, რომ ყველა ეს ჩამოთვლილი ხერხი, მართლაც, ოსტატობის აუცილებელი თვისებებია, მაგრამ არა საკმარისი, თუ ეს საშუალებები არ ემორჩილება მხატვრის განცდას, აზრს, მის მხატვრულ იდეას, მხატვრის მიერ გარემოს თავისებური აღქმის, გააზრების გადმოცემას, რომელიც მხატვრული ნაწარმოების რაღაც განუმეორებელ, ინდივიდუალურ, მხოლოდ ერთი გარკვეული ოსტატობის დამახასიათებელ თვისებას ანიჭებს. ლაპარაკობენ ოსტატობაზე, ოსტატობის ამაღლებების საჭიროებაზე, მაგრამ, როგორც კი ჩნდება ნაწარმოები, რომელიც არ გავს წინამორბედის ნამუშევარს, რომელშიც ოდნავ მაინც გამოსჭვივის შემოქმედის ინდივიდუალური დამოკიდებულება, მხატვარს ოსტატობას უწუნებენ.

ელენე ახვლედიანი შემდგომ ილაპარაკა თბილისში ჩატარებულ კონკურსებზე, რომელთა შედეგებს განხორციელება სჭირდება. რატომღაც ბოლომდის არ არის მიყვანილი კონკურსები პროექტებისა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლისათვის, ზაქარია ფალიაშვილის და მთავრობის სასახლის წინ დასადგმელი ძეგლების კონკურსში, სადაც წარმოდგენილი იყო

უთერ კაკაბაძის, ბეკარ ყაზაიშვილის და სხვათა მიერ შექმნილი არა ერთი კარგი პროექტი. უნდა გვახსოვდეს, რომ ქანდაკებები ყინულისაგან არ კეთდება და ყინულთან ერთად გახაფუფლავ არ დნება. ქანდაკება კეთდება მუდმივ მასალაში — ქვასში, გრანიტში, ბრინჯაოში და მათს ავსარგანობაზე ყოველი ჩვენგანი აგებს პასუხს მომავლის წინაშე.

ხელოვნებათმცოდნე მამია დუღუკაძემ აღნიშნა, რომ სოციალისტური საზოგადოების შენების აღრიწმულ პერიოდში ჩვენს ხელოვნებაში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა თემებს და იდეებს. და ეს კანონზომიერი მოვლენა იყო. ხელოვნება, რომელიც ახლად იმადება, პირველყოფილს, იმადება ახალი თემებისა და იდეების სახით და შემდგომ უკვე მადლდება მათს კლასიკურ გამოვლენამდე. ეს ბრძოლა საჭი-

უ. ჯაფარიძე
მოწინავე მეფოლადის ზარბიძის
პორტრეტი





რო იყო იმისათვის, რომ ჩვენს ხელოვნებაში დამკვიდრებულიყო რევოლუციისა და სოციალიზმის იდეები. შემდეგ კი, როცა ეს პროცესი დამთავრდა, ჩვენი ხელოვნების წინაშე დადგა საკითხი დიდი ფორმების შექმნისა. ახლა უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა, ესა თუ ის ნაწარმოები ხელოვნების ქმნილება.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ ფოფხაძემ აღნიშნა ის შეუწელებელი ინტერესი, რაც გამოიჩინეს ყრილობის დელეგატებმა დასმული საკითხებისადმი. თითქმის ყველა ორატორმა წამოაყენა გარკვეული წინადადებანი, რომლის განხორციელებაც გამოასწორებს საერთო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. კრიტიკა, მხატვართა კავშირის გაემეობისა და კულტურის სამინისტროს მისამართით, ძირითადად მართებულია. ამ ნაკლოვანებათა მოთმენა შემდეგში დაუშვებელია. მართალი იყვნენ ამხანაგები, როცა საყვედურობდნენ, რომ ბევრი საკითხი გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო მხატვართა კავშირში ან მათი რჩევით კულტურის სამინისტროში.

გრ. ფოფხაძემ ილაპარაკა არსებული ნაკლოვანებების დაძლევის გზებზე, აჩვენა მოწინავე მხატვრების ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების მაგალითები, კერძოდ ელენე ახვლედიანის მეთაურობით შექმნილი მხატვარ ქალთა ბრიგადის ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა დიდი შემოქმედებითი ნაყოფი მოსდევს საღვთის გაცვლას, სოციალისტური სოფლის, გარდაქმნილი ქართული ბუნების საკუთარი თვალთ დანახვასა და აღქმას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს. გ. მესხმა, სიღვანაკაბაძემ, კ. მახარაძემ, გ. თოთბაძემ, გ. გელაშვილმა, ზ. ლეჟავამ, მ. უშბაძემ, რ. შეროზიამ, გ. შირიშოვიძემ, დ. არსენიშვილმა, ბ. გორგაძემ, თ. თავაძემ, რ. ბოჭორიშვილმა.

ყრილობას მიესალმნენ ე. ფ. ბელაშოვა (მოსკოვი), კარატევი (ლენინგრადი), ლიტვინენკო (უკრაინა), მიქაელ აბდულაევი (აზერბაიჯანი), ბაგბეუქმელიქიანი (სომხეთი), ბოგდანასი (ლიტვა), ტომბერკვი (ესტონეთი), პარტიჰპანიანი (ლატვია), ვეიშანი (საკავშირო სამხატვრო აკადემია), არჩილ ქურდიანი (საქართველოს არქიტექტურთა კავშირი).

ყრილობაზე განაგრძო მოხსენებით გამოვიდა იორამ მაშალაძე (სარევიზო კომისიის თავმჯდომარე), აგრეთვე ს. კირაკოზოვი (სამხატვო კომისიის თავმჯდომარე). ყრილობის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დევისტურუამ, რომელმაც, შეაფასა რა ყრილობის ნაყოფიერი მუშაობა, აღნიშნა, რომ მხატვართა მიერ დაყენული ბევრი წინადადება დადებითად გადაწყდება, კერძოდ, მხატვართა კვლევის, სახვითი ხელოვნების რეპროდუქციების სპეციალიზებული გამოცემლობის შექმნის საკითხი.

ყრილობამ საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და დაამტკიცა სარევიზო კომისიის ანგარიში. არჩეული იქნა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობები, აგრეთვე საბჭოთა მხატვრების II სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.

ერთმანდ მიღებულ რეზოლუციაში ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატები ისახავენ ახალ შემოქმედებით გეგმებს, სიტყვას აძლევენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ კიდევ უფრო ააზღაურებს თავიანთი შემოქმედების იდეურ და მხატვრულ დონეს, აქტიურად შეუწყობენ ხელს კომუნიზმის ეპოქის კულტურის შექმნას, განამტკიცებენ ცხოვრებასთან კავშირს, იბრძობენ მშრომელი მასების ესოტეკური აღზრდისათვის.

საქართველოს მხატვართა V ყრილობის მონაწილე ქართველ მხატვართა ჯგუფი ჩამოსულ სტუმრებთან ერთად



ფუნჯით გამოძიებული ცოცხალი სახეები

ლეილა თაბუკაშვილი


ქართველ მხატვართა კოლექტივის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი უკვე ათეული წლებია ფართოდაა აღიარებული როგორც პორტრეტული ხელოვნების ოსტატი.

პორტრეტისტი ხელოვნება უაღრესად რთული და ფიქვი ხელოვნებაა. იგი დაკავშირებულია ადამიანის სასიათთან, მის სულთან, რაც აგრე რეგად ძნელი შესაცნობია. შეიგრძნო ადამიანი მთელი მისი შინაგანი არსით, დაინახო მასში მთავარი — ღრმა ალღოსა და განჭვრეტის განსაკუთრებულ უნარს, ცხოვრების გამოცდილებას მოითხოვს.

ეს თვისებები კი ქეთევან მაღალაშვილის ჯერ კიდევ სულ აღრინდელ ნაწარმოებებშიც თვალსაჩინოდ გამოვლინდა. მათში გაიხსნა ის შესაძლებლობანი, რომლებიც თანმიმდევრულად განვითარდა მხატვრის შემდგომ შემოქმედებითს ზრდასა და გამოცდილებასთან ერთად. ღრმა ანალიზის უნარი, რაც ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის უცილო საწინდარია, თავისებური ფერწერული ტექნიკა, სიმართლისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა — ეს ნიშნობები მხარეები სულ უფრო და უფრო სრულყოფილ გამოვლენას პოულობს მხატვრის ვრცელ შემოქმედებითს გზაზე. და რაც ყველაზე უფრო სასიხარულოა, მისი ბოლოდროინდელი ქმნილებები ამ მხრივ უმაღლეს ეტაპად წარმოვიდგება. ქეთევან მაღალაშვილის უახლესი ნაწარმოებები თვალსაჩინო მეტყველებენ მხატვრის ოსტატობის შემდგომ აღმაჯობაზე, ქვეყნობიტი პორტრეტული და პროფესიული დახელოვნების ახალ მწვერვალზე.

როცა ადარებთ თითქმის ოთხი ათეული წლის წინ შესრულებულ მის პორტრეტებს მთელი შემდგომი პერიოდებისა და ბოლოდროინდელ ქმნილებებს, არ შეიძლება არ შეინშნოთ, რომ ქეთევან მაღალაშვილი მწიფდება და ყალიბდება როგორც ფერწერა, იზრდება მის მიერ შექმნილ სახეთა ფსიქოლოგიური გამოხასხელობა.

მხატვრის მასვილ აღლოზე და შინაგანი სიმართლისაკენ სწრაფვაზე მეტყველებს ჯერ კიდევ ოციანი წლების ნაწარმოებები: პროფ. ა. მაცუგარიანის, ელ. ახვლედიანის, შ. შარაშიძის, დ. შვეარდნაძისა და სხვათა პორტრეტები. არავითარი გარეგნული ეფექტური ხერხები არ არის გამოყენებული მათში გამოსატყობი პიროვნების დასახასიათებლად. უბრალო და ბუნებრივი თავდაჭერა აქვთ მის მოდელს — თითქოს არა მხატვრის წინაშე, არამედ მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე არიან ეს ადამიანები, საკუთარ ფიქრებში გართუნი. ზუსტად იჭერს შემოქმედი ინტელექტის, ტექნიკაში მისი თუ პროფესიული ჩვევების იმ თავისებურებას, რაც ასე ახასიათებს ამ თუ იმ ადამიანის მოძრაობას. ამ მხრივ დიდი მხატვრული ძალითა და უშუალოდ გამორჩეული თუნდაც მხატვარ დიმიტრი შვეარდნაძის პორტრეტები. ამ მცირე ზომის ნამუშევარში მკვერდადვა გამოხატული მხატვარი. ოთხკუთხ, თითქმის კვადრატულ სასურათე სიმეტრეში თავისუფლადაა მოთავსებული სახე და მხრები. დინჯა და გამჭოლი მზერა, დაუძა-



ქ. მაღალაშვილი ავტოპორტრეტი

ბავი, უშუალო პოზა — ძალზე ცოცხლად წარმოგიდგენს ადამიანს.

თუ აღრინდელ ნაწარმოებებში მუქი და ჩანქრალი ფერები გართობს, თანდათანობით მხატვარი ილტვის მეტი სინათლისა და ფრთა ხშივრებისკენ, თუცა ძირითადად ინარუნებს თავშეკავებული და კეთილშობილური ფერადოვანი გადაწყვეტის პრინციპს. პორტრეტების საერთო კომპოზიცია და კოლორიტი მკაცრად ექვემდებარება ადამიანის სულსა და ხასიათის ჩვენების ამოცანას. ამასთან, ყველა მეორეხარისხის ვანი დეტალი, ნეიტრალური ფერადოვანი ლაქები, მთავარის წინ წამოწევისა და ხაზგასმის ემსახურება. სახეთა მკაფიო პორტრეტულ დახასიათებას მხატვრი აღწევს მკვეთრი პლასტიკური ხერხების გარეშე, შუქ-ჩრდილის, ფერწერული კონტრასტებისა და რაიმეს ხელოვნური ხაზგასმის გარეშე. ადამიანსაღმი დიდი ინტერესი და სიყარული განაპირობებს მხატვრული ამოცანების წარმატებით დასრულებას.

ქეთევან მაღალაშვილის ადინშული პროფესიული მხარეები მეტნაკლები სრულყოფილებით ვლინდება მივლ მის მდიდარ და ვრცელ მხატვრულ მემკვიდრეობაში. ქართველ საზოგადოებრიობას ახლასანს შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდ ერთ-ერთ თავმოყრულ ამ მემკვიდრეობას. თბილისის სურათების გალერეაში თითქმის სამ თვეს იყო ექსპონირებული სახალხო მხატვრის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც, რასაკვირველია, არა მთელი სისრულით, მაგრამ ძირითადად მაინც წარმოადგენდა მხატვრის შემოქმედებითს გზას. აქ შეხვდებით ტილოებს, რომლებიც არა მარტო მხატვართა და ხელოვნების მოყვარულთა შორის, არამედ საერთოდ დიდი აღიარებით სარგებლობენ საზოგადოების ფართო წრეებში. თამარ მეფის, ვერნიკ აზგაფარიძის, სვიატოსლავ რისტერის, ნატო ვანსაძის,



პოპინსტ სვიატოსლავ რიხტერის პორტრეტები

უმანგი ჩხეიძის, სოლომონ ვირსალაძის, მედეა ჯაფარიძის, სერგო ზაქარაძისა და სხვათა პორტრეტები დიდი ხანია ხალხის საყვარელ კმნილებებად იქცა.

ქეთევან მალალაშვილი 1894 წელს დაიბადა ქუთაისში. საშუალო განათლება თბილისში მიიღო. შეატყეს რა ნიჭი და დიდი გატაცება მხატვრობით, მშობლებმა 1911 წელს მიაბარეს თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, სადაც იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოძი და ოსკარ შმერლინგი ასწავლიდნენ. სამი წელი დაჰყო ქეთევანმა ამ სკოლაში. 1915 წლიდან კი იგი უკვე მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლის მოსწავლეა.

მოსკოვში გატარებულმა წლებმა საგრძობლად გაამდიდრეს ახალგაზრდა მხატვრის ცოდნა. განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა იგი შესანიშნავ რუსულ პორტრეტულ ფერწერას.

მაგრამ ქეთევანმა ვერ შესძლო დამეთავრებინა მოსკოვის სასწავლებელი. რევოლუციური კონტრახილის პერიოდში სამშობლოში დაბრუნებულმა, კვლარ მოახერხა უკან დაბრუნება სწავლის გასაგრძელებლად.

თბილისში მხატვარი იძულებული გახდა საარსებო წყარო ეძებნა და დროებით თავი დაენებებია ფერწერისათვის.


საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ქეთევანი სურათების ეროვნულ გალერეაში მიიწვიეს სამუშაოდ. მხატვარი კვლავ თავის საყვარელ გარემოცვაში მოხვდა. ბიბლიოთეკაში მუშაობასთან ერთად, იგი მტკაცებით დაეწავა ფერწერას. ნაცნობები და მეგობრები იყვნენ მისი მოძლები. დღეს ამ პორტრეტებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ მხატვრის პირველი პერიოდის ნაწარმოებთა შორის, თვალნათლივ ცხადყოფენ, თუ რა მკვიდრსა და მტკიცე საფუძველზე დადა ქეთევან მალალაშვილი იმთავითვე, რა თანმიმდევრული და მიზანდასახული იყო მისი შემოქმედებითი ძიება პორტრეტული ამოცანების გადაწყვეტისას.

წლებში შესრულებული რამდენიმე ნაწარმოები, ისინი კვებით-ლაკენ დიდი უბრალოებითა და სიმარტილით, იმ თავისებურებებით, რაც ასე ნიშანდობლივია მხატვრის მთელი შემოქმედებისათვის. ეს არის ზემოთ უკვე აღნიშნული პორტრეტები — მხატვარ ელენე ახვლედიანისა, მოქანდაკე ი. ნიკოლაძის, პროფ. ა. მაჭავარიანის, დ. შვედრდანიძის და სხვათა. ამ თვალსაზრისით, ქეთევან მალალაშვილს არ აქვს, ასე ვთქვათ, უკანდახვევის პერიოდი, თუმცა, ცხადია, მისი ყველა ნამუშევარი როდი დგას ერთ დონეზე. მხატვრის ყველაზე საუკეთესო კმნილებები — ეს არის ქვემოთაღნიშნული პორტრეტები-სურათები, რომლებშიც ატორი მხატვრული განზოგადების დიდ სიმაღლეზე ადის.

1923 და 1926 წლამდე ქეთევან მალალაშვილი პარიზშია, დავით კაკაბაძესთან, ლადო გუდიაშვილთან და ელენე ახვლედიანთან ერთად. ეს იყო ხელოვნებაში რთული და წინააღმდეგობათა შემცველი პერიოდი, როდესაც ადვილად შეიძლებოდა დაბნეულიყო ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მაძიებელი მხატვარი. მაგრამ უცხო გავლენები ასცდა ქეთევან მალალაშვილს. იგი სასვებით გულგრილი აღმოჩნდა უახლესი მიმდინარეობებისადმი დასავლეთის ხელოვნებაში და კვლავ საკუთარი გზით, რეალიზმის გზით მიდიდა, კრიტიკულად ითვისებდა რა ფრანგული ფერწერიდან მხოლოდ იმას, რაც მისი შემოქმედებითი ბუნებისთვისაც მასობრივი იყო.

1926 წელს, მივლინების დამთავრების შემდგომ, მხატვარი სამშობლოში ჩამოიღის და კვლავ სამხატვრო გალერეას უბრუნდება. ამჯერად იგი აქ მხატვარ-რესტავრატორად მუშაობს და

ძველი თბილისი



ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა ამ დარგში, ასრულებს ძველი ქართული მონუმენტური მხატვრობის ძეგლებისა და მინიატურების პირებს, პარალელურად დაულალავად წერს პორტრეტებსა და ეტიუდებს. მათ შორის აღსანიშნავია მხატვრის დედის, ირა ხეჩინაშვილის, თ. ვაჩნაძის, თ. ჩოლოყაშვილის პორტრეტები.

ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედება განსაკუთრებული აღმავლობით ხასიათდება 1937 წლის შემდეგ, როცა იგი მთლიანად საყვარელ ხელოვნებას — პორტრეტს უთმობს თავის ძალეებს. ზედმიწევნით იკონება ცნობილი მხატვრების, მსახიობების, მუსიკოსების, მეცნიერთა სახეები. ამ ნაწარმოებებში მახვილი ფსიქოლოგიური დახასიათება სულ უფრო და უფრო ერწყმის ფერწერულ ოსტატობას. მდიდრდება მხატვრის პალიტრა, უფრო გამომსახველი ხდება ფერი. შესანიშნავია 1940 წელს დაწერილი პორტრეტი ვერიკო ანჯაფარიძისა მარგარიტა გოტიეს როლში. მხატვარს არ ჰქონია განზრახვა ამ როლის დრამატული სულისკვეთება შეექანა მსახიობის პორტრეტში, მაგრამ მაინც შეძლო მის საერთო იერში მოეცა სცენური სახისათვის დამახასიათებელი შტრიხები, განწყობილება, დიდი მსახიობისათვის ჩვეული ღრმა შოკოანობა.

ცოცხლად და ფაქიზად აღბეჭდავს მხატვარი თავის თანამედროვეთ — სხვადასხვა დარგის ცნობილ მოღვაწეებს თუ უბრალო მშრომელ ადამიანებს. თვითვე ცალკეულ შემთხვევაში იგი ნახულობს რაღაც საინტერესოს ამა თუ იმ პიროვნებაში, აგნებს მახვილ შტრიხებს მათი დახასიათებისათვის. ამიტომაც, რომ სახეთა მრავალფეროვან გალერეაში თვითველი გვიჩინდავს ინდივიდუალური სიციცხლითა და თავისებურებით.

ორმოციანი წლების დასაწყისის ნამუშევრიდან ასეთია მხატვარ ს. ვირსალაძის, პიანისტ კ. კუფტინას, ნატო ვაჩნაძის ღრმა შინაგანი სითბოთი აღსავსე პორტრეტები.

სახის ღრმა პოეტური გახსნით გამოირჩევა პიანისტ ს. რინტერის პორტრეტი (1942 წ.).

1945 წელს საქ. მეცნიერებათა აკადემიის დაკვეთით მხატვარი ასრულებს თამარ მეფის პორტრეტს. ნაწარმოებს საფუძვლად დედოფლის ფრესკული გამოსახულებანი, მაგრამ შემოქმედმა მის მიერ შექმნილ თამარის სახეს ხორცი შეასხა, გააცოცხლა და წარმოგივდინა იგი უმწვენიერესი გარეგნობის ბრძენ ქალად, თუმცა საამისოდ არ უძებნია განსაკუთრებული კომპოზიციური ხერხები. პორტრეტი გადაწყვეტილია ძალზე უბრალოდ, მთელი აქცენტი გადატანილია სახეზე, გამომეტყველებაზე. ფაქიზად და რბილად ნაძერწი სახის მშვენიერი ნაკვთები, უაღრესად მეტყველია თავლები — ინტელექტისა და სულიერი ძალის, კეთილშობილების გამომხატველი. პორტრეტის ნაწი და ნათელი ფერადოვანი გამა პოეტურ-რომანტიკულ მომხიბვლელობას ანიჭებს პორტრეტს.

თამარ მეფის პორტრეტი ქეთევან მაღალაშვილის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაწარმოებია. მან კვებ დიდი ხანია კბოვა სასახლო აღიარება და მისი ავტორისთვის მარტო ეს ნაწარმოებიც კმარაა ნიჭიერი პორტრეტისტის სახელის დასამკვიდრებლად.

ვისაც საქართველოს სასახლო მხატვარი ქართული საბჭოთა ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი მოსე თოიძე ასხვის, არ შეიძლება არ გაოცდეს იმ მახვილი მიგნებით, რაც მისი პორტრეტის ავტორის ქეთევან მაღალაშვილის ღრმა დაკვირვების უნარსა და ადამიანის ხასიათის გაჭურჭურებაზე მეტყველებს. სავარძლო თავისუფლად ჩამედარი, მუხლებზე დაწყობილი ხე-



მედოა ჯაფარიძის პორტრეტი

ლებით და ოდნავ გვერდზე გადახრილი თავით, მშვიდი, ღია და ხალისიანი გამომეტყველებით, — რა ხშირად გვახსოვს მსივოვანი მხატვარი ასეთი, სწორედ ასეთი, თბილი და ყურადღებინი მზრინი, კეთილშობილური, უბრალო და გულწრფელი ბუნების ადამიანი.

ამავე ხანას (1946 წ.) მიეკუთვნება ელენე ახვლედიანის ასალი პორტრეტი, რომელშიც ქეთევან მაღალაშვილი ჩვეული სიფაქიზით ხატავს თავისი კოლეგისა და მეგობრის ასე ნაცნობ შინაგან სამყაროსა და გარეგნულ იერს.

თავისუფალი ფერწერული მანერითა განხორციელებული ხელოვნების წიგნდენი, ტაგერის და თ. მაღალაშვილის („ქალიშვილი წიგნდენი“) პორტრეტები. ამ ტილოებში მხატვარი დიდ ყურადღებას უთმობს ფერწერულ მეტყველებას და ეძებს ფერადოვანი გამოსინჯავებს.



პოეტ სიმონ ჩიქოვანის პორტრეტი

სხვადასხვა ტემპერამენტი, სხვადასხვა პროფესიული ხასიათი იგრძნობა მწერლების, მსახიობების, კომპოზიტორების და სხვა ხელოვანთა პორტრეტების მიუღ სურიაში, მათში არა მარტო დიდი გარეგნული მსგავსებაა მიღწეული, არამედ მახვილი შტრიხებითაა გახსნილი თვითუკულის შინაგანი არსი. კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, ვასო გომიძე-შვილის, სერგო ზაქარიაძის, უშანგი ჩხეიძის, ს. ვირსალაძის და მრავალ სხვა პორტრეტში ვხვდავთ დიდ უშუალობასა და გულწრფელობას, დიდ სიმართლეს. მათში ოდნავი ნიშნებიც კი არ არის რაიმე გამოგონილისა და გარეგნული პათოსის. ამასთან, ქეთევან მაღალაშვილს აქვს უნარი დაინახოს და ხაზი გაუსვას ყველაზე საუკეთესო თვისებებს ამა თუ იმ პიროვნებაში, იქნება ეს დიდი შემოქმედი თუ უბრალო ადამიანი.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მხატვრის შემოქმედება განსაკუთრებით პროდუქტიული და მრავალმხრივია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. მრავალრიცხოვან პორტრეტებთან ერთად იგი მუშაობს პეიზაჟებზე, ნატურმორტებზე, ხატავს კახეთის კუთხეებს და თბილისის მიდამოებს. მის მიერ შექმნილი ბუნების სურათები სასევა პოეზიითა და დიდი ლირიზმით. გამოიყენა წარმოდგენილი ეს პატარა პეიზაჟური ტილოები მაყურებელთა ყურადღებას იზიდავდნენ თავისებური ფერწერული ინტერპრეტაციით, არტიზტიზმითა და ბუნების განწყობილების სათუთი გრძნობით.

მაგრამ ამ სახის ნაწარმოებები მაინც ერთგვარად იჩრდილება ქეთევან მაღალაშვილის უზარმაზარი პორტრეტული შემოქმედების ფონზე, მით უმეტეს, რომ მისი სულ ბოლოდროინდელი პორტრეტები მხატვრის ახალი გამარჯვებების მკაფიო დადასტურებაა. ზეითი დაწერილ ტილოებს შორის არანაკლები ფერწერული ოსტატობით გამოირჩევა პასტელით შესრულებული პორტრეტები. ამ ტექნიკას მხატვარი ძალზე სწრაფად დაეუფლა და დიდი თავისუფლება, მაღალი ტექნიკური ოსტატობა გამოავლინა. ფერთა განსაკუთრებული სისხალისით, სისუფთავითა და გამჭვირვალობით, გამის; კარმონიულობით ხასიათდება უახლესი ნაწარმოებები — პორტრეტების მთელი გალერეა, რომელთა შორის არ შეიძლება არ გავიხსენოთ მედეა ჯაფარიძის, ელისო ვირსალაძის, მანანა ხიდაშელის, ვახტანგ ბერიძის, დოდო ალექსიძის, ტიციან ტაბიძის, ე. გოგოლევის, ანა კალანდაძის და მრავალ სხვა მაღალმხატვრული

პორტრეტი, რომელიც ქართული სახვითი ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა.

ეს ფონდი კვლავაც გამდიდრდება ახალი ქმნილებებით. ამას მოწოდებს სახალხო მხატვრის შემოქმედებითი ძალენის ახალგაზრდული აყვავება.

აჭვბაიჯანის სახალხო მხატვარმა მ. აბულაევმა ჩვენს რედაქციას სოხოვა გამოქვეყნებინა მისი შთაბეჭდილება ქეთევან მაღალაშვილის ნაწარმოებთა გამოყენის ირგვლივ.

უდიდესი კამაფიკლებით დავათვალიერე საქართველოს სახალხო მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის ნაწარმოებთა გამოყენა, სადაც მთელი მისი მხატვრული მემკვიდრეობა წარმოდგენილი.

ძალზე საინტერესო იყო დიდი მხატვრის მიერ განვლილი ვრცელი გზის თვალის გადავლება. რაოდენი ენერჯია და შთაგონება ყველაფერში, მთლიანად ყველაფერში! როგორი სიყვარული და მიზანდასახულება აქვს ამ შესანიშნავ გამოყენას, რომელზეც საბჭოთა საქართველოს ადამიანებზე ვხვდებით.

ეს შესანიშნავი შედეგი მხატვარმა მოიპოვა არა გათვლილი გზით სიარულით, არამედ ნამდვილი მხატვრის ბეჯითი შრომით. ღრმა დაკვირვებითა და შემოქმედებითი წყობით მიღწეა მან ნამდვილ სიმართლეს ხელოვნებაში.

როგორი არტიზტიზმითაა ხორცშესხმული საქართველის ქართველი დიდოსტატის იაკოპ ნიკოლაძის სახე; კოლორის-ტული გადაწყვეტითა და ღრმა აზრით გვატყვევებს ეს სურათი...

მხატვარ სოლომონ ვირსალაძის პორტრეტი



ან თუნდაც უშუალოებით აღსავსე მწერალ ა. ორბელიანის პორტრეტი, სსრკ სახალხო არტისტის სერგო ზაქარიადის მეტყველი სახე... იგივე შეიძლება ვთქვათ უმანგი ჩხეიძისა და რეჟისორ დიმიტრი ალექსიძის პორტრეტებზე.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ქალთა პორტრეტების სერია, რომელთაც მხატვარი დიდი გატაცებით წერს: „მანანა ხიდაშელი“, „ჩუტა ერისთავი“, „გოგოლევის პორტრეტი“, ნათო ვანაძის პორტრეტების სერია და ბევრი სხვა — მაღალაშვილის მაღალი ხელოვნების ნიმუშებია.

გაოცებთ მსოფიანი ოსტატის ფუნჯის მოქნილობა. პორტრეტიდან პორტრეტამდე მყუერბელი მოწმეა მხატვრის ხელოვნების საიდუმლოებისა, მისი ოსტატობის, დიდი არტისტის გულწრფელი გრძნობებისა.

მაღალი გემოვნებითაა შესრულებული პასტელით რიგი პორტრეტებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოს სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის პორტრეტი.

ძალზე შთამბეჭდავია მცირე ზომის პეისაჟები, — თბილისის კუთხეები, — ასევე პასტელით განხორციელებული.

ქეთევან მაღალაშვილის ნაწარმოებთა პერსონალური გამოფენა მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში, მისი მნიშვნელობა იზრდება იმით, რომ აქ საბჭოთა საქართველოს ადამიანებს ვხვდავთ.

შემდგომ შემოქმედებითს სიხარულს ვუსურვებთ ამ შესანიშნავ მხატვარს და მოუთმენლად ველით ამ გამოფენას მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში.

აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი მ. აბდულაევი



რეჟისორ დიმიტრი ალექსიძის პორტრეტი

პიანისტ ელისო ვირსალაძის პორტრეტი



თბილისი



ნათელა იანაოშვილის ახალი გრაფიკული ნაწარმოებები

ურველო, ეგზოტიკური გარემო, ხასხას ფერები და მკაფიო სილუეტები, სხარტი კონტურები... მხატვარს მღელვარედ შეუგრძენია მისთვის ახალი ეს სამყარო და ეს ძლიერი, უშუალო შთაბეჭდილება ასევე უშუალოდ და მსუბუქად გადმოღვრილა ქაღალდზე, ანდერჟელა ფერადოვან ლაქებსა და ელასტიკურ ხაზებში... ასეთი იყო მკაფიულის განცდა, როცა იგი ნათელა იანაოშვილის ახალ გრაფიკულ ნამუშევრებს ეცნობოდა გამოფენაზე, რომელიც ნოემბრის ბოლოს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა.

ვინც ნათელა იანაოშვილის შემოქმედებას იცნობს, მისთვის არ არის ძნელი ამოცნოს ამ ნამუშევრებში მისი ავტორი. მხატვრის ეს ახალი გრაფიკული ფურცლები, რომლებშიც მას ჩვეული შთაგონებით აღუბეჭდავს კუხასა და მცქსიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, გვატყვევებენ სახოვანი ძალითა და მეტყველი პლასტიკურობით. მხატვრული ენის სისადავე და ლაკონურობა, ფერთა ლაქებსა და ხაზებში სახასიათოს ემოციურად ჩაქსოვის უნარი, თავისუფლება და არტიტიზმი შესრულებაში — მხატვრის ოსტატობის ეს ნიშანდობლივი მხარეები ახალი ძალით გამოვლინდა გამოფენაზე წარმოდგენილ საზღვარგარეთულ ციკლში და სვანურ სერიაში.

ზანგა ქალები



დიდელ კასტროს პორტრეტი

სვანეთში მხატვარმა სულ ასლასანს იმოგზაურა და ძუნქი გრაფიკული საშუალებებით დაკვირვებით ასახა ამ კუთხის პოეზია, მისი მკვიდრი.

გამოსახვის ხერხების ერთი ძირითადი პრინციპია აერთიანებს ნ. იანაოშვილის ამ ნამუშევრებს, ერთიან სტილისტიკურ იერს აძლევს კუბურ ჩანახატებსა და სვანურ სერიას. ეს არის შფ ფონზე გათამაშებული, ფანქრით მიხასხული სუფთა კონტურები და მსუბუქი ფერადოვანი ლაქები. ზოგან თავშეკავებით მოდელირებული ცალკეული დეტალები, და ხან კი მხოლოდ ზოგადად მინიშნული პლასტიკური ფორმები. ლაკონური გამოხატვის ეს ხერხები ერთმანეთთან შერწყმულია მხატვრული ზომიერების გრძნობითა და დიდი გემოვნებით. მახვილად მიგნებული შტრიხებით გადმოცემულია ადამიანების ეროვნული ხასიათი, სულიერი განწყობილება, მოძრაობის პლასტიკის თავისებურება. აზრობრივი და წმინდა ფერწერული მხატვრული აქცენტები აქ ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთიდან გამოვლინდებიან, ყურადღებას ამახვილებენ მთავარზე, არსებითზე ნაწარმოებში.

კუნძულ კურასას მკვიდრი ზანგების ცხოვრების ელფერი და თვით მათი ადამიანური ბუნება მხატვარს ამ ხალხის ხასიათის გრძნობით აქვს გადმოცემული. მიონობისა და ჩაგვრის კვალი აზის ზანგე ქალების საერთო იერს, ნადგლიანად მოზირებიან მათი თვალები და თვით ის ფერადოვანი სამკაულები — მიივები თუ საშაურები — ზანგე ქალების განუყრელი მორთულობანი, ითიქოს უფრო აძლიერებენ ამ ნადგვლს, ხაზს უსვამენ გარგნულ მოჩვენების ზემოქმედებას. ასეთია „ზანგე ქალი საყურები“, „ქალი მიივებითა და სამაურებით“, „ზანგები“, „ზანგების გამყიდველი“ და სხვ.


ნ. იანაოშვილის ნაწარმოებების კომპოზიციური წყობა სადაა, ნატურიდან სწრაფი ჩანახატების სისხალსით და პირველი ცოცხალი შთაბეჭდილების სიწრფელით აღსავსე. ხშირად ჩვენს წინაშე ადამიანები დგანან უბრალოდ, პოზირობის გარეშე, ბუნებრივი და უშუალო მიძრაობით. მათი ეროვნული

და სულიერი დახასიათებისათვის მხატვარი არჩევს რამდენადაც შესაძლებელია ძუნწ შტრიხებს, განსაკუთრებით უსვამს რა ხაზს ამ მხრივ საინტერესო დეტალებს. ასეთია, „მექსიკელი ქალი“. შავ ფონზე ყვითელი ფანქრითაა მოხაზული ქალის ფიგურის სილუეტი, და მხოლოდ სახეა შედარებით დამუშავებული ამავე ფერის ფანქრით, მოდელირებულია ლამაზი ნატიფი ნაკვთები. საერთო შავ ფონზე და ნაწილობრივ ფერ შტრიხებში თეთრად ელვარებენ ახალგაზრდა ქალის დიდრძი შავი თვალების გუგები. უფრო სხვაგვარადაა გადაწყვეტილი მექსიკელი ქალის მეორე პორტრეტი. თუ პირველში გრაფიკული ხერხები ჭარბობს, ეს ნაწარმოები საინტერესო ფერწერული ინტერპრეტაციით გვხვდება. საერთოდ, ნ. იანჭოშვილის ამ ნამუშევრებისათვის ნიშანდობლივია ფერწერული და გრაფიკული ხერხების შერწყმა.

მოცეკვავე ინდოელი ქალი... პროფილის საოცრად სახასიათო მონახაზი, წყლიანი თვალები, თმაში გაბნეული წითელი ყვავილი და ლურჯი მარაო ხელში... რამდენიმე დეტალით მოცემულია მახვილი პორტრეტული დახასიათება.

ოთხკუთხე ჩარჩოს ვაკვაცური, მძლავრი პროფილი ავსებს. შავ ფონზე უწყვეტი თეთრი ხაზებით, მტკიცე ხელითაა ამოხატული სახის ენერგიული ნაკვთები. ჩვენს წინაშეა კუბელი ხალხის ეროვნული გმირის ფიდელ კასტროს ცოცხალი პორტრეტი. შავ ფონზე თეთრით მხატვარს გრაფიკული ლაკონურობით და ამავე დროს სკულპტურულად გამოუძერწავს პლასტიკური ფორმები.

ქუბელი მოქალაქე



სვანი ქალი ფილით

სვანეთის დიდებული ბუნება, მაღლა აღმართული საუკუნოვანი კოშკებით, სვანი მშრომელი ადამიანები, მხატვარს ასევე სახასიათოა და ტიპურის ხაზვასმით აქვს ასახული. დასამახსოვრებელია რამდენადმე დეკორატიულად გადაწყვეტილი „ქალი კოშკთან“, „სვანი ქალი“, „ქალიშვილები ძაძებში“, „მოხუცი კაცი“ და სხვ.


ნ. იანჭოშვილის ახალ გრაფიკულ ნაწარმოებთა გამოფენა მხატვრის აღმავალ შემოქმედების გზაზე, ოსტატობის შემდგომ სრულყოფაზე ლაპარაკობს.

მექსიკელები





ქალი კომკთან




მოსხევი სვანი

ზანგი ქალი



ქუბელი პატარბალი





თ. სანაძე ზიგფრიდის როლში ჩაიკოვსკის ბალეტიდან „დედების ტბა“

თენგიზ სანაძე

მილიცა ჯაფარიძე, ნათელა გამყრელიძე

ბედნიერია მავრი... დეზდემონას სიყვარულმა ფრთები შეასხა და ისიც აცვეკდა თავდავიწყებით...

რა სიღამაზეა მის ყოველ მოძრაობაში, რა სიხარული, ცეცხლი და გზნება. მაყურებლებით სავსე დარბაზი განსაკუთრებული ყურადღებით აღფრენებს თვალს მოცეკვავის ყოველ ფესტს, ყოველ მოძრაობას...

თენგიზ სანაძე სხვისთვის შეუმჩნეველსაც ხედავს, ამჩნევს ყოველ ახალ ნიუანსს, ახალ შტრიხს.

ხვალ იგი შეეცდება თავის მუშაობაში გაითვალისწინოს ის ახალი, რაც აღდეს ნანა დიდი ზელოვანის ვახტანგ ჭაბუკიანის ცეკვაში.

სტანისლავსკი ამბობდა: „არიან ისეთი მოცეკვავეები და დრამატული მსახიობები, რომლებსაც ერთხელ და სამუდამოდ აქეთ გამოუმუშავებელი პლასტიკა. ისინი აღარ ფიქრობენ ფიზიკური მოქმედების ამ მხარეზე. პლასტიკა მათი ბუნება, მეორე არსებება. ასეთი მოცეკვავეები და მსახიობები კი არ თამაშობენ, კი არ ცეკვავენ, არამედ მოქმედებენ, მოქმედებენ პლასტიკურად“.

ასეთი იდეალური მოცეკვავეა ვახტანგ ჭაბუკიანი ყველასათვის და სანაძისთვისაც. წლების მანძილზე ამ დიდი ზელოვანის გვერდით მუშაობამ ახალგაზრდა მსახიობს ბევრი სასარ-

გებლო რამ მოუტანა. სწორედ ამ დიდმა შემოქმედმა სწორად თენგიზ სანაძე ცეკვის დიდ ხელოვნებას.

ადამიანი ყოველთვის საამოვნებით იგონებს წარულ წლებს, თუ მათ ფუჭად არ ჩაუვლიათ. თენგიზ სანაძე ასლაც აასობენით ინახავს პატარა, ფერნაცვალ ამონაჭურს გაზეთიდან, რეცენზიას ქორეოგრაფიული სტუდიის გამოსაშვებ სპექტაკლზე „ოთოჩინების ფერია“. თენგიზი ამ სპექტაკლში ერთ-ერთ მთავარ პარტიას ცეკვავდა.

უკან დარჩა ვარჯიში, გაკვეთილები რიტმიკაში, მუსიკა-ში... ძნელი იყო მკაცრი პედაგოგის თამარ ეზოლცვეას მოწონების დამსახურება. დაულაღვი პედაგოგი ერთსა და იმავე იღვთს ამოტრეზინებდა ორჯერ, სამჯერ, ზოგჯერ, თითქოს, უსასრულოდ და მხოლოდ მაშინ შეასვენებდა მოწაფეს, როცა მის მოძრაობებში სასურველ პლასტიკას შენიშნავდა. და აი, პირველი გამოსვლა მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე. რამის ჩირაღდნები უხმობდნენ ჭაბუკს, მაგრამ აკრთობდნენ კიდევ. მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვით შესძლო დაეძლია შიში და მოქნილობა დაებრუნებია ხელ-ფეხისათვის. დებიუტმა კარგად ჩაიარა. მან ახალგაზრდა მოცეკვავის მომავალი განსაზღვრა. თენგიზ სანაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში ჩარიცხეს.

რასაკვირველია, იმ დროისათვის მისი ცეკვა სრულყოფილი როდი იყო. მაგრამ ცეკვის სისუფთავემ და ბუნებრივმა დიდმა ნახტომმა თავიდანვე მიიქცია ყურადღება. ვახტანგ ჭაბუკიანმა ახალგაზრდა მსახიობში ლირიკული როლების განსახიერებისათვის საჭირო თვისებები დაინახა და დაეხმარა კიდევ ჭაბუკს ამ ბუნებრივი მონაცემების განვითარებაში.

პირველი სერიოზული როლი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე თენგიზ სანაძისათვის იყო პრინცი ზიგფრიდი ჩაიკოვსკის ბალეტ „დედების ტბაში“.

ჭაბუკიანმა ეს მშვენიერი ქორეოგრაფიული პოემა ახლებურად გახსნა. მან წინ წამოსწია კეთილის გამარჯვება ბოროტზე და დიდებული ჰიმნი უმღერა წმინდა სიყვარულს. ქართულმა ბალეტმაისტერმა ეს მშვენიერი ლირიკული ქმნილება გმირული საწყისებით აღჭურვა და ამით დაამსხვრია გაბატონებული ტრადიცია, რომლის მიხედვით ზიგფრიდი მოთენთილ ლირიკულ პარონებდად რჩებოდა. ჭაბუკიანი ახალგაზრდა მსახიობისგანაც მოითხოვდა ადამიანის ღრმა განცდე-




ბის გადმოცემას. რასაკვირველია, პირველ ხანებში თენგიზ სანაძის ზოგჯერ იდს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ თანდათანობით პარტია დაიხვეწა. ახლა თენგიზ სანაძის ზოგჯერი იდში არის ლირიზმიცა და ვაგეაკობაც; მგრძობიარე და ნაზია იგი ოდესთან პირველი შეხვედრისას, ხოლო ოდილიასთან ცეკვაში გვიბილავს ტემპერამენტით და ენერგიულობით.

ყოველი მსახიობის შემოქმედებაში არის როლი, რომელიც მას ყველაზე მეტად უყვარს, როლი, რომელშიც იგი მთელ თავის უნარსა და მონდობებს აქსოვს. ასეთია თენგიზ სანაძისათვის ზოგჯერი. 19 წლის ჭაბუკმა შეასრულა პირველად ეს პარტია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე და დღემდე ხალისითა და სიყვარულით ცეკვავს მას.

წლების განმავლობაში კიდევ უფრო იხვეწება ახალგაზრდა მოცეკვავის ტექნიკა. ვაცლავი „ბანისარაის შადრევანში“, ჭაბუკის ცეკვა „ლაურენსიაში“ უკვე მეტყველებენ სანაძის ცეკვის კულტურასა და ტექნიკურობაზე.

თენგიზ სანაძეს კილაძის ბალეტ „სინათლეში“ მოუხდა

ფულისწული „გედების ტილან“



სანაძე ბალეტ „გორდამი“

ჭაბუკიანის პარტნიორობა. ანასიერებდა მთავარი გმირის — ავთანდილის ძმის — რამაზის საპასუხისმგებლო პარტიას. ახალგაზრდა მსახიობმა ლირიული პარტნიორობა გაუწია ჭაბუკიანს. ალბათ, ამ წარმატებამ აფიქრებინა ჭაბუკიანს თენგიზ სანაძისათვის დაკისრებინა ავთანდილის როლის დუბლიორობა.

ქართველ მყურებელს, ჭაბუკიანის უბადლო ხელოვნების შემდეგ, ვერც კი წარმოედგინა სხვისი შესრულებით ენახა ამ ბალეტის თავებუდამხვევი სისწრაფისა და ტემპერამენტის დიდი პირუტყი. იგი სკეპტიკურად უყურებდა ახალგაზრდა მსახიობის გამოსვლას ამ როლში. მაგრამ დაუღალავმა შრომამ თავისი გაიტანა. თენგიზ სანაძემ თავი გაართვა სიძნელეს. აქ მისი ცეკვა ლამაზი, დინამიური და მკაფიოა. მაღალი ტემპის დიდმა პირუტყმა კი სკეპტიკოსების გულიც გააღხი.

საკმაოდ უცნაურ გარემოში მოუხდა თენგიზ სანაძეს მეორე ქართულ ბალეტში „გორდამი“ გამოსვლა. მდგომარეობა ისეთი იყო, რომ გამოსცხადებული წარმოდგენა უნდა მოსწინიოყო. ვახტანგ ჭაბუკიანი მოსკოვში იყო, მისი შემცველი ზურაბ კიკალეიშვილი უცებ ავად გახდა. და აი, სულ რამდენიმე დღეში თენგიზ სანაძემ მოამზადა გორდას რთული პარტია. ამ შემთხვევის შემდეგ, გორდა დამკვიდრდა მის რეპერტუარში. ამ როლითაც მსახიობმა მყურებლის მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით ძლიერად ატარებს სანაძე ვარიაციას „სამშობლოში დამბრუნებას“.

წარმატება მოუტანა თენგიზ სანაძეს გლიერის ბალეტმა „წითელმა ყაყაომ“. ეს ბალეტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ზურაბ კიკალეიშვილმა დადგა. ბალეტში თენგიზ სანაძემ შექმნა ხალხის ბედნიერებისათვის გაბედული მებრძოლის სახე, აქტიური ოსტატობით შეასრულა რთული პარტია. ქორეოგრაფიულად გასაგები ენით მოუთხრო მყურებელს ბალეტის მთავარი გმირის სულიერ განცდებზე. მის დიდ სიყვარულზე სამშობლოსადმი.

თენგიზ სანაძემ, ვენერა დოლიძესთან და ანა წერეთელთან ერთად, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე განახორციელა ცინცადის ბალეტის — „ცისფერი ტყის საუნ-

ჯის“ დადგმა. ბალეტი ასახავს პიონერულ ცხოვრებას. დამდგმელებმა შესძლეს ცვეკვაში გამოეხატათ ჩვენი ბავშვების სიხარული და ბედნიერება.

სიკვდილის ტანგო ბალეტში „მშვიდობისათვის“. ამ ტანგოს თენგიზ სან ჯე, ევეგენია გელოვანი, რევაზ მაღალაშვილი ერთად ასრულებენ ნენ და მუდა მბაყურების მოწონებას იმსახურებდნენ.

ბრაზილია... რიო-დე-ჟეირო... თბილი და მხიარული ქალაქი... ქართული ბალეტი ოსტატებს შორის, რომლებიც ლათინური ამერიკის ქვეყნებს ესტუმრნენ, თენგიზ სანაძეც იყო. მასაც ხვდა წილად ბედნიერება ჩვენი ხელოვნება ერვენებია შორეული ქვეყნების მაცურებლისათვის. ვახტანგ ჭაბუკიანთან, ვერა წიგნაძესთან, ზურაბ კაკაულიშვილთან და ევეგენია გელოვანთან ერთად, უცხოელი მაცურებელი აღტაცებული ტაშით აჯულდობებდა თენგიზ სანაძეს და ბ. მონავარდისაშვილსაც, რომელთა ცეცხლოვანმა მითიულურმა დაიპყრო მათი გული.

ქართველი სცენური გარეგნობა, ცვეკვის ტექნიკა და სცენაზე თავისუფლად მოქმედების კულტურა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს თენგიზ სანაძეს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ოსტატთა შორის აყენებს. ასეა თენგიზ სანაძე შთავიწმინდით მუშაობს ახალ როლზე; ამზადებს ოტელოს საპასუხისმგებლო პარტიას. როგორი იქნება მისი მავრი? ღირსე-



ბალეტი „სიონალე“ 1. ირინა ალექსიძე, 2. ვახტანგ ჭაბუკიანი, 3. თენგიზ სანაძე, 4. ქსენია ლორთქია

ულად გართმევს თავს იგი მის წინაშე დასახულ ამოცანას? ამას მომავალი გვიჩვენებს. მისი დუღალავი მუშაობა, შრომისმოყვარეობა კი გამარჯვების საწინააღმდეგოა.

რაბინდრანათ თაგორი—მხატვარი

ვენო გალილა

რაბინდრანათ თაგორი — პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი; პედაგოგი, ფილოსოფოსი, ლიტერატურის და კრიტიკოსი და ლინგვისტი — ეს ბრძენი ადამიანი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში დიდად გატაცებულია მხატვრობით.

67 წლის თაგორი განსაკუთრებულ, თითქმის დაუძლეველ მიდრეკილებას გრძნობს მხატვრული გამოხატვის ახალი ფორმისადმი, და, როგორც თვითონ აღნიშნავს, „დამორჩილდა ხაზის მომზიბილეობას“. თავისი ცხოვრების უკანასკნელი თორმეტი წელი მან მხატვრობას მიუძღვნა, და ამიტომაც, მისი ერთ-ერთი ბიოგრაფის აზრით, თითქმისდა მიივიწყა თავისი ძირითადი შემოქმედების საგანი.

თავდაპირველად პოეტს მხატვრობის დაწყება მოუხდა სრულიად შეუგნებლად. თავისივე ნაწარმოებთა სწორების პროცესში, თაგორი სიტყვებს შლიდა თხელი პორიზონტალური ხაზებით, რომელსაც გარშემო შემოვლებული ძლიერი კონტურით სახვრავდა. სტრიქონთა შორის გაბნეული ამგვარი გასწორებები ემსგავსებოდა მცირე ზომის კუნძულებს, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი ფორმა და ზომა. შემდეგ ყოველივე ამას თაგორი აერთიანებდა რბილი, ერთმანეთში გადასული ჯსწორ ხაზებით, რითაც იქმნებოდა რაღაც თითქოსდა წინასწარ-განსრავილი რიტმული სახე. ჩნდებოდა ხან ფანტასტიური ფერები და ხან უამრავი ორნამენტით მორთული ლარანაკი. ადრე მას არასოდეს არ ჰქონია სურვილი, თავისი ხელნაწერები გადაეცემა ერთმანეთში გადახლართულ განცემებულ ნა-

ხატებად ან ფიგურებად. მისთვის ეს ყოველივე მოცლილობის ეპოს მსუბუქი გაართობა იყო. მაგრამ შემდგომი თაგორი აღნიშნავს: „როცა ჩემს ხელნაწერებში უწყნაროდ მიმოფანტული წანაშალები, როგორც ცოდვილი, შევლას მოხოვდნენ, მე ხშირად უფრო მეტ დროს ვგარგავდი იმაზე, რათა შევება მიმეცა მათთვის რიტმის სრულქმნადობით. ვიდრე ჩემი ამკარა ამოცანის შესრულებაზე. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, რომ ფორმათა სამყაროში მიუძღვებდა მოქმედებს ხაზთა ბუნებრივი შერჩევის კანონი და სიცოცხლის ინარჩუნებენ მხოლოდ ისინი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან შეგუებული; ისინი, რომელნიც პარაზონიულ მწკრივს ქმნიან. ვიგრძენი, რომ ნამდვილი შემოქმედება იმაში მდგომარეობს, რათა ადგილი მოუძებნო ამ უსახლკარო და სხვადასხვაგვარ ნაჯღანს, მისცე მათ სრულქმნის შინაგანი წინასწორობა“... და თაგორიც ქმნის ახალ და ახალ ნახატებს, სანამ საბოლოოდ არ შეიცნობს, რომ ამგვარი გატაცება აღვიძებს მასში დაფარულ ახალ ძალას, რომელიც თანდათანობით სულ უფრო მეტ ენერგიას მოითხოვს.

გენიალური პოეტი და მოაზროვნე თაგორი ავტორია სახენეთი ხელოვნების 2.000-მდე ნაწარმოებისა, რომლებიც არაჩვეულებრივი ნახატითა და რაღაც უნაუური რიტმული სილამაზით გამოირჩევიან. მისი სურათების პირველი გამოფენა 1930 წელს მომწევი პარიზში. გამოფენა სენსაციური იყო არა მარტო საფრანგეთის დედაქალაქისათვის, არამედ ინდოეთისათვისაც. თაგორის თანამემამულენი გაოცებით შეხვდნენ



დაუძღვრებელი ბილაგრიბები

საყვარელი პოეტის მხატვრობით გატაცებას. იმავე წელს თავორის რამდენიმე ნამუშევარი წარმოდგენილი იქნა ლონდონში, ბერლინსა და ნიუ-იორკში. ინდოეთი მის ნამუშევრებს კლკა უფრო გვიან (1932 წ.) გაეცნო; გამოფენა მოეწყო კალკუტაში, სადაც ექსპონირებული იყო ზეთითა და ფაქჩით შესრულებული 265 ნაწარმოები. აქვე წარმოდგენილი იყო თავორის გრაფიკები. შემდეგ წელს გამოფენა მოეწყო ბომბეში, ხოლო 1946 წელს მისი ოთხი სურათი პარიზში მოეწყო, იუნესკოს მიერ ორგანიზებულ, თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე იქნა ექსპონირებული. მიუხედავად თავორის ნამუშევართა ამგვარი პოპულარისაციისა, იგი, როგორც მხატვარი ფაქტობრივად ჯერ კიდევ უცნობია.

პოეტის ბევრი ნახატი ან ფერწერული ტილო თითქმის ერთი ამოსუნთქვით, ერთი მოსმითაა შექმნილი, და მართლაც, უმრავლეს შემთხვევაში ეს ასე იყო. თავორი მუდამ დიდი გატაცებით მუშაობდა.

ხანდაზმული თავორი იგონებდა თავისი ყრმობის წლებს და წერდა: „ბავშვობიდანვე ვცდილობდი გამომეშუშავებინა რიტმის გრძობა. ეს იყო აზრის, ბგერათა რიტმი. უფრო გვიან დავრწმუნდი, რომ რიტმი რეალურ შინაარსს აძლევს თვით სურლიად უაზრო რამეს, რასაც თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... ჩემი სურათები ხაზებში გამოსახული ლექსებია. თუ ისინი ოდესმე მოიპოვეს აღიარებას, უწინარეს ყოვლისა, როგორც ფორმის ერთგვარი რიტმული გამოსახულებანი, რაც არსებითა მათში და არა როგორც იდეათა ინტერპრეტაცია ან ფაქტების სურათი“. თავორი სარგებლობდა თითქმის ყოველგვარი საღებავით. ხატავდა ფერადი ცარციით და პასტელის. საღებავად ხშირად ხმარობდა ჩვეულებრივ მელანს ან სხვადასხვაგვარ მცენარეთა ფოთლების წვესს. ის იშვიათად მუშაობდა ფუნჯით და უგულებელყოფდა ყოველგვარ პალიტრას; მისი საყვარელი მასალა იყო საღებავით გაქუჩილილი ქსოვილის ნაჭერი, წმინდად გათლილი ჯოხი, დანის წვერი, ხოლო ხშირ შემთხვევაში ყოველივე ამას ცვლიდა მიცივე თითქმის.

თავორი მეგობრობდა თავისი დროის თითქმის ყველა

ცნობილ მხატვარსა და ფერწერას. ხშირ მოგზაურობათა დროს თავორი საფუძვლიანად გაეცნო აღმოსავლურ და დასავლურ ხელოვნებას. ძალზე გაიტაცა იაპონურმა მხატვრობამ, რომლის ტექნიკის შესწავლასაც მან უამრავი დრო მიანდომა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავორის ხელოვნება სრულიად დამოუკიდებელია. როგორც წარსულ, ისე თანამედროვე ხელოვნებაში შეუძლებელია მის შემოქმედებასთან რაიმე პარალელის მოძებნა. იგი არასოდეს არ მისდევდა მანამდე არსებულ, დაკანონებულ წესებს. მისი სურათები უეცარი აღტაცებისა და მიდიდარი წარმოსახვის ნაყოფია; ერთი შესვლით, თითქმის ძალზე უბრალო კომპოზიციებში ჩანს მოულოდნელობით საგეს, ძალზე თვითმყოფადი და უკიდურესად გულწრფელი ხელოვნება. ისევე, როგორც მისი ლექსები, სურათებიც იდუმალუნითაა მოცული, აქაც უამრავი კითხვა და აზრი იხადება. როგორც მისი პოეზია, ეს ნაწარმოებებიც იმ ადამიანის გრძნობებს გამოხატავენ, რომელიც გატაცებულია ფორმისა და ფერის სილამაზით. „ბგერათა სამყარო — წერდა რაბინდრანატ თავორი, მხოლოდ ერთი ნამეცეცია მსოფლიო მდუმარებაში. მსოფლიო მხოლოდ ერთი ენით —ესტეტის ენით ლაპარაკობს; მისი ხმა არის სურათი და ცეკვა. ამ სამყარო თვითმყოფელი ნივთი ხაზებისა და ფერების მუნჯი სივანლით აცხადებს, რომ იგი არ წარმოადგენს მხოლოდ ლოგიკურ აბსტრაქციას ან სასარგებლო ნივთს, არამედ იგი თავისებურად ერთადერთია და საკუთარი არსებობის სასწაულს თვითვე ატარებს“.

ყოველგვარი იდუმალბა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შვება იყო თავორის, როგორც პოეტის, წარმოსახვისათვის, მაგრამ მისი სურათები როდი წარმოადგენენ მისტიკური ან მეტაფიზიკური იდეების გამოსახვას.

იმთ საულისხმოდ, ვისთვისაც მუდამ გაუგებარი იყო თავორის გატაცება მხატვრობით, იგი წერდა: „ჩემი სურათები ყველა შემთხვევაში გამოხატავენ, მაგრამ ისინი შესაძლოა არ განმარტადენენ. მათი შინაგანი ფორმის უკან არ იმალება იდეები, რომელთა ანალიზირება ან სიტყვებით აღწერა შესაძლებელი იყოს. ის შემთხვევაში, თუ ამ ფორმას აქვს რაღაც დამოუკიდებელი ღირსება, ისინი აგრძელებენ არსებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი განწირული არიან დასაღუპავად და უმაღლეს ექვევანი დავიწყებას. ეს ყოველივე მაშინაც კი ხდება, როდესაც მათში არის მეცნიერული ტექნიკისათვის ან ეთიკური თვითგამართლების რაიმე ნაწილი“.

სახვითი ხელოვნებით თავიდანვე ძლიერად გატაცებულმა პოეტმა, თავისი დიდებული ცხოვრების მანძილზე ნახა უამრავი გამოფენა და კერძო კოლექცია, მაგრამ მისი საკუთარი ნამუშევრები სრულიად გამორიცხავენ რაიმე გაყვანას. მისი ხელოვნების ეს უსაღო თვითმყოფადობა, გამოსახვის ეს წრფელი გულუბრყვილობა არაჩვეულებრივად ნათლად მეტყველებს მარად ახალგაზრდა პოეტისა და ბრძენის მრავალმხრივ ინტერესებზე, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კი მხატვრობით გატაცებაზე, რომლის შესახებაც ასე ხშირად აღნიშნავდა თავორი — „დილა ჩემი ცხოვრებისა სიმღერებით იყო სახედე, ჩემი დღეების დასასრული დაბინდული იყოს უამრავი ფერთი“.



ლ. ჩიხელი

თანამედროვე კერამიკის ნიმუშები

ორი იანვარი—ქართული თეატრის დღესასწაული

კრიკოლ ბუნინკაშვილი

„ხვალ, 2 იანვარს სწორედ შესრულდება 34 წელიწადი, რაც პირველად გაიმართა თბილისში ქართული წარმოდგენა, ჩვენის სცენისათვის დაუვიწყარის გიორგი ერისთავის მეთაურობით. ქართულმა დასმა გადასწყვიტა ოცდაათობის მეთაურობის მუდმივ მისაგნებლად ქართული თეატრის დამაარსებლის გიორგი ერისთავისა, და თვითონ ამ დღესაც დაუძახოს სახელად „გიორგის“ დღე, ანუ უფრო მისახდენი რამ: ...ასე წერდა გაზეთი „დროება“ 1884 წლის სახალ-წლო ნომერი:

1884 წლის პირველ იანვარს „სახსოვრად ქართული თეატრის დაარსებისა და მისი დამფუძნებელის გიორგი ერისთავისა“ თბილისის დრამატული დასის მიერ წარმოსადგენად გამოცხადებული იყო გ. ერისთავის კომედიები — „ძუწვი“, „გაყა“ (პირველი მოქმედება); „უჩინძისის ქუჩი“; დივერტისმენტი — ლეკური და ჩაჩნური („მ. მიხევე ითამაშებს ხანჯლებზე“ — კვითხოვლობთ განცხადებაში...).

ასე დადგინდა და ჩვეულებად ქნა შემოღებული ქართული თეატრის ყოველწლიური დღესასწაული — 2 იანვარი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციამდელი ქართული თეატრის განვითარებისათვის.

2 იანვარს ქართული თეატრის მსეველიან აჯამებდნენ ქართული თეატრალური კულტურის მიღწევების, აცნობდნენ საზოგადოებას თეატრის მდგომარეობას, ქმნიდნენ თეატრისადმი ყურადღების ერთგვარ ტრადიციას.

მომდევნად — 1885 წლის 2 იანვარს თბილისის დრამატულმა დასმა კვლავ აღნიშნა ეს დღე და კვლავ საგანგებოდ წარმოადგინა გიორგი ერისთავის კომედიები: „გაყა“ (პირველი მოქმედება), „დავა“ (მეოთხე მოქმედება), „უჩინძისის ქუჩი“.

თბილისის რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში (№ 353, 1885 წ. 4 იანვარი) ამ სახეობა წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია იყო მოთავსებული.

გაზეთმა აწერილია წარმოდგენის სახეობა ნაწილი. ფარდის ახდისას სცენაზე გამოჩნდა გიორგი ერისთავის ბიუსტი — დაფნის გვირგვინით შემკული. ბიუსტის მარჯვნივ და მარცხნივ იდგნენ ქართული თეატრის მსახიობები, ქართულ ეროვნულ ტნსაცემული გამოწყობილი (გარდა ანტრპრენიორ ა. ნევირცისა და რევისორ კ. ყიფიანისა, რომლებსაც ფრაკები ეცდოდა). კოტე ყიფიანმა წაიკითხა სიტყვა გიორგი ერისთავის შემოქმედების მნიშვნელობის შესახებ.

ამ საღამოს წარმოდგენილ „დავაში“ ყურადღება მიუქცევია მსახიობ კ. ყიფიანს სტრიაპინის როლის შესრულებით და ახალგაზრდა მსახიობს ვ. გუნიას დარაკის უწინშეწოდლო როლიში, შესანიშნავად შესრულებულია სოხები თარჯიმანის როლი ახალგაზრდა მსახიობს დ. აწყურულს.

1886 წლის 2 იანვარს თბილისის დრამატულ დასს ამ დღის აღსანიშნავი წარმოდგენა არ გაუმართავს. დასი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას, დრამატული საზოგადოების მიერ მიტოვებულს, სათავეში უდგნენ მ. საფაროვ-აბაშიძისა და ვ. აბაშიძე. ამ სეზონში ქართულ დასს კიდევ ერთი დედინაცვალი აღმოუჩნდა. ეს იყო თბილისის სათავადაზნაურო ბანკი. მას გირაოში დარჩა გრიგოლ გ. არწრუნის კუთვნილი ქარვასლა, რომელშიც ქართული თეატრის შენობაც შედიოდა. ქართული დრამატული დასი მუდამ რიცდებოდა გ. არწრუნისთან, მაგრამ ასე არ წაიყვანა საქმე შენობის ახალმა მფლობელმა — სათავადაზნაურო ბანკმა. აი, რას წერდა ამ ბანკის შესახებ გაზეთი „თეატრი“ (№ 9, 1885 წ. 20 ოქტ.): „შეწყვიტოს მაგიერად, ჩვენმა ბანკმა ათასნაირი საფრთხეები აუშენა, ათასნაირი ხრიკი მოსდო ქსლანდელ დრამატული დასის მოთავეთ, რომ როგორმე თეატრი ამით ხელში არ ჩავარდნილიყო. მაგრამ მაინც ყველაფერზედ დაჰყენენ, საბლის წვერები ხელში მისცენ ჩვენს ბანკს, თუკა კარგად გრძნობდნენ, რომ მასზემი თავები გაჰყვეს. — და თეატრი დანარჩუნეს. ბანკს ეძღა ხელში უჭირავს ესლანდელი დასის მოთავეებისაგან 270 მანეთი გირათი და ყველანაირი ხრიკებით შევიარებულნი კანდაახტი. თავის მხრით ბანკი არაფერს მოვალეობას არა კისრულობს ტრუბის წინაშე, იგივე დამტყრეული იმებლი, იგივე გახუნებული და დაცლელი ფარდებით, იგივე გახუნებული დეკორაციები. ერთის შეხედვით, სწორედ აუხსენელია ჩვენის ბანკის მხრით ესრეთი სასტიკი მოპყრობა ჩვენის ნიჭიერის არტისტებისა, ურომლებოთაც ქართული თეატრი შეუქმლებლია“.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, დასმა სათეატრო სეზონის დამთავრება მაინც შესძლო. საინტერესოა, რომ სეზონის დამთავრებისა, 1886 წლის 2 მარტს, წარმოდგენის ბოლოს, შემდეგი ამბავი მოხდა: მთელი დასი წარსდგა საზოგადოების წინაშე, ა. ყაზბეგმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა: „მტერი არ გავახართო, ქართული თეატრი აღუტებოდა და ჩვენ ყველანი ერთად ვ. აბაშიძის და მ. საფაროვ-აბაშიძის თაოსნობით ზეზედ წამოვაცყენითო, რაც კი ჩვენს შეძლებაში იყო, ბევრი ვიმეცადინეთო. თქვენც ვაძლდითო, რომ ბევრი ჩვენი შეცდომები მოითმინეთო!“ — შემდეგ ყველა არტისტიმ დიდი მუცდობა და ჩინილდნებთი გააცილეს და გამოეთხოვეს“ (გაზ. „ივერია“ № 49, „ქართული თეატრი“).

1886—1887 წ. წ. სეზონში თბილისის დრამატული დასის გაძლიერ ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ ითავა და საქმე შედარებით, წესიერად წარმართა. ამ სეზონში, 1887 წლის 2 იანვარს „გ. ერისთავის სახსოვრად“, გამომცხადებული იყო წარმოდგენა: „ძუწვი“ და „უჩინძისის ქუჩი“ — გ. ერისთავისა და „მეცხე და პოეტის“ დრ. ბანკლისა, თარგმ. ი. ჭყონიასი.

არც 1888 წ. გაუმართავს ქართული თეატრს 2 იანვრის



დღესასწაული და არც შემდეგ წლებში, ვიდრე 1893 წლამდე. როგორცდ მიივიწყეს ეს კარგი ტრადიცია. ამ ხუთი წლის მანძილზე თბილისის ქართულმა თეატრმა ბევრი ჭირი გადაიტანა. დრამატული საზოგადოება თეატრს განაგებდა 1887—1888 წ. წ. და 1888—1889 წ. წ. სეზონებში. 1889—1890 წ. წ. სათეატრო სეზონში საზოგადოების გამგეობამ კვლავ უარი განაცხადა დასის გამგეობისაზე და მას ანტრეპრენიორი ფორკატი დაეპატრონა. ეს კაცი ხოლოდ იმაში იყო დაინტერესებული, რომ ქართული თეატრის შენობა ჩაეგდო ხელში არა ქართული წარმოდგენებისათვის და ფული მოეგო. სეზონის შუა მან რატი განაცხადა ქართული დასის გაძლიერება და სეზონი, როგორც იქნა, ვ. აბაშიძე მიიყვანა ბოლომდე. 1890—1891 წ. წ. სეზონში დასს კვლავ ვ. აბაშიძე განაგებდა, ხოლო 1891—1892 და 1892—1893 წ. წ. სეზონებში ისევე დრამატულმა საზოგადოებამ იკისრა დასის ხელმძღვანელობა.

1893 წლის 2 იანვრის დღესასწაული დრამატულმა საზოგადოებამ შედარებით წესიერად მოაშხადა, რადგან თადარიგს ადრევე დაიჭირა. აზრი დაიბადა, რომ ამ დღისათვის საგანგებო პიესა დაწერილიყო. გაზეთი „ივერია“ (№ 235) ამის შესახებ იუწყება, რომ დრამატული საზოგადოების გამგეობას „განზრახული აქვს სიხთვის ვისმე, ქართული თეატრის წლისთვისათვის (2 იანვარი) დასწეროს 1 მოქმედებიანი პიესა, რომელიც ქართული თეატრის დაარსებას უნდა შეხებოდეს. პიესის მოქმედ პირებდად გამოყვანილი უნდა იყვნენ ამ საქმის მოღვაწეები“. დღევანდის შუა რიცხვების დრამატული საზოგადოების მმართველობამ ცალკე კომისია აირჩია, რომელსაც მინანდო 2 იანვრის დღესასწაულის მიუყობა.

„ივერია“ შემდეგ იტყობინებდა, რომ 2 იანვრის დღესასწაულისათვის დრამატული საზოგადოების დაკვეთით ბ. უმიკავიძეს უკვე დაუწერია 1 მოქმედებიანი პიესა „სამხადისი“, რომელიც გამოსახული ყოფილა თეატრის აღდგენის სურათი 1850 წელს. გაზეთში დაწერილობით არის მოყვანილი პიესის შინაარსი. გაზეთის ამავე ცნობაში აღნიშნულია ხალხის დაინტერესება მომავალი დღესასწაულით, „ბილეთებს გუმიწვე თხოლობდნენ საღარიბოთ“ („ივერია“ № 275).

ამჯერად 2 იანვრის დღესასწაულს მეტი გამოძიხილი ჰქონია საზოგადოებაში, ვიდრე 1890-იან წლებში. „ივერია“ იტყობინებს, რომ თეატრის დარბაზში დიდი ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ასე რომ თეატრში ტვეა აღარ იყო. ბილეთები სულ გაიყიდა და ბევრი უკან დაბრუნდა, რადგანც ბილეთები სულ აღარ იყო“. მ. საფაროვ-აბაშიძის, ნ. გაბუნია-ცავარის, ვ. აბაშიძის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოადინეს „გაყარა“ გ. ერისთავის (პირველი მოქმედება); „შის დახმელება საქართველოში“ — ზ. ანტონოვისა (მეორე მოქმედება); „ბაიუში“, ფარსი 2 მოქ. გადმოკეთებული ა. ცავარის მიერ. წარმოდგენის წინ დადგმული იყო ცოცხალი სურათი: სამი მსახიობი გამოსატყავდა შოთა რუსთაველს, გიორგი ერისთავსა და ზურაბ ანტონოვს. მათ მხარის უშეწყენდა ორი ქალი, რომლებიც გამოსატყავდნენ „კომედისა“ და „დრამას“. ირველიც იდგა მთელი დასი“ (გაზ. „კავკაზი“ № 3, 1893 წ.). პეტრე უმიკავიძის პიესის „სამხადისის“ დადგმა დასს ვერ მოუწერია.

1893—1894 წ. წ. სათეატრო სეზონს კვლავ ქართული დრამატული საზოგადოება განაგებდა. გასულ სეზონთან შედარებით დასი, რეპერტუარის მხრივ გაცილებით უკეთეს მდგო-

მარეობაში იყო. მთელი რიგი პიესები იყო წარმოდგენილი თანამედროვე ცხოვრების თემაზე (მეტწილად რუსულად თარგმნილი). დასში მუშაობდა რუსებიდან დაშორებული ლალო მესხიშვილი და მისმა თამაშმა დაამწება ქართული სცენა. ამიტომ 1894 წლის 2 იანვრის დღესასწაულმა — საიუბილეო წარმოდგენამ ქართული თეატრის დაფუძნებისა, რომელიც კვლავ ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის თაოსნობით მიუწყო, დიდი ინტერესი გამოიწვია. დრამატულმა დასმა ითამაშა „გაყარა“, „სადილი მარში-სას“, ი. ტურგენევის კომედიიდან გადმოკეთებული გ. ერისთავის მიერ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“, კომ. 1 მოქმედებად გადმოკეთებული გ. გუნიას მიერ. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ მ. საფაროვ-აბაშიძის, ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი და სხვ. მონაწილე გამოსცადებულ იყო ლალო მესხიშვილიც (ივანე დიდგებულის როლი — „გაყარაში“), მაგრამ ავადმყოფობის გამო მან ვერ ითამაშა და მის მაგივრად სცენაზე გამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი კოტე შთიორიშვილი.

1894-1895 წ. წ. სეზონში ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ კვლავ ხელი აიღო დასზე. მის მაგივრად დასს მითავეობა გაუწია პატარა ამხანაგობამ — წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის — სახელწოდებით. ამ სეზონში დასს რეჟისორი იყო ლალო მესხიშვილი, მმართველად მინისტრატორი ვ. გუნია.

სათეატრო სეზონის გახსნა შეგვიანდა შენობის შეკეთების გამო, ხოლო შემდეგ წარმოდგენების გამართვა ერთი თვით შეფერხდა თეატრში გაჩენილი ხანძრის გამო (დაიწყო მარჯვენა ლოგები). მაგრამ სეზონი მაინც წარმატებით დამთავრდა. ლალო მესხიშვილმა რეპერტუარში შეიტანა მთელი რიგი ახალი პიესები, მათ შორის ა. ოსტროვსკის „უდასაშუალოდ დასჯილი“. აქტიურიული შესრულების ხარისხიც კარგი იყო. დასმა იგრძობ ნამდვილი პასუხისმგებლობა მყურდრების წინაშე. ლალო მესხიშვილის სახით დასს ნიჭიერი ხელმძღვანელი აღმოუჩნდა.

„ამხანაგობამაც“ არ დაივიწყა ქართული თეატრის დღესასწაული და 1895 წლის 2 იანვრის საზეიმო წარმოდგენა გამართა „ქართული თეატრის დაარსების მოსახერხებლად“. წარმოდგენილი იქნა „ტოვით მოგზაურობა ლიტერატორთა“ ზ. ანტონოვისა და „დავა“ გ. ერისთავის (მეთხუთ მოქმედება). წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ქართველ მომღერალთა ვარსკვლავი ისევე რატოების ლობჯინაობით და სალალო გადიამცა ამ უანგარო მოღვაწის პატივისცემის აქტად. მას მირათვეს სარეჟორი „ქართული საზოგადოების მმართველ ამხანაგობისა-გან“ და ამასთანავე მწიგნობელი და გულმოდგინე სიტყვა უთხარა ლალო მესხიშვილმა. ეს კაცი, როგორც ვუწვიო, — ვკითხულობთ „ივერიაში“, — არავითარს შრომას არ ჰშოვავს ჩვენი ქართული გალობა-სიმღერის ნოტებზე გადასალებად. ამ მხრივ იმდენი შრომაც მოუძღვის, რომ სწორედ დღისი იყო მადლობისა („ივერია“ № 2). ამ ჩემმა მოღვაწემ საქართველთა მიერ გასწილობდა იქნა და დიდი ამაგი დასდო ქართული სიმღერის განვითარებას.

1896 წლის 2 იანვარს კვლავ გაიმართა საზეიმო წარმოდგენა „სახსოვრად ქართული თეატრის დაარსებისა“. წარმოდგენა მოაწყო ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ, რომელსაც ამ სეზონში ნავსირი ჰქონდა დრამატული დასის მითავეობა. დასმა ითამაშა „გაყარა“. წარმოდგენის წინ უჩვენეს ცოცხალი სურათი, რომელიც შემდეგს გამოხატავდა სცენის შუაზე გ. ერისთავის პორტრეტს თავზე ადგა მსახიობი



ნინო ჩხვიძე, ანგელოზის სახით, დადნის გვირგვინით ხელში, პორტრეტის აქეთ-იქით იდგენ მსახიობები საფარავ-ამაშიძისა და მელიქიშვილისა, რომლებიც გამოსაყადნენ „კომედიას“ და „დრამას“, ირველი იდგნენ მსახიობები გიორგი ერისთავის პიესების გმირთა ტანსაცმელში. ორკესტრი „მრავალკამერის“ უკრავდა.

1896—1897 წ. წ. სეზონში თბილისის დრამატულ დასს ქართული დრამატული საზოგადოება ხელმძღვანელობდა, ხოლო მატერიალური სახსრებისგებლობა „წარმოდგენების მმართველ ამხანაგობას“ ჰქონდა ნაყისრი. 1897 წლის 2 იანვარს სახეობი წარმოდგენა დრამატული საზოგადოების გამგეობამ მოაწყო. „ქართლის თეატრის დაარსების საღვთისსა-წაულოდ“ წარმოდგენილი იქნა „ტუნწი“ გ. ერისთავისა და „ქმარი ხუთი ცილისა“ ზ. ანტონოვისა. კომედიების შუა ურეენ-ვის ცოცხალი სურათი. შუა სცენაზე ყვავილებით მორთული გ. ერისთავის პორტრეტი იდგა. აქეთ-იქით მსახიობები იყვნენ დამწვრილებული გვირგვინებით ხელში. ორკესტრმა „მრავალკამერის“ შესაბარა. შემდეგ პოეტმა ვიოლამ ამაშიძემ წაიკითხა გიორგი ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი.

ქართული დრამატული საზოგადოება ამ სეზონში წარმოდგენებს ქუთაისშიც მართავდა (ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით). 1897 წლის 2 იანვარს აქაც იყო გამომცემი გ. ერისთავის წარმოდგენა — „გაყარა“. ეს იყო პირველი შემთხვევა 2 იანვრის დღესასწაულისა ქუთაისში და, სკრ-თოდ, თბილისს გარეთ. სამწუხაროდ, ამ წარმოდგენის შესახებ არავითარი ცნობები, გარდა გაზეთის განცხადებისა, არ მოგვეპოვემა.

თბილისის თეატრის 1897—1898 წ. წ. სეზონში დრამატულ დასს კვლავ ქართული დრამატული საზოგადოება მოთავსებდა. დასის რეჟისორი იყო კოტე მესხი.

ამ სეზონში 2 იანვრის დღესასწაული მეტად საინტერესო აღმოჩნდა იმით, რომ დასმა წარმოადგინა პეტრე ჯუჯაშვილის მიერ დრამატული საზოგადოების დაკვეთით უკან კიდევ 1892 წელს დაწერილი სცენა „სამაზადისი“. ამ სცენაში გამოხატული იყო „წარჩინებულ“ სცენისმოყვარეთა რეპეტიცია გ. ერისთავის კომედია „გაყარა“ 1849 წელს და მეფისნაცვლის მ. ვორონცივის მოსვლა ამ რეპეტიციასზე. ადვოკატი იყო თითქმის ყველა ისტორიული პირი, რომელიც მონაწილეობდა პირველ წარმოდგენაში 1850 წლის 2 იანვარს. მატერიალური დირიჟები პიუსა ბევერს წარმოადგინდა, მაგრამ როგორც ისტორიული ფაქტის გაცოცხლება, მეტად აინტერესებდა საზოგადოებას, განსაკუთრებით თავადანაუკრობის იმ პირთ, რომლებიც „გაყარის“ პირველი წარმოდგენის მონაწილეთა შთამომავალი იყვნენ. წარმოდგენის გამგებელი იყო დრამატურგ დავით ერისთავის ქვრივი, გიორგი ერისთავის რძალი მ. ერისთავისა. წარმოდგენამ დიდილი ხალხს მიიზიდა. ადგილები რომ აღარ იყო, — წყარდნენ „კვლეში“, — მრავალი სკამები მიადგეს იქ, სადაც კი ცარიელი ადგილები მოიპოვებოდა; ფასიც არავის ენახებოდა, თუნიდ ერთ-ორად გადაიხდიდნენ, ღოღინ ადგილი ეღობათ“. საღამოს პროგრამა ასეთი იყო: „სამაზადისი“, სცენა ქართული თეატრის დაფუძნების დროისა, ჰ. უმი-აკვილისი; „გაყარა“ გ. ერისთავისა (სამი მოქმედება); აპოთეოზი ლეკური. „სამაზადისში როლებს ასრულებდნენ: კ. მესხი (გ. ერისთავი), გ. კანდელაკი (პლ. იოსელიანი), გ. გუდგენაშვილი (ჭილაშვილი), კ. შათირიშვილი (დომ. ყიფიანი) და სხვ. მეფისნაცვალ მ. ვორონცივის როლს

ასრულებდა თბილისში საგაგატროლოდ ჩამოსული უკრაინული დასის მსახიობი კარპენკო. აპოთეოზში გიორგი ერისთავის სურათის წინაშე „მელოპონმა“ — (ევ. მესხი) და „პოეზიამ“ (კოტე მესხი) დიალოგის სახით წაიკითხა გრ. ამაშიძის მიერ დაწერილი „შესხმა ქართული თეატრის დამფუძნებელთაში“. დასასრულს ლეკური იცხვავა ელ. ჩერქეზიშვილი.

გაზეთი „კვლი“ (№ 2) ვრცლად შეჩერდა ამ წარმოდგენაზე, კერძოდ „სამაზადისზე“. „კვალის“ წერილში დავით ერისთავის ნათქვამი ამ პიესის დაწერის ისტორია და სხვათა შორის მოხსენებულია, რომ ჰ. უმიაკვილმა ბევრი რამ დაწერილობით ცნობები გამოჰკითხა „წარჩინებულთა“ წრის სკრ-ლისმამდგენებს ქეთევან ორბელიანს, რომელიც 1892 წელს ღრმად მოხუცი იყო. „კვლი“ აქებს თვით პიესას, როგორც საინტერესო თხზულებას, აქებს, აგრეთვე, შემსრულებელ მსახიობებს.

გაზეთი „ივერია“ (№ 21) „სამაზადისისა“ და როლების შემსრულებელთა ქებასთან ერთად აღნიშნავს, რომ ჩვენს მსახიობებს „კვიანი კაცების როლების შესრულება ეძინელებათ“... გაზეთის სიტყვით კ. შათირიშვილი დომ. ყიფიანის როლში „ფუქსავატ ახალგაზრდას შეგანდა“, გ. კანდელაკი პლატონ იოსელიანის როლში „შექპირის“, მასხარას — მოგაგონებოდა, ხოლო საფარავი შამიცივის როლში — სულელსა და ცრუს. ვრცელი წერილი მიუძღვნა ამ წარმოდგენას, აგრეთვე, გაზეთმა „კავკაზმა“ (№ 2).

2 იანვრის დღე 1898 წლის ქუთაისის დრამატულმა დასმაც აღნიშნა. წარმოდგენილი იქნა „დავა“ (მეოთხე მოქმედება) და „დევიდარაბა“, გადმოკეთებული დ. ერისთავის მიერ. წარმოდგენის შემდეგ კ. ყიფიანმა ქართლის თეატრის აღორძინების მოკლე ისტორია წაიკითხა და არტისტებმა თავ. გ. ერისთავის ქანდაკება დადგნეს. არტისტმა გ. თუბთერძემ საღამოს შესაფერი ლექსი წაიკითხა (გაზ. „ივერია“ № 3).

გიორგი ერისთავის სსუთა მისთვის მიუძღვნა თავისი წარმოდგენა 1898 წ. 4 იანვარს მუშა-სცენისმოყვარეთა წრემ თბილისში, ავჭალის აუდიტორიაში. წარმოდგენის „გაყარა“. ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთ „ცნობის კურცელში“ (№ 419) ეწერა: „...სიმართლე უნდა ვთქვათ, ვერცადავ ითამაშეს. საუკეთესოდ შეესწავლათ ყველას თავიანთი როლები და სცენაზე თავისუფლად ეტრათ თავი. ქება და დიდება მათ, რომ ამ კეთილ საქმეს გურ-მოდინეთ მოჰკვიდრნათ და თავიანთი ცდა და შრომა არ დაუშურებიათ“.

„სამაზადისი“ ქართული დრამატული საზოგადოების დასმა ათი დღის შემდეგ, 1898 წლის 11 იანვარსაც გამართა, რაც მოწოდებს ამ ნაწარმოების წარმატებას მაყურებელთა შორის.

წარმატებითვე ჩატარდა 2 იანვრის დღესასწაული 1899 წელს თბილისის ქართულ თეატრში. ქართული დრამატული საზოგადოების დასმა წარმოადგინა „დავა“ და „სამაზადისი“. მსახიობებს შესანიშნავად უთამაშნიათ „დავაში“, განსაკუთრებით გ. ამაშიძეს (სარქის ბუღდანიჩი), კ. მესხს (იმერელი ლომინი), ე. ჩერქეზიშვილს. „...განსაკუთრებით სამაგნებ-ბით ვიღებთ კალამს ხელში, რომ გულწრფელად ვსთქვათ: ქართული წარმოდგენა 2 იანვარს მშვენიერი რამ იყო.“ — კვითხულობთ „ივერიაში“ (№ 2).

1899—1900 წ. წ. სეზონში ქართულმა თეატრმა ორი ისტორიული თარღი აღნიშნა. ეს იყო მუდმივი დასის დაარსების 20 წლისთავი (8 ოქტომბერს) და გიორგი ერისთავის თეატრის დაარსების 50 წლისთავი (2 იანვარს).

2 იანვარს შუა დღისას ქართულ თეატრში გაიხსნა ქართული დრამატული საზოგადოების საზეიმო სხდომა. „გამგეობის თავმჯდომარემ“ ვ. სულხანიშვილმა კრების დაწყებისთანავე გააცნო იქ მყოფთ მიზეზი კრებისა, სახსენას ქართული სცენის აწ განსწავლული მოღვაწენი, საერთოდ, და სიხვნა კრების ფუნქცია წამოადგომი პატივი ევათ მათის სხენებისათვის. მიუღმა საზოგადოებამ ფუნქციონირებას პატივისცემა განუცხადა ქართულის სცენის გარდცვალებულ მოღვაწეთ. შემდეგ გამგეობისვე წინადადებით კრებამ ქართულ დრამატულ საზოგადოების საბატიკო წევრებად ამირჩია ჩვენი პატივცემული დრამატურგნი ბ-ნი გაბრიელ ნიკიტის ძე სუნდუკიანი და აქესნტი ანტონის ძე ცაგარელი. ორივე მწერალი საზოგადოებამ ხანგრძლივი ტკისიცებით დააჯილდოვა. საზოგადოდ კრების თავმჯდომარედ ამირჩეული იქნა საბატიკო წევრი ან საზოგადოებისა კენენა ნინო დავითის ასული ჩოლოყაშვილისა... (გაზ. „ივერია“ № 2, 1900 წ.).

დაიწყო მილოცვები. რუსული სცენის სახელით გამოვიდა რუსი მწერალი პ. ოპოინინი. მან „აუხსნა თეატრის ინტერნაციონალური მნიშვნელობა და უსურვა ჩვენ სცენას, რომ ეს არ დავიწყებოდეს და შევექმნას პიესები, რომლებიც თანაგრძობას გამოიწვევენ სხვა ერთა შორისაც“, — წარს გაუთი „კვალნი“ (№ 2).

თბილისს არტისტული საზოგადოების სახელით საზეიმო კრების მიულოცა ვ. ვ. კარნოვიჩმა, თბილისის ქალაქის თეთ-მარჯველიის სახელით — ქალაქის გამგეობის წევრმა ვ. ნ. ჩერქეზოვიძემ.

შემდეგ ი. ჭავჭავაძემ, როგორც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარემ და გაუთი „ივერია“ რედაქტორმა, წაითხა მისილოცი ადრესი. მასში მოკლედ იყო დახასიათებული ქართული თეატრის განვითარების სადღეგრძელო და ბოლოს ქართული: „... ეს დღე, აზნაღდ შესანიშნავი, მრავალგვარად სადღესასწაულოა ჩვენთვის და „ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აღტაცებით და მრავალის სურფითი აღსავსე გულით მიმართავს ქართულ თეატრს, მისს მუშაკთ-ქართულ დრამატულ მწერლებს და ქართველ მსახიბთ. მისს ხელმძღვანელს — ქართულ დრამატულ საზოგადოებას და ერთად მიუღ ქართულ ერთან ულოცავს ასეთ დიდებულს ჩვენის თეატრისა და ლიტერატურისათვის დღესასწაულს“.

ჟურნალ „მოამბისა“ და გაუთი „ცნობის ფურცლის“ სახელით კრებას მიულოცა ი. ჭყონიამ. ადრესებით გამოვიდნენ: სახალხო თეატრის ქართული სექციის სახელით — სექციის თავმჯდომარე მ. დემურია, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე ი. თაყაიშვილი, სომხური ჟურნალის „აღბურისა“ და „თარაზის“ სახელით ადრესი წაითხა ვ. მ. მარლინიამ. 8. ავალმშვილმა წაითხა „ქართული თეატრის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 1850 — 1900 წელი“.

სადამის ქართული დრამატული საზოგადოების დასამა საზეიმოდ მორთულ თეატრის შენიბაში წარმოადგინა „გაყარა“, შემდეგ გაიმართა აპოთეოზი. სცენაზედ, შუა აღავას დადგმული იყო გ. ერისთავის სურათი, ყვეალებით შემკული და ელექტრონი განათებული. სურათის ცალ-მხარეს იდგნენ ქართული თეატრის მსახიბები, ხოლო მხარე მხარეს ზ. ფალაშვილის ქალთა და ვაჟთა ხორი. მან შესარულა რამდენიმე სახალხო სიმღერა. შემდეგ კვლავ გაგრძელდა მილოცვები. სადღესასწაულო წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დასწრებია, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის ფასი აწვეული

ყოფილა, „თეატრში ტევა აღარ იყო, — ვკითხულობთ „კვალნი“, — რი გამო ცოტა უწესრიგობა სუფევდა: ვინც მოასწრება ის ჯდებოდა სკამზე. უბილეთობის გამო უკანაც ბეგრი დაბრუნდა“ (გაუთი „კვალნი“, № 2).

საზეიმო სადამო ქუთაისშიც გაიმართა ლ. მესხიშვილის, შ. დიდიანის, პოეტ გრიგოლ აბაშიძის და სხვათა მიწაწვეულებითი წარმოდგენები იქნა: „სამზადისი“, „დავა“ (მეთიხე მოქმედება), „დეთი“ („დმერთმა შეგებეროს“) კომედია. გადმოკეთებული გ. ვოლკის მიერ, „არც აქეთ, არც იქით“ გადმოკეთებული ვ. ვანიას მიერ. მთრე მოქმედების შემდეგ გაიმართა ზეიმი. სცენაზე დადგმული იყო ყვეალებით მორთული გ. ერისთავის სურათი. ირგვლივ ჩამწრივებული იყვნენ მსახიბები ხელში გვირგვინებით. სურათის უკან, მაღლობზე იდგნენ ელექტრონი განათებული მსახიბი ნინო ჩხეიძე, „მელომენა“ და პოეტი გრ. აბაშიძე, რომლებმაც წაითხეს გრ. აბაშიძის მიერ შედგენილი დიალოგი „მელომენა და პოეზია“.

დღესასწაული ბათუმშიც და თელავშიც გაიმართეს. ბათუმში სცენისთვისკრებებმა თიამაშეს „გაყარა“ (ორი მოქმედება) „ქუნწი“. ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელმა ივანე გოთალაშვილმა წაითხა გ. ერისთავის მოკლე ბიოგრაფია. თელავში სცენისთვისკრებთ ამ დღეს წარმოდგენიათ „სამზადისი“ და „უჩინმარჩის ქუდი“. აპოთეოზში ყვეალებით მორთული გიორგი ერისთავის სურათი გვირგვინით შემეყიათ. წაითხული ყოფილა ქართული თეატრის მოკლე ისტორია.

ასე მრავალშინაარსიანად ჩატარდა ქართული თეატრის დღესასწაული 1900 წელს. ეს იყო ერთგვარი შეჯავება ჩვენი თეატრის ზრდა-განვითარებისა იმ დღეებში პირობებში, რაც შექმნილი იყო ცარიზმის კოლონიური და სოციალური ჩაგვითი.

აღარ განავარძობთ ორი იანვრის დღესასწაულების აღწერას მეოცე საუკუნეში გროვლუციამდელი ქართული თეატრის მიერ, რადგან აქ მოყვანილი ფაქტებიც საკმარისად გვიდასტურებენ, თუ სა დიდი უკრადლებით სარგებლობდა ეს დირს-შესანიშნავი თარიღი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ცხრასაინი წლების დასაწყისიდან ორი იანვრის დღესასწაული უფრო ფართოდ, შინაარსიანად და უფრო მეტ ადგილებში იმართებოდა, ვიდრე ოთხმოციან და ოთხმეოცდაათან წლებში. აღსანიშნავია, რომ თეატრის მოღვაწენი ამ დღეს ცდილობდნენ, გარდა პ. უმიკაშვილის „სამზადისისა“ და გ. ერისთავისა ზ. ანტონის კომედიების წარმოდგენისა, ექვემდებებათ აგრეთვე თანამედროვე შინაარსის ახალი დრამატული ნაწარმოებები.

ორი იანვრის დღესასწაულის საიბიხი სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყილობის ურადლების საგანსაც შეადგენდა, 1914 წლის ივნისში. ყილობამ სპეციალური დადგენილება გამოიტანა. იმ, ისიც: „ა) რადგანც პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა ერგულე მუგის დროს 1791 წელს, ყილობამ გადაწყვიტა ეთხოვოს თბილისის დრამატულ საზოგადოებას მიმავალ 1916 წელს გადახადოს 125 წლის ოუბლი და დღესასწაულისა და ცეაღის დადვას ის პიესა, რომელიც მამინ იყო წარმოდგენილი ე. ი. „მუფე თეიმურაზი“ ავალმშვილსა, ბ) ვინიდან ჯერ გამორჩეული არ არის დღე პირველის ქართულის წარმოდგენისა, ამისათვის ვინც ეს გამოირვევდეს, დარჩეს სადღესასწაულოდ ისევ დღე ორი იანვრისა, მით უმეტეს, რომ ამ დღეს ჩაიყარა საძირველი მუდმივი ქართულის დასისა“.

თებერლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოში მენშევიკების ბატონობას, როგორც ცნობილია, ქართული თეატრი კრიზისს განიცდიდა. მაგრამ ქართველი მსახიობები ამ დროსაც მართავენ 2 იანვრის დღესასწაულს, თუმცა ეს უფრო ქართული თეატრის არსებობისათვის ბრძოლის დღე იყო. სპეციალურ ერთდღიურ გახუთში, რომელიც ქართველ მსახიობთა კავშირმა 1920 წლის 2 იანვრისათვის გამოუშვა, აღწერილი იყო ქართული თეატრის მდგომარეობა, უმუშევარი მსახიობების გაჭირვება. ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწეები ამ გახუთში აღფრთოვანს გამოხატობენ სახელმწიფოს მხარველობის მხრივ თეატრისადმი უყურადღებობის გამო. დრამატურგი ნიკო შიუკაძელი წერდა: „მთხოვთ, სიძვი რამე თეატრზე, მსახიობთა... ეს ხომ ჩემთვის იქნება ჩამომღრჩავლის სახელი თოვზე ლაპარაკი... ისე არაფერია დღეს მივიწყებული და ნაგავი გადავდებული, როგორც ხელოვნება... მსახიობი, თქვენი გათვება ცხოვრებშიან ვერე გაუთხოვანავად, უმუშევარ — ეს გადავდებული კაცუნების ხევა...“

ამ კრიზისს ქართულმა თეატრმა თავი დააღწია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა მთავრობამ ყველა პირმა შექმნა ქართული ერთეული თეატრის აღდგენისა და ნამდვილი შემოქმედებითი ავადები-სათვის. სცენის შესახიზნავი ისტატი კოტე მარჯანიშვილი 1922 წელს სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრს და გამოიყვანა თეატრი მხატვრული სრულყოფის ბრწყინვალე გზაზე. მისივე თაოსნობით დიდი ზემოთ აღინიშნა ქართული თეატრის ისტორიული დღე—ორი იანვარი. 1923 წლის 2 იანვარს რუსთაველის თეატრში მოეწყო საზეიმო წარმოდგენა, მიძღვნილი ამ დღისადმი. წარმოდგინეს ზურაბ ანტიონოვის კომედია „შუის დაწნელება საქართველოში“ კოტე მარჯანიშვილის ახალი დავითი. არ მოგვივით ამ შესანიშნავი წარმოდგენის დაწერილობით აღწერას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კოტე მარჯანიშვილმა ამ სპექტაკლში დიდი აზრი ჩააქსოვა. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქართული თეატრის როგორც ახალი, ისე ძველი თაობის მსახიობებმა. ზოგიერთი ძველი მსახიობი უბრალო, უსიტყვო როლით გამოვიდა, უფრო მეტიც, რუსი მოხელის როლი ამ წარმოდგენაში შესრულა თბილისში სტუმრად მყოფმა რუსული თეატრის კომარჩილმა მსახიობმა ა. სუმბათაშვილ-იუკინმა. ამრიგად, კოტე მარჯანიშვილმა ამ წარმოდგენით გაერთიანებისაკენ მოუწოდა ქართული თეატრის ძაბებს.

ორი იანვარი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული თეატრის საზეიმო დღედ იქცა. იგი დადასტურდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (1923 წლის 19 დეკემბერს, სხდომის ოქმი № 32). დადგენილებაში ვკითხულობთ: „ორი იანვარი გამოცხადებული იქნეს ქართული თეატრის ოფიციალურ დღესასწაულად. ნება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს მოაწიოს 2 იანვრის რესპუბლიკის მიერ ტერიტორიაზე შესაფერისი წარმოდგენები და სანახაობანი, რომელთა საერთო შემოსავლის 50% გადაეცეს საქართველოს მსახიობთა კულტურული კავშირის საბჭოს სათაგრო ხელოვნების მუშაკთა კულტურული დონის ამაღლებლად. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შალვა ელიავა, მდივანი ლ. სალარიძე... ამ დადგენილების შესასრულებლად 1923 წლის 28 დეკემბერს გამოცემული იქნა განათლების სახალხო კომისარის განკარგულება № 41, რომლითაც რესპუბლიკის ყველა სანახაობით დაწესებულებებს (დრამისა და ოპერის თეატრებს,

აგრეთვე კინოებს) ევალებოდათ ედღესასწაულათ ვარი.

ამ დადგენილების შესაბამისად 1924 წლის 2 იანვარი ზემოთ აღინიშნა რუსთაველის სახელობის თეატრში. ამ დღეს წარმოადგინეს მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“, კ. მარჯანიშვილის დადგმით. გამოვიდა საგანგებოდ შედგენილი კრებული „სახიზნავი“, რომელშიც დაიბედა ჩვენი თეატრალური ხელოვნების ცნობილი მოღვაწეთა წერილები და მოგონებები. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით კლდიაშვილის წერილი, რომელიც სრულად მიგვყავს: „ხარბი და უსაზღვრო სისარულს ეძლევი, როცა ხედავთ თუ რა წარმატებაშია დღეს ქართული თეატრალური ხელოვნება. მწერალი ახლაცაქცეაში მიდისარ ამ წარმატებით და ენერგიას გამატებს ახალი შრომისათვის; გული რწმუნით ივსება, რომ მისი ნაწარმოები წარუდგება საზოგადოებას, სასცენით აღსრულებული როგორც გარგნული, ისე შინაარსის მხრივ. ამას რომ მისაღება ქართულმა სცენამ, ან, სწორედ ვე არის მიზეზი, რომ საზოგადოება განსხვავებული ხალისით ეტანება თეატრს და მისდამი სიმატება, სიყვარული და ნდობა თანდათან მიღვაგრდება. გამართლებული გახდა მუშაობა მთელი რიგი მომუშავეთა, რომელნიც თავიანთი ძალითა და ღონით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ქართული სცენის წარმატებას. დაილოცა მათი მუშაობა, დაილოცა მათი სახელი. — მათი წყალობით გაყოლებდნენ და თავის დიდებულებოვით წარმოებდნენ ისეთი ნაწარმოები, რომელნიც უსამართლოდ დაგაწყებებს ეძლეოდნენ. სხვას არას ვიტყვი ამ ხანად: თუ ვინ რა ღვაწლი დასდო ქართული სცენის წარმატებას. მხოლოდ ვეტყვი ჩემს, მწერლის მადლობა იმ რევისორთა ჯგუფს — ძვირფას კოტე მარჯანიშვილის მეუარეობით რომ მიღვაწეობს, რომელმაც უნახავი დადგმებით გააბრწყინა ქართული სცენა, იმ ნიჭიერ მხატვარს, იმ შესაბამისებურ, მუშაობაში გატაცებულ მსახიობთ, რომელთა ასეთ თვალსაჩინო წარმატებაში შეიყვანეს ქართული სცენა, თეატრალური ხელოვნება.“

ასევე აღინიშნა ორი იანვრის დღესასწაული 1925 წელსაც, როდესაც შესრულდა 75 წელითა ციორეი ერისთავის თეატრის დაარსებიდან. გაიმართა საზეიმო წარმოდგენები. აღსანიშნავია, რომ კოტე მარჯანიშვილი ამაჯრად აპირებდა ძველი ქართული სანახაობანი — ყვენობის მოწოდებას თბილისის ქუჩებზე (ის ამ ხანს გატაცებული იყო ძველი ქართული სანახაობით. თურნალ „კავკასიელი“ სტატიაში კო მთავრად ამის გამო). დღესასწაულის წინ გაუთიო „კომუნისტ“ ულოცავდა თეატრის მუშაკებს ამ ისტორიულ თარიღს: „...დღეს, როდესაც ქართული თეატრი სახელმწიფოს ზრუნვის საგანს წარმოადგენს, მისი წინსვლა და გაფორმება სწრაფი ტემპით წარმოებს. ამას მოწოდებთ თუ გინდს ის ფაქტიც, რომ ამჟამად საქართველოს დედა-ქალაქში სამი სხვადასხვა მიმართულების თეატრია. 75 წლისაგებზე ჩვენ ვიკონებთ ქართულ თეატრის განვლილ ეკლანს გზას და მტკიცე რწმუნებით შეგვარებთ მის მომავალს. საღამი მას და მის ერთგულ მსახურთ...“

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის თურნალმა „ხელოვნებამ“ (რედაქტორი სანდრო ეელი) მთელი რიგი წერილებით აღნიშნა ეს დღესასწაული („ხელოვნება“ № 1, 1925 წ.). ამ სტატიებში გამოთქმული იყო აზრი, რომ, მართალია, ორ იანვარს ვეგვიმობთ, მაგრამ ეს თარიღი ქართული თეატრის დაფუძნების სწორი თარიღი არ არის. საქართველოს სწარმოებებს მეცნიერული კვლევა და დადგინდეს ქართული თეატრის დაარსების ზუსტი თარიღი. აღბათ, სწორედ

ამ მიზნით შურნალში მოთავსებული იყო პროფესორ კორნელი კეკელიძის ვრცელი სტატია „ძველი ქართული თეატრი“.

ფართოდ აღინიშნა 2 იანვარი 1926 წელსაც. ამ დღესასწაულის მოსაწყობად ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის გამგეობამ სპეციალური კომისიაც კი გამოიყი. კომისიაში შედიოდნენ სანდრო ეული, იოსებ გეგეჯანიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფაღავა და აკაკი ვასაძე.

რუსთაველის სახელობის თეატრში ამ დღეს წარმოადგინეს „ჰამლეტი“. წინა დღით გაზეთი „კომუნისტი“ წერდა, რომ კოტე მარჯანიშვილის ეს დადგმა „აჩრეულია სადღესასწაულო წარმოდგენად, როგორც უკანასკნელი საუკეთესო მიღწევა ჩვენი თეატრის, საერთოდ, და, კერძოდ, ჩვენი ახალგაზრდა მსახიობებისა“. წარმოდგენაში მონაწილეობდა ორი შემადგენლობა (ჰამლეტი — უ. ჩხეიძე და გ. დავითაშვილი, ოფელია — გ. ანჯაფარიძე და ბ. გამრეკელი, პოლონიუსი — ნ. გოციანიძე და ა. თაყაიშვილი და სხვ.). პროლეტკულტის „წითელი თეატრში“ წარმოადგინეს ა. წუწუნავას მიერ დადგმული „ჯანყი გურიაში“.

ორი იანვრის დღესასწაული მოეწყო ქუთაისში, ბათუმში, ფოთში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ამ მხრივ ქუთაისის დღესასწაული. დილის თერთმეტი საათიდან ქუთაისის დასი შეიკრიბა თეატრის წინ და შემდეგ ზურნის დაკრებით ავტომობილებით შემოიარა მთელ ქალაქს. გზადაგზა ავრცელებდნენ დაბეჭდილ ლოზუნგებს: „გაუმარჯოს ქართული თეატრის 76 წლისთავს“, „გაუმარჯოს ქართველ მსახიობთა დღეს 2 იანვარს“, „გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას საბჭოთა საქართველოში“, „გაუმარჯოს ქართულ ხალხურ თეატრს გასაგები ფორმით“, „გაუმარჯოს ქართული თეატრის ცოცხალ ემბლემს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვასო აბაშიძეს“, „გაუმარჯოს ქართული თეატრის პიონერების ხსოვნას“, „დიდება და სახელი ქართული თეატრის გენიოსს ლადო მესხიშვილს“ და სხვ. საღამოს თეატრში გაიმართა საზეიმო წარმოდგენა. კინოებში უჩვენეს ახალი ქართული ფილმები.

დღესასწაულისათვის გამოშვებული იყო შურნალ „ხელოვნების“ საგანგებო ნომერი, რომელიც 2 იანვარს ვრცელდებოდა ყველა ქალაქში. თბილისში მას ხელზე ყიდდნენ ცნობილი მსახიობები. შურნალი დაწესებულებებში დაჰქანდა დელეგაციას, რომელშიც შედიოდნენ თამარ ჭავჭავაძე, სანდრო ინაშვილი და ნიკო გოციანიძე. ამ შურნალში კვლავ მრავალი საინტერესო წერილი იყო დაბეჭდილი ქართული თეატრის მიღ-

წევებზე. ამავე დროს კვლავ გამოთქმული იყო აზრი, რომ საჭიროა ქართული თეატრის დაფუძნების ნამდვილი დღე გაირკვეს, რადგან 1850 წლის 2 იანვარი ქართული თეატრის დაარსების ნამდვილ თარიღად არ ჩაითვლება.

ეს იყო უკანასკნელი ზეიმი 2 იანვრისა. ამის შემდეგ ეს საუკეთესო ტრადიცია დაიწყებას მიეცა. რა იყო ამის მიზეზი? ექნებ ის ორპროფენბა, რომელიც გამოითქვა ამ დღის ირგვლივ? ან ექნებ ის, რომ თეატრში აღარ მუშაობდა ამ დღესასწაულის მოტრფეალებ კოტე მარჯანიშვილი, დეაწყუბას მიეცა ეს დღე, ხოლო სხვა დღე კი აღარაფერი დაწესდა, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების მუშაკთა კავშირმა სპეციალური კომისიაც კი გამოიყი ქართული თეატრის დაფუძნების ნამდვილი დღის დასადგენად.

ორი იანვრის დღესასწაულის ჩატარების ასე ფართოდ აღწერა იმიტომ დაგვიჩრდა, რომ გვსურს დავსვათ საკითხი ამ დღესასწაულის აღდგენის შესახებ, რადგან სხვა ზუსტი თარიღი ჩვენი თეატრის დაარსებისა ჯერჯერობით ვერ გამოგვიკვლევა (და მგონია, ვერც ექნება გამოკვლეული). ხოლო ქართული თეატრის აღდგენის თარიღად რომ ცნობილია 1850 წლის 2 იანვარი, — ეს ერთხელ კიდევ იქიდანაც ცხადად დასტურდება, რომ 1950 წელს ჩვენში დიდი ზეიმი იქნა გადახდილი ქართული თეატრის აღდგენის ეს დღე.

ჩვენში უკვე ყოველწლიურად შემოღებულია მხატვრის დღე, რადიოს დღე, პრესის დღე, გვერისა, რომ საბჭოთა ქართული თეატრი ღირსია აღვნიშნავდით ერთ დღეს, ორ იანვარს (ახალი სტილით 14 იანვარს) მთელი ქართველი ხალხის ყურადღებისა. ამ დღეს უნდა გაიმართოს თეატრის ზეიმი ყველგან, სადაც კი შესაძლებელია. ხოლო როგორ და რა წესით — ეს პირველ ყოვლისა უნდა განიხილოს თეატრალურმა საზოგადოებამ. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს იტრუნოს ორი იანვრის დღესასწაულის აღდგენისა და ყოველწლიურად ღირსეულად ჩატარებისათვის, მით უმეტეს, რომ მას ხელთ აქვს საბჭოთა მთავრობის ისტორიული დადგენილება ამ დღის საზეიმოდ გამოცხადების შესახებ*.

* ამ წერილის ავტორმა გ. ბუხნიკაშვილმა ქართული თეატრის დღის აღნიშვნის შესახებ საკითხი დააყენა სახელგნო ორგანიზაციებში, რაც უკვე დადებითად გადაწყვედა. მიმდინარე წლის 2 იანვარს საქართველოს საზოგადოებრივმა უკვე აღნიშნა ქართული თეატრის დაბადების დღე.

ს ა კ ა კ ი დ ა მ ე მ კ ა მ ე რ ა ტ ო რ ი ბ ა

აკაკი ურუშაძე

აკაკი წერეთლის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მძლავრად იგრძნობა კლასიკური სამყაროს ღრმა ცოდნა. სასიკაულო მეოხანი კარგად იცნობდა ძველ ბერძნულსა და რომაულ მწერლობას. მის მხატვრულ ქმნილებებში თუ კვლევითი ხასიათის წერილებში ხშირად გვხვდება ანტიკური ქვეყნების ისტორიიდან, ლიტერატურიდან და მითოლოგიიდან დამოწმებული ცნობები. აკაკის შემოქმედებაში მიმოიხივებოდა გაცივლებული ანტიკური მითოლოგიური პერსონაჟები. ამ მასალას პოეტი მეტად მარჯვედ იყენებდა მხატვრულ ხერხებად. საკანგებოდ დავასახელებთ ლექსს „ქართველ ქალს“, რომელიც აკაკიმ ელვზე მარბაშა მისულა. რაკი ლექსის აღრესატს ელვზე ქვეა, პოეტი ad hoc მოიგონებს თქმულებას მშვენიერი პენენს შესახებ, იმოწმებს კომედიის, „ილიადის“ და „ოდისეის“ პერსონაჟებს.

აკაკი წერეთელი ფოლკლორის, მითოლოგიის, ეთნოგრაფიის თუ ეტიმოლოგიის ფაქტების მცოდნე იყო. მისი ყურადღება იმთავითვე მიიყრდნობდა იმ ორმა დიდმა თქმულებამ, რომელთა მეცნიერული კვლევა-ძიება დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება. ესენია თქმულებები დღერეების წინააღმდეგ ამბოხებულის, თოკდავთა მფარველი ტიტანის—პრომეთესა და არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის ანუ „ოქროს საწმისის“ შესახებ, — თქმულებები, რომელთაც აკაკი კოლხურ-ელნიურს უწოდებს. მითები პრომეთესა და იაზონ-მედიამდე აკაკი წერეთელმა საკუთარი პოეტური თვალთვლების ბრძენი ვაჭარია, საფუძვლად ტრადიციულია და განსვავებული მხატვრული, იდურ-საეთიკური ჩანაფიქრი დაული და თავის უკვდავ შემოქმედებამ იხე უაწრთვლივანა.

მითს პრომეთეს შესახებ აკაკი ამბობს თქმულების იდენტურად მიიჩნევა და ქართულ ტმთა დასავლურ გაერთიანებაში წარმოქმნილად აღიარებდა:

„სანამ ძველი პრომეთოს —
ქართველების ამირანი
მიჯაჭული მგელობა,
ვერ ვამსჯავლავს სხვა საგანი“.

(„გაზაფხული“)

პოეტის დასვენა, რომ მითები პრომეთესა და ამირანის შესახებ იდენტურია, კარგად დაადასტურა შემდგომოინდელმა კვლევა-ძიებამ და დღეს ბერძნულ ადრ მიჩანა სადალოდ ამ მითების წარმოშობის სფერო წყარო.

ცნობილია, თუ რა დიდი და განსაკუთრებული ადვლი დაიკავა აკაკის შემოქმედებამ პრომეთე-ამირანის მითოლოგიურმა სახემ. აკაკი წერეთელმა ქართულ მწერლობაში პირველად გამოიყენა კავკასიის მთაზე მიჯაჭული პრომეთე-ამირანის სახე დატყვევებული სამშობლოს სიმბოლოდ და თავის ძირითადს — ერეზულ მოტებს დაუქვემდებარა. ის სიმბოლოური სახე უაღრესად მიმოხივებულად განსახილა. „თორნიკე ერისთავის“ მეთხვე კარში, სადაც აკაკიმ დაიღი ჰიშინი უმღერა სიმთეთ-ამირანს.

აკაკი წერეთლის მრავალი და სულ სხვადასხვა ფანრის ნაწარმოები უპირატესად საქართველოს ისტორიული წარსულით არის შთაგონებული. ისტორიული სიმართლე მაღალარაკებს, — ამბობს აკაკი, — და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული ვასაოცარია. უძველესი

დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვევებოდეს. ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლთა, სპეომედიანთა და სხვანი სულ ამ პატარა ქვეყანას ეძლეოდნენ... საქართველო იდგა როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარაზარი ტალღები ხე უხელებია, მაგრამ დაუძლიერებული და ქაფად ცქსული უსახვე იქცევიან“¹.

მითოლოგიური და ისტორიული წარსულის თემატიკა ემსახურება აკაკის შემოქმედების დომინანტურ იდეას — „წარსულ-წერგვე ახალ-წერგვის შფორცებას“. სწორედ ამ იდეას დაუქვემდებარა აკაკიმ მხატვრულად გადამუშავებული თქმულებები პრომეთე-ამირანისა და არგონავტების შესახებ.

არგონავტების მითი უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ბერძნულ მითოლოგიაში. იგი ძირითადად ელიზურ გარემოშია შექმნილი, მაგრამ მითის დეტალური შესწავლით ირკვევა, რომ მასში მოიპოვება არაელიზური — წინაბერძნული მოსახლეობის სამჭაროდან შეთვისებული დახარვეზებიც. ხომალდ „არგოს“ ლევენდარული მოგზაურობა აიაკლდების დაუძლიერე და მთურ ქალაქ ქუთაისში ოქროს საწმისის (ვერძის ოქროს ბეწვები ტყავის) გატაცება და იაზონ-მედიას რომანი იხევე, როგორც თქმულებები პრომეთეს, ტროას ომისა და თემეს შესახებ, ანტიკური ხელოვნების დაუმრეტელი წყარო იყო. არ დარჩენილა არა თუ მწერლობის, არამედ, სერთოდ, კლასიკური ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელსაც არგონავტების თქმულების ესა თუ ის ებოზიდი მხატვრულად არ დაეუძმევიანოს. „ცნობილია, — ამბობს მარქსი, — რომ ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც... ბერძნული ხელოვნების წინამძღვარს წარმოადგენს ბერძნული მითოლოგია“².

თქმულებას არგონავტების შესახებ ჯერ კიდევ ჰომეროსი იცნობს (IX საუკ. ძვ. წელთაღრიცხვით). „ილიადასა“ და „ოდისეაში“ გამოვლენილია ისეთი მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ეს თქმულება ჰომეროსის წინააღმონდელ ხანში უკვე არსებულად მხატვრული ემოსის სახით. ჰომეროსიდან მოქმედებულ თქმულებას არგონავტებზე უნივერსალურ თემად იქცა, როგორც ბერძნული, ისე რომაული მწერლობისათვის — ეპოსის, ლირიკისა და დრამისათვის (ტრაგედიისათვის). ამ მითის საფუძველზე დიდი მხატვრული ტილოები შექმნეს ანტიკური ხანის მწერლებმა: ევქლისმმა, პინდარემ, ესქილემ, სოფოკლემ, ევრიპიდემ, თეოკრიტემ, აპოლონიოს როდისელმა და სხვებმა — საბერძნეთში, ვალერიუს ფლავუსმა, ოვიდიუსმა, სენეკამ, დრაკონიუსმა და სხვებმა — რომში.

ფართო დაიპაზონის თემად დარჩა არგონავტების მითი ევროპულ მწერლობაში. თქმულების სხვადასხვა მხარეს მხატვრულად ამუშავებდნენ ნიდერლანდელი, ფრანგი, გერმანელი და ინლისელი პოეტები და დრამატურგები (კორნელი — „მედეა“, პლოკერი — „მედეა“, გრანს-ზოდელი — „მედეა“, კლინერი — „მედეა კორინთოში“, კრენერი — „ფრისეს და ჰელეა“ და სხვ.

მე-19 საუკუნის ოციან წლებში ავსტრიელმა დრამა-

¹ აკაკი. თეორი „კრებულო“, 1897, № 3, გვ. 5.
² ვ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი, 1953, გვ. 296.

ტურგმა ფრანც გრილარცერმა არგონავტების თემაზე შექმნა სამხატვრო დრამა, ლექსად, საერთო სათაურით „ოქროსი საწიხისი“ (Das goldene Vlies): 1. „სტუ-მარმოწყარე“ (Das Gastfreud) ერთ მოქმედებად, 2. „არგონავტები“ (Die Argonauten) ოთხ მოქმედებად, 3. „მედია“ (Medea) ხუთ მოქმედებად.

არგონავტების თქმულებას მატყაყლელებ ქართული მწერლობაც იყენობდა. ძველი ქართული მწერლობა თქმულების სხვადასხვა ეპიზოდის გადმოცემისთვის ბიზანტიურ წყაროებს ეყრდნობოდა (ეგვიპთე ათონელი — „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთავარბაგელოზისა მიქაელისათა“, ევრემ მცირე — გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები ე. წ. „ელისთა მეზღაპრებთა“). არგონავტების შესახებ ლაპარაკია ვახუშტის „გეოგრაფიაში“, ხოლო იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ თქმულება საკმაოდ ვრცელადაა გადმოცემული (იხ. იოანესა და დავითის საუბარი „მეტოლოგიის შესახებ“). ვახუშტისა და იოანეც თქმულებას რუსული გზით იყენობენ. ყველაზე უფრო ვრცელად არგონავტების მითი ქართულად გამოცეცა თეიმურაზ ბატონიშვილმა „ივერიის ისტორიაში“³, თეიმურაზსაც, ჩანს, ხელთ რუსული წყაროები ჰქონდა.

აღნიშნულის გარდა ქართულ ხელნაწერთა შორის დაცულია XVIII-XIX საუკუნეებში შედგენილი „მითოლოგიური კრებულები“, სადაც არგონავტთა მითის სხვადასხვა ვერსიებია გადმოცემული⁴.

არგონავტების თქმულება ქართულ ლიტერატურაში მხატვრულად პირველად აკაკი წერეთელმა დაამუშავა. მას განზრახული ჰქონდა არგონავტების თემაზე მთელი ტრილოგია დაეწერა, მაგრამ შეთხზა განზრახული ტრილოგიის მხოლოდ პირველი ნაწილი, ათმარცვლოვანი ლექსით გამართული „მედია კოლხიდაში“, რომელსაც (როგრაც „თამარ ცხივრსა“ და „პატარა კახს“) დრამატული პოემა უწოდა და შენიშვნებიც დაურთო. ამ შემთხვევაში აკაკი ამბობს: „ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს „მედიას“ ტრილოგია დაწერა; „მედია კოლხიდაში“, „მედია ელლადში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებულა“.

ქეცხლად ჩანს, რომ ტრილოგიის საერთო სათაურად აკაკის განზრახული ჰქონდა „მედია“. ხოლო შესრულებულ ნაწილს უწოდა „მედია კოლხიდაში“⁵.

აკაკის განზრახვა ტრილოგიის შექმნისა შემთხვევითი როლი იყო. მან გაითავისაწინა ის წესი, რომელსაც ანტიკური ხანის ტრაგიკოსები იცნავდნენ, სახელდობრ, ანტიკური დრამაში მითის ამომწურავად გადმოცემისთვის დაკანონებული იყო ტრილოგიური სისტემა: ტრილოგიის სამი ტრაგედია მჭიდროდ უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან დაკავშირებული სიუჟეტურად და მოქმედების განვითარებით. სამ ტრაგედიას თანმიმდევრობით უნდა გაეშალა მითში ასახული სიუჟეტის სამი ფაზა. ტრაგიკოსის პოეტური ცნებეცხვია მითის სრული და მხატვრული ასახვით იყო შეპირობებული. ასეთი იყო, მაგალითად, „ტრაგედიის მამის“ — ესქილეს ტრილოგია თებეს მითზე: „ლოისი“, „ოიდიპოსი“ და „მედონი თებეს წინააღმდეგ“ (მოდელურია მხოლოდ მესამე ნაწილი), სადაც თან-

³ თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწვებითგან ივერიისაჲ. საისტ-პეტერბურღი, 1848. იხ. აგრეთვე ფურც. „ციცკარი“, 1857 წ. №3, გვ. 30-41.

⁴ ა. ჟურქოვი, აპოლონიის როდოსელის „არგონავტიკა“, თბილისი, 1948. შესავალი, თ. III. არგონავტების მითი ქართულ მწერლობაში. გვ. 24-25.

⁵ ეს ხელნაწერი შესწავლილა ე. გ. ამაშუკელის მიერ სადინტრატული შრომაში — არგონავტების მითი ქართულ ლიტერატურაში (იხ. შრომის ავტორფერატი: E. V. Amashukeli. Mif ob Argonavtakh v gruzinskoj literaturre. Avtorferat. Tbilisi, 1954.

⁶ ამას უწრადლება უნდა მიჰქონდნენ აკაკის თხზულებათა გამომცემლებმა და ტრილოგიის შესრულებულ პირველი ნაწილი კვლავინდებურად „მედიას“ სათაურით ვ არ გამოცენ, არამედ ის სახელი დაიტოვონ, რაც პოეტმა დააქვა.

ქუთაისის სამხატვრო გალერეა

ვახტანგ ქუთათელაძე

ქუთაისში სამხატვრო გალერეის გახსნას წინ უსწრებლად მხატვრთა კავშირის ქუთაისის განყოფილების შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, გამოცდილი მოქანდაკე ვალერიან მიზანდარი.

გალერეის გახსნის დღე სასიხარულო მოვლენა იყო ქუთათურების ცხოვრებაში. ორ დიდ დარბაზში წარმოდგენილ

ფერწერულ, გრაფიკულ და სკულპტურულ ნაწარმოებებს აშკარად გრძობთ მხატვართა სიყვარულს ადამიანებისადმი. ესენი არიან ქუთაისის მშრომლები, პედაგოგები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ყურადღებას იქცევს მუზეუმის ძველი მუშაკის პეტრე ჭაბუკიანის, პირველი ქართველი ოპერატორის ე. ამაშუკელის, პოეტ კოლაუ ნადირაძის, რევოლუციონერების — ლ. ბახტაძისა და ს. ბახტაძის, დამსახურებული მასწავლებლის ტასო ჭუმბურიძის, შორეული ცურვის ფლაგმანის აპოტიანის ვახტანგ ბარათაშვილისა და სხვათა პორტრეტები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გალერეას მუდმივ ექსპოზიციაში გამოსაფენად გადასცა იაკობ ნიკოლაძის, ლალო გუღიაშვილის, ა. ციმაკურიძის, ს. ნადარეშიელის, ი. შორენაძის, ვლ. და დ. ქუთათელაძეების, ბ. სანაკიძის, რ. თარხან-მოურავის, შ. ცხადაძის, ზ. ლეჟავას, გ. ფირცხალავას, ქ. მაღალაშვილის, ა. ბაბუქეძე-მელიქიძის, ნ. იანჭოშვილის ნამუშევრები.

გამოფენაზე წარმოდგენილია ნიჭიერი მოქანდაკის ტ. სიხარულიძის სკულპტურული პორტრეტები, — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ალექსანდრე მისეშვილის.



მიმდევრობით იყო დამუშავებული ცნობილი თემებს თქმუ-
ლება⁷.

ძველ ბერძენ ტრაგიკოსებს, როგორც ტრაგედების
დაცული ფორმებიდან და სათაურებიდან ჩანს, არგო-
ნავების მთავრად რამდენიმე ტრილოგია შეთხზება. არ-
გონავტების მითის საფუძველზე აგებული ტრაგედები-
დან ჩვენამდე მოწოდებულია მხოლოდ ევრიპიდეს ტრაგე-
დია „მედია“, რომლის სიტყვებს შედგას მიერ კორინთში
ჩადენილი შურისძიების შემადარწმუნებელი ამბავი შედ-
გენს.

არგონავტების ციკლიდან ევროპულ მწერლობაში
ტრილოგია შექმნა ზემოხსენებულმა გრილბარცერ-
მა.

აკაი წერეთლის შემოქმედებითი ლაბორატორიის გა-
საცნობად საინტერესო მოგონებას გვაწვდის შ. დადიანი:
„ტრილოგიის შემდეგ აკაიის ახლო ნახვამ მასსოვს ქუთაისში,
კვლავ მამასთან. მამის თვის ბიესს „მედია“-ს წერდა.
მამას, როგორც ქართლის და ძველ გადმოცემათა კარგად
მცოდნეს, ეკითხებოდა ზოგი სიტყვის მნიშვნელობას, ან
ამბების ვარიანტს.

მე მამის წამოჩინებული ვიყავ და კარგად მასსოვს ზოგი
რამ, მაგ., თვით სახელი მედევსი.

მამაც და აკაიცი იმ არჩისანი იყვნენ, რომ მედევია
ქართულიდან არის გაბერძნელებული და ქართულად კი
ქართოქმის „მედევსი“, რადგან ეს მედევსურად უნდა
ნიშნავდეს „მე ქალი (ვარ)“-ს. „დია“ მეგრულად ქართულ
„ქა“-ს უდრის და ესლავ მეკვირვების დროს ხმარობენ.

აკართულ ქალაქის სახელწოდება „ეა“ და მეფის სახე-
ლი „ოტეს“ თუ „აეტეს“ ქართულად „იათა“ ქალაქი ყო-
ფილა და ოეტესი ამ „იათა“-დან არის წარმომდგარო.

⁷ ჩვენამდე ანტიკური ეპოქიდან მხოლოდ ერთი გაბმული ტრი-
ლოგიაა სრულად მოწოდებული. ესაა ესკილეს „ორესტეა“, რომელ-
შიაც შემდეგი ტრაგედები შედის: „აგამემნონი“, „მეფთორები“,
„ეპემნოდი“. აქ დამუშავებულია თქმულება აგამემნონზე.

ასე რომ აკაიემ შემდეგში ეგრეც იხმარა. მხოლოდ აქ
საყურადღებო ის იყო, რომ აკაიმი პირველად ეს ბიესს
მამას რომ წაუკითხა, პროზად იყო დაწერილი და კარგად
მასსოვს, შემდეგ ეს პროზა სიტყვა-სიტყვით იყო გალქე-
სილი.

მამასადამე აკაიის ესეთი მანერა ჰქონია, ჯერ, უთუოდ
მიცულმობით დიდ ნაწარმოებთა წერის დროს, პროზად
დაიუთავებდა და შემდეგ გალქესავდა.

უთუოდ ამ გარემოებას მკვლევარები მიაქცევენ ყურა-
დღებას და მაშინ ჩვენ კარგა შინ შევიტყობით აკაიის ლა-
ბორატორიაში⁸.

შემონახული მასალებიდან ჩანს, რომ აკაი „მედიაზე“
საკმაოდ დიდხანს მუშაობდა. იგი ერთგულურად სწავლობ-
და ბერძენი და რომაელი ავტორების მიერ გადმოცემულ
არგონავტთა თქმულების ვარიანტებს და მათ ქართულ
მითოლოგიის საფუძველზე ანუშავებდა. ეს მას აუცილებ-
ლად მიიჩნდა წარმართული ხანის კოლხების წარმოსა-
გენად. 1893 წლის 13 ივნისით დათარიღებულ წერილში
აკაი გიორგი წერეთელს სხვიტორიდან ატყობინებდა:
„მედიას“ გვირ და მეორე ნაწილს შევედგე; ავად კი
ვარო“. თუ როგორ ინტენსიურად მუშაობდა აკაი „მე-
დიაზე“ და როგორ აგროვებდა საჭირო მასალას ტრილო-
გიის სამივე ნაწილისათვის, ეს კარგად ჩანს მის ავტო-
გრაფებში დაცული უბის წიგნაკიდან, სადაც არგო-
ნავტთა თქმულების პერსონაჟთა სახელებია განმარტე-
ბული:

- „იაზონ“ — მეფისა თესალიისა ეზონისა.
- „პელი“ — ბიძა იაზონისა, შურა, — გამწრებელი.
- „აეტეს“ ანუ ოტია — მეფე კოლხიდის. მორჩილი მცხე-
თის მამასახლისისა
- „არიეს“ — ზოლიაკი, ცის ბურჯი, ვერძი ლათინურად.
- „ერკულეს“ — ახლდა იაზონს.
- „იაფის“ — ძმა მედიასი.

⁸ ვაზ. „სიტყვა და საქმე“, 1935 წ. № 3.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რეჟისორ ხ. ჭელიძის,
ვოლგოგრადის ბრძოლების მონაწილის შ. მდიენის და სხვათა.

ფერწერაში ნაყოფიერად მუშაობენ ძმები მიხეილ და არჩილ
ჩოგოვაძეები. პორტრეტულ ქანში ოსტატდება ახალგაზრდა
მხატვარი ა. ჩოგოვაძე. გამოფენაზე წარმოდგენილი მისი ნა-
მუშევრები პროფესიულად მაღალ დონეზეა შესრულებული. ეს
არის პეტრე ჭაბუკიანის, ქუთაისელი პოეტის დ. ხუროძის,
პატარა ირინას პორტრეტი, „მსახური ბიჭი“ (ზეთი).

შ. ჩოგოვაძემ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა
ურა ჯაფარიძის კლასით და უმაღლეს მშობლიურ ქალაქს მია-
შურა. 1958 წლის რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენაზე მო-
ნაწილობა მიიღო სურათით „იმერეთის პეიზაჟი“ (ზეთი).
ახალგაზრდა მხატვარს საერთოდ ეხერხება პეიზაჟი. ასანავს
ქალაქის სედებს, სოფლის ბუნებას, ასეთებია: „გუმათისპირა“,
„წვიმის შემდეგ“, „გაზაფხული არქიელის გორაზე“, „დილა
საძოვრებზე“. ქალაქის მუზეუმის დაკვეთით მხატვარი მუშაობს
ისტორიულ და რევოლუციური წარსულის თემებზე: „საბჭო-
თა ხელისუფლების გამოცხადება ქუთაისში“, „ს. ორჯონიკი-
ძის გადასახლება ქუთაისიდან“ და სხვ.

არჩილ ჩოგოვაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფი-
კის განყოფილება ხ. ნადარეიშვილის კლასით დაამთავრა.
1958 წელს რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო
მისი სამი ნამუშევარი, სერია — „ახალი და ძველი ქუთაისი“.



პერსი — ძმისწული ოტასი.
თსაღ, აკემ, ტინსად — ძენი იაზონისანი კორინთოს
შეგებილი.

ელი — ძე ბანდიონისა, მეფე ათინისა.
გლოსია ახუ კრეუზა — ქალი კრეონისა.
მედ — ძე მედასი ელის ხელში.

ერასტი — ძე ოტასი, შემდეგ მამასლისი⁹...
ამ მოკლე განმარტებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ
აკაიი წერილთა კარგად იცნობდა არგონავტთა თქმუ-
ლების ვერსიებს. ყურადღებას იპყრობს აკაიის სხვა ჩანა-
წერებზე „მედიანზე“ მუშაობის პროცესში:

„აეტეს“ — იათას მეფე.
საკავრცხული — რაჭული ქართული სავარძელია,
მეგრული: კველა — საქალოვინი.
თუგირი — შირაპუჯიბი იმერეთში.
სერსართი — საქალოვინი.

მახუტა გოგინავა — დღესაც კიდევ იჩიქებს სიმღერის
დროს ფერხულში.

კაბღ — ოქროს ტურქული, სახატესავით, სადაც ემბ-
ლემა ესევეა ყოველთა ცხოვის ღმერთის „შარავანდლის“.
ამას ტურქული უწოდებდნენ კაბდევლად, მათი ვალობა,
ზარის შვავესი, ზორვის ე. ი. კეკის დროს იწოდებოდა
„ბაბლუკ“. ეს სიტყვა და სიმღერა დღესაც არის საშეგრე-
ლოში — აქედან ქალღვეული-ქანები-ასტროლოგები იყ-
ვნენ, ჩვენი ქალღვეულები და არა ებრაელი ხალღვეუ-
ნი¹⁰.

დრამატული პოემის „მედიკოლინდამი“ ბეჭდვა აკა-
კიმ დიწყო ჟურნალ „კავლიში“ 1895 წელს (№ 23 და
№ 25), ხოლო სრულად დაბეჭდა საკუთარ „ქრებულში“
1897 წლის ოქტომბრის ნომერში (№ 2) შენიშვნები-
თურთ. ტრლოგის მეორე ნაწილისათვის აკაიის, რო-

⁹ სპ. სპ. ლიტ. მუხ. ხელ. № 434. იხ. E. B. Amashukeli, დასახ. ნაშრ.

¹⁰ აკაიი წერილთა, შვიდტომეული, ტ. III, თბ. 1940. რედაქ-
ტორის შენიშვნები, გვ. 711.

გორც ჩანს, მხოლოდ ერთი ოცტეპიანი მონოლოგი (ტუ-
შუდას მონოლოგი) შეუწოხა, სადაც სამშობლოდან გა-
დახვეული ადამიანის ძულღვარ სულისკვეთება გადმო-
ცემული¹¹.

ინა მეუნარეისადმი მიწერილი აკაიის ბარათებიდან
ირკვევა, რომ პოეტს ტრილოგიაზე მუშაობა არ შეუწყ-
მებია და კვლავ კრებდა საჭირო მასალას¹².

აკაიის დრამატის სიუჟეტის მთლიანობაში განვი-
თარება, სიტუაციების ოსტატური გაშლა, დიდებული
ქართული, მიმხდველი მონოლოგები და სადილოვო
პარტიები აკაიის დრამას მაღალ მხატვრულ ნაწარმოე-
ბად ხდის, და მას განსაკუთრებულ ადვილებს უნდა მიე-
წიოს ქართული ეროვნული დრამის განვითარების ისტო-
რიაში.

„მედიკოლინდამი“ ხუმორქმელებიანი დრამაა. დრა-
მის სიუჟეტის ხაზი ძირითადად ტრადიციულ მითს
მიჰყვება. გადმოცემულია ხომალდ „არგოთი“ ბერძნების
მოსვლა ფაზისის სანაპიროზე, იქ, სადაც არის

„...ოქლეთის მხარე
დიდ იბერიის მცირე ნაწილი;
სიმღღირთი ყოვლად მოუღალავი,
შეწვნიერებით გარშემოსილი...“

მერე მოდის მედეას გამიჯნურების, იაზონის მიერ იათას
(აიეტის) დავალებათა აღსრულებისა და ოქროსავან

¹¹ ქვე, გვ. 640.
¹² ზუგდიდის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის
„შრომები“, ტ. 1, 1947, გვ. 181.


ქუთაისის სამხატვრო გალერეაში ექსპონირებულია აკაერელით
შესრულებული გარეუბანი „გოჭოურა“, „სამშობლო იმერეთი“,
„ქუთაისის პიუნაჟი“. ფერების მეტყველ გამაში აქვს გადაწყ-
ვეტილი მხატვარს ძველი რეალისტიკური ნიშნები — ლ. ბასტა-
ძისა და ს. ბასტაძის პორტრეტები. პასტელით შესრულებულ
ნახატში მკაფიოდ იგრძნობა შუქ-ჩრდილი, ცოცხალი ფერები,
ათვისწავლი მანერა.

ხატის ცნობილი მასწავლებლის ი. ჭივიჭილის მიერ ქუ-

თაისში ჩამოყალიბებულმა სამხატვრო სტუდიაში გარკვეული
როლი შეასრულა მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული ახალ-
გაზრდების პროფესორ ფრობომა. ბევრმა სახელმისივნელი
მხატვარმა მიიღო ამ სტუდიაში პირველი ნათლობა სახვითი
ხელოვნების რთულ დარგში. აქ სწავლობდნენ მხატვარი
პ. ოცხელი, ირ. მდივანი, არტიტექტი იო. თინაურაშვილი,
მოქანდაკეები — შ. მიქატაძე და ტ. სისარდიძე, მხატვარი
კ. კიკნაძე, ბ. ბერძენიშვილი და მრავალი სხვა. მათ შორის
მოქანდაკე ვ. მიზანდარიც.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ
ვ. მიზანდარმა რამდენიმე ხანს იმუშავა თავისი მასწავლებლის,
ცნობილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვა-
ნელობით და მის თანაშემწედ. ესმარებოდა მას მარქსიზმ-
ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის ფასადის პორტიე-
რების შესრულებაში. პირველად მიზანდარმა აქ მიიღო მკვერ
მასალაზე მუშაობის პრაქტიკა. მშობლიურ ქუთაისში დაბრუნ-
და, როგორც საკმაო გამოცდილების მქონე მოქანდაკე. სიყვა-
რულით ჩაება ინდუსტრიული ქალაქის შრომითი საქმიანობის
ფერხულში. მის ქანდაკებებში ამტკიცებდნენ შრომის გმირე-
ბი, წარმოების მოწინავე ადამიანები. მიზანდარის ნაწარმოე-
ბები მრავალგზის ყოფილა ექსპონირებული რესპუბლიკურ და
საკავშირო სამხატვრო გამოფენებზე. განსაკუთრებული პოპუ-
ლარობა მოიპოვა პორტრეტმა — „დედა“, რომელიც გამო-
ფენილი იყო მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოში, ხარ-

ა. ჩიოვაძე იმერული პიუნაჟი



ჩამოსხმული ვერძის (კრავის) და მდევას გატაცების ამბები. ღრავის ფინალური ხაწილი არგონავტიებისაგან იასარის (აფსირტის) ძსხვერვალად შეწირავს და იათას (აიეტის) სულიერი წონასწორობის დაკარგვას გვაუწყებს.

არგონავტიების თქმულების გავრცელებული ვერსიისაგან განსხვავებით, აკაიძე თავის დრამაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა. ძირითადი ცვლილებად ჩვენ მიგვაჩინა აკაიძის თერ მეფეას სახის დაბრუნება. თქმულების გავრცელებულ ვერსიაში მეფეა წარმოდგენილია, იოგორც სამშობლოს იოლაღატე ქალი, ძმის გაწირავა დაი და საკუთარი შვილები იტყალა დედა. ცხადია, აკაიძე, რომელსაც ქართველი ქალი სამშობლოსათვის თავდადების სიმბოლოდ თაიიდა და ვინც ქართველ ქალს დიადი პიძე უძღურა, მეფეას ბუნხათ იროვეუბად ვერ დაბატედა. მეფეას სახით პოეტმა სამშობლოს შორეულად, მაგრამ სუკარულის ძალით წონასწორობიდან გამოსული კოლხი ასული ტრავადია გვაქვს.

ცნობილ ბერძნულ ვერსიაში აიეტის ვაჟი აფსირტი (აკაიძის იასირი) აკუთარი დის — თეკვა ვერავობა მსხვერპლი ხდება. აკაიძის დრამის მიხედვით კი, როგორც მდეკარი გვაუწყებს, იასირი (აფსირტი) ბერძნებმა აკელ-მეუღელი უღია დასამშვიდებლად დღერძებზე შესწირვის საიეკოალად.

ძასრი ფოლადით ტრეზმოჭვიდელ მოზრგებს იაზონი მედევს დაბარებით კი არ ამოცნებდა, როგორც ეს ბერძნულ თქულებამა, არამედ თეთრი ძროხისა და ორფევის ჩახახვი აწვეწვით.

სავარაუდოა, რომ აკაიძე წერეთელი დრამაზე მუშაობის პროცესში სხვადსხვა წყაროებით გაეცნო აოგონავტთა თქულები სუკლე და აკელბად ციოთელ ვერსიებს, სადც თეკვა სრულადაც არ არის ვერავ იოთვებად გათყვანილი. ამ ვერსიების მიხედვით, მეფეა არც ძმისა და არც საკუთარი ძვილების მეკლელი არ არის. უძკელესი გადმოცემის თანახმად, აიეშევი კორინთელებმა დაიოცეს

იმიტომ, რომ მათი მეფე კრეონტი და მისი ასული გლავა (კრეუზა) მედევს ვითარდების მსხვერპლი ვადღეხე. მითი სახანო შეტახა იუთასულ ტრავადის (კეროი-დეს) მიუწყებმა. ვერაბილად მედევს შურისძიება მოლაღატე იაიოხისადი იმიტ გაამძვრა, რომ მედევს საკუთარი შვილები დაახოცინა. ზოგიერთი ბერძენი ავტორი (მაგ. ელიანე) იმასაც კი ვადღეხეცემს, რომ ვერაბილად კორინთელებმა ფულით მოსიყიდეს (მხუთი ტალანტი მიცეს), რათა მათი ბოროტოქმედემა ვერი-აიღეს თეკვასის ვადებრალბობა.

აკაიძე რომ განზრახული ტრილოვია სრულად დაეკურა, იმისად, უძველეს ტრადიციას ბოლომდე მიჰყვებოდა. მითისადე გათსაკვეთით, აკაიძე დრამაში ახალ ეპიზოდ-დად შეიტანა მედევს ხელისთვის იასონისა და კოლხი მიკოლეის მოქრის შერკიხება.

აკაიძე იცნობს ოქროს საწმისზე თქმულების რაციონალისტურ ასნებს, რომელთაც ძველი ბერძენი ისტორიკოსები (სტრაბონი, აპიან და სხვები) ვეწვედნან და დრამაში მათ მხარს უჭერს. აი რას ამბობს ოქროს საწმისზე იათა მამასახლი:

„ზოგჯერ, ნამდვილის ვეღარ შემტყობო, ჭორის ბუფა ეს ცრუ სოფელი... ჩვენ ქვეყნის ამბავს თქვენდამი მხოლოდ ჭორად და ზღაბრად მოუწყვებია და თქვენც მამიწვე ვერა მცირეწლოხათ იცხ, ვით უკვლევ დარსა სწევია! აქ რა უნდოდა საბერძნეთის ვერსს და მასაც კიდევ ოქროსმეტელოვანს? ამგვარ ზღაბრებით კოლხთელებია ბავშვებს ვაძინებთ ჯერ მცირეწლოვანს. ტყვეებით ვიჭერთ ვერა ოქროს სილას, მდინარეების ჩამონატარებს, ერთად ვაგრავებთ შესაკრებელში“

კოვში; ხლოდ ერთ-ერთ უცხოურ ჟურნალში მისი რეპროდუქციაც კი გამოქვეყნდა.

საქართველის მოქანდაკეთა ვურადღება მიიპყრო გოდოვინის ყვითელმა მარმარილომ, რომელიც პირველად მიზანდრამა გამოიყენა ქანდაკებისათვის „ლენინი ოქტომბერში“. ეს მასხალა ჩვეულებრივ მარმარილოზე ბევრად უფრო მკვირივი და მახარია.

მოსკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადზე 1958 წელს წარმოდგენილი იყო მიზანდარის „მდონილი“ (ტონირებელი თამაში) და ფიგურა „უღელ ქვეშ“ (კვლარის ქვა). წელს კი, საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთვის საიუბილეო გამოიყენებო, გამოფენილი იყო აკად. ლევან გოკიელის და სახალხო არტისტის ი. ხვიციანი პორტრეტები. ქუთაისის გალერეაში მიზანდარის წარმოდგენილია ნამუშევრები: „უღელ ქვეშ“, შორეული ცურვის კაპიტნის ვახტანგ ბარათაშვილის, პოეტ კოლაუ ნადირაძის პორტრეტები. ფსიქოლოგიური სახათის პორტრეტები: „მოვლემარე გოგონა“, „ჭაბუკის პორტრეტი“ და „სვანი პიონერი გოგონა“ (ტონირებელი თამაში), ესკიზებით ზ. ფალიაშვილის და ნ. ნიკოლაძის ძეგლებისათვის. ცოცხალ დადამიარე განწყობილებას ვადმოცემის ნამუშევრები — „მოვლემარე გოგონა“, „სვანი პიონერი“ და სხვ. ფიგურის მძაფრი დინამიკური მოძრაობითა ვადმოცემული ყმაწვილის განცდა ქანდაკებაში „უღელ ქვეშ“. ვერ ვხედავთ ყმაწვილის სახეს, მაგრამ აღამინის შინაგან დაძაბულობაზე მეტყველებს ყოველი ნაკეთი,

ყოველი კუნთი. დრამა სულიერი განცდის ვადმოცემასთან ერთად ფიგურის თავისუფალი, ლაღი და ბუნებრივი მდგომარეობით მოქანდაკე აღწევს მინუმენტურობის ვეჭქტს.

თიხანდარის მიერ შექმნილია ქუთაისის თვალსაჩინო მონ-ვაწუთა ქანდაკებები და ძეგლები. მოქანდაკე პ. აბესაძის დონ-ერთად, მან საბჭოთა საქართველოს 40 წლისათვის მიუძღვნა ობელისკი, რომელსაც „ინდუსტრიული ქუთაისი“ ეწოდა და რომელიც დადგმულია ქუთაქში ერთ-ერთ შემოსავლის მონა-

აკობ ნიკოლაძის კლასით დაამთავრა თბილისის სახმელო-რო აკადემია ქუთაისელმა მოქანდაკემ გიორგი ნიკოლაძემ. მშობიელი აღმამიანს დამასხათაიეული თვისებების ვადმოცემით, ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების შერწყმით ვამოიჩნევა ქუთაისის ავტორისნის მოწინავე ბრივადირის ვ. მუმუღაძის, კომუნისტური ბრივადის ბრივადირის შ. კიკ-ნაძის პორტრეტები. გალერეაში გამოფენილია ნიკოლაძის მხატვრულად გამომსახველი ქმნილები — პ. ჭაბუკიანის, ბირველი ქართველი კინოოპერატორის ვ. ამაშუკელის, ძველი რევოლუციონერის იცვა რიფინაშვილის პორტრეტები. წარმოდგენილია აგრეთვე მშვიდობის თემაზე შექმნილი ნამუშევრები: აფრიკელი მებრძოლის ფიგურა და „კუბა — რევოლუციის სადარავიშო“. ამჟამად ვ. ნიკოლაძე მუშაობს ახალ პორტრეტებზე. მოქანდაკე სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ გამოფენებში. 1957 წელს საკავშირო გამოფენაზე ექსპონირებული იყო მწერალ დ. კლდიაშვილის პორტრეტი

მა გარემოებს ვუძევებთ კარებს.
იქვე დაუფარო ჩვენ მამა-პაპებს
ვერძი ოქროსი, ხატრამოსხული,
ზეკურ ვერძის წარმოდგენილი
და მიხე სახედ ვარსაყავსული.
მნათობ ციურ ვერძს, კოლხების მფარველს,
ამით თავყანს სვეტს ჩვენი ჭკუანა,
და აა. თქვენი ტბილად მზაბლაჟი,
უსტო ზღაბარი და გამოცანა¹³

იაზონს კოლხეთიდან მიაქვს სწორედ ეს ხატად ჩამოსხმულ-
ლი ოქროს ვერძი, კოლხთა სათაყვანო კერა.

აკაის მიერ დრამაში შეტანილი ზოგიერთი სიხალე
გამოწვეული იყო იმით, რომ პოეტს ბიუსის სცენური გახ-
ნიორციელება სურდა.

არგონავტთა თქმულების ელინიური ტრადიციული
პერსონაჟების სახელები აკაისთან თავისებურადაა წარ-
მოდგენილი. ამ სახელების ახსნას პოეტი თავის შენიშვნებში
ქართულ ნიშნებს ეხსენაზობს: აიტიტი იათაა, პე-
კატეკეკადა, მეღა-მეღაა, აფსირტე-აისარ, კირკე (ლათ.
Circé) — თირათა, მეღვას და მის ქალიკოპის ნაცვლად
დრამაში შემოყვანილია მეღვას დიონია — მუღვად. დამა-
ტბელოთა ახალი მოქმედი პირობები.

აკაისათვის არგონავტების თქმულების დამუშავების
პროცესში, სხვა ბერძენ და რომაელ ავტორთა გადმოცე-
მებთან ერთად, ძირითადი წყარო იყო აპოლონიოსის როდო-
სელის „არგონავტიკა“¹⁴ (I II საუკ. ძვ. წ.). სამცხე-ჯორჯი-
ლოტრატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აკაის
წერეთელი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“
თბილისის 1 განმარტების მასწავლებლის განის წიგნიტ გა-
ციონს. საქმე ისაა, რომ განის წიგნიტ მოტანილია აპ. რო-
დოსელის „არგონავტიკიდან“ მხოლოდ თითო-ორიოდა ად-
ვილის ტუნწუ თარგმანი. აკაი, რა თქმა უნდა, ამას
ვერ დაეყრდნობოდა, როგორც დრამიდან, ისე თან-
დართული შენიშვნებიდან კარგად ჩანს, რომ აკაი
წერეთელი აპოლონიოს როდოსელის პოემას „არგონავ-

ტიკას“ მთლიანად იცნობდა. აკაის დრამის მთელი რიგი
ადგილები აპოლონიოსის პოემის სათანადო მასაჟებს
ეყრდნობა, რომლებიც განაწარმოებდა არაა დამოწმებულ-
ლი (მაგ. ორფეოსის სიმღერები, მეღვას გამოთხოვება
სამშობლოსთან, ფიცი მუხასთან და სხვ.) ვასარკვევია
ის, თუ რა გზით იცნობდა აკაი აპოლონიოსის „არგონავ-
ტიკას“? ჩვენი ვარაუდით, აკაის ეს პოემა შესწავლია
ფრანგულ პროზაულ თარგმანში. ამას ადასტურებდეს
დრამასა და მის შენიშვნებში ზოგიერთი ბერძ-
ნული საკუთარი სახელების გადმოცემა რომანული გზით:
„დიანა“ (დემეტრე — ნადირობის დემეტრე), „ცირიკი“
ანუ „თირათა“ (კირკე — აიტიტი), „მეღვას მამადა“, „აი-
რის“ (ლათ. erics — ვერძი), „პიპიუს“ („პიპოსი“ — ვეხე-
ნის-წყალი), „გლოსია“ — ვლავკე — კრეუზა-კრიონტის
ასული და მისთ. ცხადია, აკაის ხელთ ჰქონდა რუსი
ავტორების ის წიგნებიც, რომლებშიაც არგონავტთა
თქმულების შესახებ იყო საჭირო. გამოყენებული ჩანს,
მაგალითად, უსლარის წიგნი¹⁵ აპოლონიოსის პე-
მის რუსული თარგმანი არ არსებობდა (დღემდე არ
არის¹⁶).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის შენიშვნები,
რომლებიც აკაივ დრამას დაუთო. ეს კარგად ჩანს აკაი
წერეთლის პოეტური კონცეფცია, მისი შეხედულებები
ბერძნულ-ქართული მითოლოგიის ურთიერთობის სფერო-
ში. ბევრი რამ აკაი წერეთლის თეორიის შეიძლება
დღეს არ გავიზიაროთ, ზოგი მისი ასხნა შეიძლება გუ-
ლუბარყოფილად მოგვეჩვენოს, მაგრამ დიდი პოეტი თავის
განმარტებებში მთლიანად სწორ გზაზე იდგა. ეს
გზა ლარეით გასდევს მის დრამას. წინაგებულ მისახ-
ნელების პროლოგატკის სფეროდან დღეს უკვე გარკვე-

¹³ П. Услар. Древнейшие сказания о Кавказе. Тифлис, 1881.
¹⁴ ქართული თარგმანი ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის: აპოლო-
ნიოს როდოსელი. არგონავტიკა. თბილისი, 1948.

(ტონირებული თამაში). მიხნადრთან ერთად, მას შემწი-
ლი აქვს ქართველი ჩაპაევის — ვასლი კვიციანის ძეგლი, რომელიც
ქუთაისის შრომებშია საჩუქრად უძღვნეს დედაპაპს მისი
ათას ხუთასი წლისთავის თარიღის აღსანიშნავად. მათვე
გამოთერწეს საზღაურად მაიაკოვსკის ბრინჯაოს ფიგურა,
რომელიც დადგენილია ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის
შენიშნ წინ, იქ, სადაც ბავშვობის სწავლობდა მაიაკოვსკი.
ვახუშტი ამასაქე ლინერადის უმაღლესი სამხატვრო სას-
წავლბლის დამთავრების შემდეგ, ქუთაისში მიღვარწობს. გა-
სულ წელს რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო
მისი ქანდაკება — ავტოქარონის მოწინავე მუშის კაპანაძის
პორტრეტი. ქუთაისის გალერეაში წარმოდგენილია მოქანდა-
კის სამი პორტრეტი და ერთი თხზიფიგურაში კომპოზიცია
„ტექსელის გმირები“, — ჰოლანდიელი ფაშისმის წინააღმდეგ
მებძოლი ქართველი ზემორებისადმი მიძღვნილი. დანიერ-
ებისა და სათიფის გადმოცემის ახერხებს მოქანდაკე დამხ-
ნურებული მასწავლებლის, მოზარდი თაობის აღზრდაში გა-
ჭვარებული პეისონერის ტასო ჭუმბურიძის პორტრეტში
(ტონირებული თამაში). რანდული ულთი სწოტაქეს
ბრძოლაში შეუდრეკელი ფიდალ კასტრი, ინტელექტი გამოს-
ჭვების ტაბუკის პორტრეტში (ტონირებული თამაში). დი-
ნამიკურ კომპოზიციაშია გადმოცემული ტექსელის პარ-
ტინაზთა სულისკვეთება დახერხების მომენტის მძიმე წუ-
თებში.

ახალგაზრდა მხატვარმა გ. ჩხეტიამ, რომელიც პლაკატის

დარგში მუშაობს, სამხატვრო აკადემია ს. ნადარეიშვილის
კლასით დაამთავრა 1957 წელს და საიბლიზო ნაწრობის
მალღი შეფასება მიიღო. დიდი ოქტომბრის ორმოცი წლის-
თავზე გამოცხადებულ კონკურსზე მის მიერ წარდგენილმა
ესკიზმა მარკისათვის „დიდება ოქტომბრის“, ფულადი პრემია
დაიმსახურა. მხატვრის პლაკატებთან ერთად ქუთაისის გალ-
ერეაში გამოფენილია გ. ჩხეტიანს ლინოგრაფიები — წყალ-
ტუბის ხედები¹⁷ და აკვარელით შესრულებული სურათი
„დიდის ერთგულება“.

გალერეაში გამოფენილია იმ მხატვართა სურათებიც, რომ-
ლებიც გაერთიანებული არიან ქუთაისის მხატვართა განყოფი-
ლებაში და ქუთაისის ახლო მდებარე რაიონებში ცხოვრობენ.
მათ შორის ყურადღებას იპყრობს ზუსტაფონელი მხატვარდა
მხატვრის გიორგი დვუღაძის სურათი „მარტის აპოლონიზმი“
(ზეთი), რომელიც 1905 წელს ნასაკირალის ბრძოლის ერთ-
ერთ ეპიზოდს ასახავს. ავტორი გვიხატავს გურულ გლეხ-
კაცთა სახეებს, გვაგანობინებს მებრძოლთა მღელვარებას.
ადამიანთა განწყობილებას და საბრძოლო სულისკვეთებას ეხა-
მება ჭეჭა-ჭუხილის მაცწყებელი ბუნება. გამოფენილია გ. დუ-
ღაძის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული სურათები —
„ნორჩი მწარმოებლები“, პეისაჟი — „წვიმის მოლოდინში“,
„ზღვის ნაპირი“ და სხვ.

„მოღის ქართული ფოლადი“ — ასე უწოდა მხატვარმა
გივი კელეჯიანიძემ ფერწერულ სურათს, რომელიც ასახულია

ული ნათელი ევინება უძველესი ბერძნული პოეზიისა და მითოლოგიის აუსხნელ საკითხებს, რელიეფურად ისახება ის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, რომელიც ელიზურ სამყაროსა და მჭირე აზიის იბერიულ-კავკასიური მოსახლეობის შორის არსებობდა. ამ მხრივ აკაკის დრამაშიც და შენიშვნებშიც ზეირი რამაა მნიშვნელოვანი. დიდი პოეტი აქ წარმოვიდგება კლასიკური სამყაროს კარგ მცოდნედ და მითოლოგიაში განსწავლულ მკვლევარად. იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ბერძნულ-ქართული მითოლოგიური ურთიერთობის საკითხს და ამბობდა: „...ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით, ბერძნებისა, სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული: აქვე შეხვდებით ჰომეროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებათაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მაგრამ ქართული ხასიათით და სულით კი ვინ იცის, ჩვენ გადმივკვირვებდით. თუ იმით გადაურჯულუბიათ ჩვენი რაიმე?\"¹⁵ აკაკი „შენიშვნებში“ იმ აზრისაა, რომ ბერძნებმა სხვა ხალხების მრავალი ამბავი შეითვისეს. თავისებურად გადააკეთეს და მერე ფერცვლილი უკანვე დააბრუნეს. ასეთ ამბებდა ზიანია აკაკის ძველი მიიზიტი „პრომეთოსზე“ და „იანონ-მედიანზე“. აკაკი წერეთელი აქ დამაჯერებლად ამტკიცებს პრომეთესა და ამირანის მიიზიტი იდენტურობას. ასევე დაბუკებით ამტკიცებდა პოეტი, რომ „იანონ-მედიას“ თქმულება ქართულ-მითოლოგიურ სამყაროს ეკუთვნის, ამიტომ არგონავტთა მითოსში მოხსენიებულ საკუთარ სახელებს ქართულ გარემოში ხსნის: ბერძნების მიერ დამოქმედებული „ეა“ (აია) „იას“ ქალაქია, ხოლო აიტი „იას“ ქალაქში მჯდომარე „იათა“ მამასახლისია¹⁶. კირკეს სახელი ქართულად „თრთა“ და „ვათრევიდან“ წარმოსდგა, მედეა კი გაბერძნელებული „მედია“ არის; ბერძნულ წყაროებში

დადასტურებული სამყაროაო ბალახის სახელი „მოდრასევე ქართული „მოლიდან“ მომდინარეობს...“

აკაკი ხშირად ეხება ანტიკური ეპოქის მწერალთა მიერ მრავალჯერ დაბოქმედებულ მდინარე ფაზისის საკითხს და ფაზისს, აპოლონის როლისთვის ცნობით, „ამარანტის“ მითიდან მომდინარე, რიონად მიიჩნევა;

„ეც ფაზისი თამოქონი, სახელცვლილი დღეს რიონი“; —

ამბობს პოეტი ლექსში „ქუთაისი“.

„შენიშვნებიდან“ ჩანს, რომ აკაკი წერეთელი არგონავტებისა და პრომეთე-ამირანის თქმულებებზე მუშაობის დროს ფართოდ იყენებდა ბერძენი და რომაული ავტორების ცნობებს ამ თქმულებებისა და კერძოდ კოლხეის შესახებ. აპოლონიოს როლისთვის გარდა, აკაკისთან დამოქმედებული არიან ანტიკური ხანის შემდეგი ავტორები: ლირიკოს პინდარე, ბერძნული ტრაგედიის მამა ესქილე, მითოგრაფოსი აპოლოდორე¹⁷, ფსევდო-პლუტარქე, არიანე, აბიანე, ელიანე, კლავდიანუსი, პლინიუსი, ნიკოლოზ დამასკელი და სხვები.

აკაკის მიზნად ჰქონდა დასახული ქართულ-ბერძნული ურთიერთობის საკითხებზე გრცელი გამოკვლევა დაწერა ტროლოგიის დასრულების შემდეგ. იგი „შენიშვნებში“ ამბობს: „...როცა სამივეს (ე. ი. სამივე დრამას: მედია კოლხიდანში“, „მედია ელადიანში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“ ა. უ.) ერთად გამოვცემთ, მაშინ უფრო გრცელს გამოკვლევას ჩაუვრთავთ შემოთქმულის შესახებ და დღეს-კი მხოლოდ იმას შევინიშნავთ, რაც საჭირო იქნება ამ პირველი ნაწილისთვის“. სამწუხაროდ, აკაკის ტროლოგია არ დაუსრულებია და განზრახული გამოკვლევა დაუწერელი დარჩა.

¹⁵ აკაკი წერეთელი, შედგომული ტ. VI, გვ. 486.
¹⁶ საუბრადღებთა, რომ აკაკი აიგის „მეფის“ ტიტულით კი არ მოიხსენებს, არამედ მას „კოლხეთის მთავარს“ ან „მამასახლისს“ უწოდებს, როგორც მცხეთის ვამბატელს — „მცხეთის მამასახლის“.

¹⁷ აპოლოდორეს სახელი აკაკის თხზულებათა გამოცემებში შეცდომით „პოლოდორის“ სახითა დაბეჭდილი.

ზეტსაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ცხოვრების ეპიზოდი. თავისებურ მხატვრულ მანერას ავლენს ცაგერში მომუშავე ვარლამ მახარობლიძე სურათებში „თიბვა“, „ლენტხეი“, „ფერმაში“, „წითელი პარტიზანების ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ 1918 წელს“.

ფოთის სიმშვენიერეს უმღერის მხატვარი გიორგი მილორავა მინიატურულ ფერწერულ სურათებში: „ფოთი“ და „შემოდგომა“. ქუთაისელ მხატვარს ვ. გვეტაძეს წარმოდგენილი აქვს სურათი „როინპესის ხედი“ (ზეთი), მოქანდაკე ვ. ცუცქერიძეს (ჭიათურა) — მალაროელ ნ. გაფრინდაშვილისა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. აბრამიშვილის პორტრეტები.

ქუთაისში ყალიბდება ქართველ მხატვართა ახალი ნაკადი, რომელთა შემოქმედებითი მიზანსწრაფვა სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება ინდუსტრიული ცხოვრების შუაგულში. სახვითი ხელოვნების მუშაობა ახლო ურთიერთობა შრომის გმირებთან პრაქტიკულ ძალას იძენს. ინდუსტრიული ქალაქის შემოქ-

მედთა ნაწარმოებები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქართული საბჭოთა ხელოვნების საგანძურში.

მ. ჩოგვაძე

ნატურმორტი



მხატვარ თეიმურაზ ყუბანეიშვილის ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას პოეზიისათვის

გაიანე ალიბეგაშვილი

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ საიუბილეო სამხატვრო გამოფენაზე სასოგადოების ყურადღება მიიპყრო თეიმურაზ ყუბანეიშვილის ილუსტრაციებმა ვაჟა-ფშაველას პოემებისათვის: „გველის მჭამელი“, „ალუდა ქეთილური“ და „სტუმარ-მასპინძელი“. ამ ილუსტრაციების ცალკე ალბომად გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც თვით მხატვრის შემოქმედებაში, ისე, საერთოდ, ქართული საბჭოთა კრათვის ისტორიაში.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შინაარსმა ამ მაღალმხატვრულ ილუსტრაციებში ღირსეული გადაწყვეტა პოემა.

მონუმენტალობის ტენდენცია, რაც თ. ყუბანეიშვილის სხვა ნაწარმოებებსაც ახასიათებს, სახეთა ემოციური გაჯერება და მხატვრული ხერხების ლაკონური გამომსახველობა აქ სრულ პარამონისა აღწევს. ამ ილუსტრაციების ძირითადი მხატვრული კონცეფცია — პოემების დრამატული აზრის აქცენტირება და ამავე პლანში გერმების სახეების გასნაა.

ყოველი პოემისათვის მხატვარი ასრულებს შემუცტიტულს, ერთ ან რამდენიმე ილუსტრაციას და თავსართს.

„გველის მჭამელის“ შემუცტიტულზე მალა ამართულან კომედი, რომელთაც ჩარჩო ვერ აკავებს. სახლის პირტყელ სახურავზე დაპირისპირებულია მხიარული, მოქმედი გუგუნი და სვდლიანი, განმარტებული შინდაის სილუეტები. უკვე აქ, შემუცტიტულზე, მხატვარი ხაზს უსვამს პოემის შთავარ დრამატულ აზრს, მთის სოფლის მკაცრ გარემოცვაში მომხდარ ტრაგედია: ეს არის მარტობა შინდაის, რომელიც სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობამ ყოველდღიურ ყოფაზე აამღალა.

შემდეგ ფურცლებზე, ორ ილუსტრაციაში, მხატვარი ერთის მხრივ ხსნის შინდაის სახის პოეტურ სიღრმეს, რაც შინდაის ძლიერი პროფილის, მთვარისა და უბრალო მთის ჩაჯილის სილუეტის დაპირისპირებითაა მიღწეული. მეორეს მხრივ კი შინდაის წარმოადგენს გრძნობაღრეულს, ახლობელ ადამიანთან — მზისათან კონფლიქტში. შესაძენ ილუსტრაციაში სურათიანად ჩამომყდარი მოსა და მკაცრად მოთამი სანდუა გამოხატული. დაძაბული მოლოდინი განსხვავებულადაა გადმოცემული მათს სხვადასხვა ხასიათში.

სამსავე ფურცელზე მხატვრული აქცენტების დრამატულ დაპირისპირებაში (სახეების თეთრი ლაქების ელვარება შვე ფონზე) იხსნება ფსიქოლოგიური პორტრეტები: ერთ შემთხვევაში შინდაის განუთვადებული სახეა მოცემული, მეორეში კი ორი გემრის (შინდაისა და მზისა); მზისაი და სანდასი) ფსიქოლოგიური განწყობილება, რომელიც პოემის კონკრეტულ მომენტებთანაა დაკავშირებული.

„ალუდა ქეთილურის“ შემუცტიტულს გადაწყვიტა: აკვათვადნე შეჯავარებ პოემის დრამატულ შინაარსს: აკედულთან მილურსმწული ხელები და მათთან დაპირისპირებული ორი ადამიანის ნაწევარფიგურა, პოემის შინაარსის

სიმბოლოდ წარმოადგენება. აქ, წინა პლანზე, გამოწვეული კედლის ფრაგმენტისა და მასზე განლაგებული დეტალების საშუალებით ლაკონურადაა გახსნილი მთის ადამიანისა და ადამიანთა გრძნობების ურთიერთდაპირისპირება, მათ შორის კონფლიქტი. „ალუდა ქეთილურის“ ილუსტრაციებში კვლავ ზემოთ ისწრაფვინა ერთმანეთს მიკრული კომედიები, მკაცრი თავისი შვეი და მონაცრისფრო ტონებით. მათთან დაპირისპირებული, ჩარჩოს გადაჭრით უფრო დაძაბარავებული, მხრებაწერილი მიდის ალუდა, თავის ოჯახთან ერთად ტოგებს იგი მშობლიურ შატის... დაძაბული მელვარების ატმოსფეროს ქმნის მხატვარი „სტუმარ-მასპინძლის“ ილუსტრაციებში. შემუცტიტულზე გამოსახული არწივი შვე ერთთანაა დაძაბული შერწყმულა ჩარჩოს სერულზე ხაზთან. მისი შვეი სილუეტები ერთთან განწყობილებას ქმნის საფლავის ქეების შვე ლაქებთან, რომელიც მხატვარ აქცენტებად აღინარებიან ზემოთ. დრამატული შინაარსი, გადმოცემული მოკლული ზვიადაურის მიწაზე გართსმული ფიგურით და თითქმის ქართობით გატაცებული, უფროსულზე გადამგვარი აღაზას სილუეტით, ხაზგასმულია ფონის მელვარეუ მოწითალო ტონითა და პორიზონტის დიაგონალურად დაშვებული ხაზით. ლაკონურადაა გადმოცემული სტუმარ-მასპინძლობის და შურისძიების კანონების კონფლიქტის შედეგი, ადამიანთა გრძნობების დაპირისპირება, რისი მსხვერპლიც არიან ალაზა, ზვიადაური.

მხატვრული ღირსებით, მონუმენტურ-ლაკონური ფორმით და დრამატული გამომსახველობით ყველაზე ძლიერია „გველის მჭამელის“ ილუსტრაციები. აქ კომპოზიციას არა აქვს არავითარი ჩარჩო. შვეი, ხვევრდვანი ფონიდან გამოიყოფა სახეების თეთრი ლაქები, მეტყველი ნახატით და თვალ-წარბის შვეი ლაქებით. ჩარჩოს ურყოფა, თვით კადრის გადაწყვეტა (შვეი ფონიდან კონტრასტულად გამოიყოფილი, მსხვილ პლანებად მოცემული ნაწევარ-ფიგურები) მკვირად, მთელი სიძლიერით წარმოუდგენენ მაყურებელს დრამატულ შინაარსს.

დანარეენ შემუცტიტულებს და ილუსტრაციებს სვეიკალური ჩარჩო აქვთ, სქელი შვეი ხაზის სახით. გარდა ამისა, უფრო „სიუეტური“ ხასიათის მქონე ეს ილუსტრაციები სხვა კომპოზიციურ პრინციპებზეა აგებული: ნაცვლად ერთი ან ორი აქცენტის ირგვლოვ მისავარი კონცენტრაციისა, ჩანს სწრაფაა მთელ ფურცელზე გამოსახულების მეტი „გაფანტულობისადმი“, მაგრამ ეს როდი აქვეითებს მონუმენტურობის შთაბეჭდილობას ან გამომსახველობას. სხვადასხვა ხერხები ერთთან მიღრობას ექვემდებარება: მეტყველად წარმოადგენება და ემოციურად დაძაბულად იკითხება ყოველი სილუეტი.

გარდა „გველის მჭამელის“ ილუსტრაციებისა, „ალუდა ქეთილურის“ ერთ-ერთ ილუსტრაციაში ეხვედებიან მსხვილ პლანს, მაყურებელთან სულ ახლოს მიტანილ კადრს. მკე-

რამ აქ, როგორც ამ პოემის შემეცტიკლში ფონი დამუშავებულია ნერვული შტრახებით (შემეცტიკლში — კუთხოვანი ლაქებით), ტანისამოსის და ხანჯლის ნახატი, ძალზე განზოგადებული და ძუნწი, ხელს უწყობს იმ დაძაბული ემოციურობის შერბილებას, რომელიც ასე დრამატულად არის აქცენტირებული, ფსიქოლოგიურ განწყობილებასთან ერთად, მინდიას, მზიას და სანდუას გამოსახულებებში. როგორც უკვე აღინიშნა, მხატვრისათვის მთავარია დრამატული მხარის გახსნა. მაგრამ აქ ფართო განზოგადების ნაცვლად, რომელიც ჩანს, ვთქვათ, მინდიას, მზიას, სანდუას სახეებში, უფრო თხრობითი ხასიათი იგრძნობა (მათ შორის, „ალუდა მოკლულ მუცალთან“).

პირველი ფურცლებიდანვე იგრძნობა სპეციფიკური მხატვრული ხერხების გამოყენება, რომელსაც ასეთი ოსტატობით ფლობს მხატვარი. უკუაღებული ყველა დიკალი, გამყოფიანა მხოლოდ მთავარი, ლაკონიურია ნახატი, ხან ძარღვიანი, კუთხოვანი (მინდიას პროფილი), ხან წმინდა, ნერვულად დაწყვეტილი (მინდიას და მზიას ფიგურების მონახატი). ამ მეტყველ ნახატს უპირისპირდება დრამატული აქცენტებით ანთებული შავი, თეთრი, ტერაკოტის და მღელვარე მოწითალო-ყოლოსფერი ლაქები.

განზოგადებული ფორმების მონუმენტურობა ხაზგასმულია საერთო გარემოების მასშტაბით. ემოციურად მოძრავი ხედვითი წერტილი დინამიკურ რაკურსში წარმოგვიდგენს მოქმედების ადგილს (ზემით ამართული ციხე-კოშკებით, გორაკებითა და მაღალი ქვის ლოდებით). გარემოცვისა და ფიგურების ჩარჩოთი გადაჭრა აძლიერებს მათ მეტყველ დაძაბულობას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად დიდი ემოციური დატვირთვისა, ყველა ილუსტრაციაში როდღე მაღალია იმ დრამატულ პათოსს, რომელიც ასე სრულყოფილად გამოხატავდა „გველის მგამელის“ ილუსტრაციებში. „სტუჰმარ-მასპინძლის“ ილუსტრაციის კოლორისტული და კომპოზიციური გადაწყვეტა კარგად ემსახურება დრამის შინაარსის გადმოცემას (ზვიადურის და ალაზას სიკვდილი), მაგრამ, ამასთან ერთად, საერთო განწყობილებისათვის კარგად გამოყენებული მღელვარე თეთრი შტრახები წითელ ფონზე, ქვის ლოდების თეთრ ლაქებთან, მათსავე შავ ზედაპირთან, ზვიადურის და ალაზას სილუეტებთან, ქმნიან იმ ფერადობა რიტმს, რომელშიც ძნელად იკითხება კომპოზიციის დრამატურული ფუნქცია — მოკლული ზვიადური. სიმსხვილე და სათანადო მეტყველება აკლია ალაზას ფიგურის ნახატს, მიუხედავად ასე კარგად მოძებნილი კომპოზიციური გადაწყვეტისა. ზვიადურის და ალაზას სილუეტები თითქმის შთან-

თქმულია საერთო ფერადობაზე ფურცელზე გაფანტულ ლაქების რიტმში. დრამატული სიმძაფრე, რომელიც იგრძნობა კომპოზიციურ და კოლორისტულ გადაწყვეტაში, ერთგვარად „განიტირებული“ შოკიერით დეტალში. მაგრამ ეს ცალკეული მომენტები როდღე ანელებს საერთო შთაბეჭდილებას, — ყველა ილუსტრაცია ექვემდებარება საერთო ჩანაფიქრსა და საერთო მხატვრულ გადაწყვეტას. ფერის ძუნწი გამოყენება პარმონიულად ერწყმის ფორმების მონუმენტურობას და კომპოზიციის მკაცრ რომანტიკულ ხასიათს.

შავი და თეთრი ლაქების შეფარდება განსაზღვრავს თავსარების მხატვრულ გადაწყვეტას, რითაც ისინი ორგანულად უნდა დაუკავშირდნენ ტექსტს და ამით შექმნან გვირგვინის მხატვრული მთლიანობა. მიუხედავად მკაცრ ზომისა, ეს თავსართები ილუსტრაციებზე არანაკლებ მეტყველი და მონუმენტური ხასიათისაა. აქაც, როგორც ილუსტრაციებში, მაქსიმალური ემოციური გამომსახელობისთვის გამოყენებულია „მსხვილი პლანი“. თავსართების ჰორიზონტულ ფორმებს სხვაგვარად, როგორც ილუსტრაციების ვირტიკალურ განლაგებას, აქვს თავისი კომპოზიციური და ემოციური ამოცანები. თვით მსგავსი მომენტების გამოყენებისას იგი სხვათაგან განსხვავდება იმით, რომელიც ერთი და იგივე ამოცანის გადაწყვეტას თავსართი, მიუხედავად მონუმენტური ლაკონურობისა, უფრო თხრობითი ხასიათს ატარებს (მინდიას ფიქრები, ალუდას გამეზარება).

დასასრულად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მხატვარი ოსტატურად იყენებს ლინეორავიურის სპეციფიკურ ხერხებს: ლაკონური შავი და თეთრი ლაქები, ნაცრისფერი და წითელი ტონების სხვადასხვა ნიუანსები, შეფარდებული სქელ, მკვეთრ, და ამავე დროს რბილ მეტყველ ხაზთან, მსუბუქი შტრახები, წმინდა კონტური, რომელიც ოდნავ აღინიშნავს ფორმების საერთო ლაქის საზღვარს, — ყველა ეს ხერხი ემსახურება აზრის მეტყველად გადმოცემას.

ნახატი, სილუეტი, აქცენტების განლაგება კომპოზიციაში, ამფლავებს, რომ მხატვარი თავისუფლად ფლობს მდიდარ სპეციფიკურ გრაფიკულ ხერხებს. ეს იგრძნობა აგრეთვე შემეცტიკლზე წარწერების განლაგებაშიც. წარწერები თავშეკავებულია ხაზგასმული, მაგრამ გამოსახულებებთან ერთად ქმნიან დეკორატიულ მთლიანობას. ყუბანეიშვილის ილუსტრაციები ტექსტისა და სახვითი ხერხების სრულყოფილი ერთიანობის მაგალითია. ბოლო წლების მთელ რიგ გრაფიკულ ნაწარმოებთან ერთად, ისინი მოწოდებენ ქართული საბჭოთა ხელოვნების გარკვეულ მიღწევებს ამ დარგში. ამიტომ მისსალამებელია ამ ილუსტრაციების ცალკე ალბომად გამოცემა.






ნ. შალიკაიშვილი

თბილისი




ე. ანდრონიკაშვილი

თბილისის გარეუბანი



ე. ახვლედიანი

ქველი თბილისი



ლ. ჩოხელი

იაზონური სტილის კერამიკა

იაპონური სტილის კერამიკის საინტერესო ნიმუშები

ბაჭები და სხვა კერამიკული ნაკეთობანი, ძალზე მსგავსი იაპონურისა.

მხატვარი — გრაფიკოსი ლეილა ჩოხელი ბოლო წლებში დიდი გატაცებით მუშაობს იაპონური სტილის მხატვრულ კერამიკულ ნაკეთობებზე და უკვე მრავალი საინტერესო, ფაქიზი ვაზოვნებით შესრულებული ნამუშევრის ავტორია. ამ რამდენიმე ხნის წინათ მისი ნახევრადები ინახულა თბილისში სტუდიაში ჩამოსვლისა იპონელმა სწავლულმა, რომელმაც სპეციალური სტატიაც კი მოათავსა იაპონურ ჟურნალში ილუსტრაციებითა და თვით მხატვრის პორტრეტით. ამი სტატიაში, რომელსაც საათურად აქვს „თბილისელი ლეილა ჩოხელი — იაპონური კერამიკის ოსტატი“ — ნათქვამია:

„საბჭოთა ადამიანები მუდამ ღრმა ინტერესს იჩენდნენ იაპონური მხატვრული კულტურისადმი და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იაპონური ხელოვნების გამოყენებით, რომლებზეც პერიოდულად ეწყობა აღმოსავლური კულტურის მუზეუმის დარბაზებში, დიდი წარმატებით სარგებლობენ. 1958 წელს მოსკოველთა ყურადღება მიიპყრო თანამედროვე იაპონური გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავმა გამოფენამ, აგრეთვე 1961 წელს მოწყობილმა იაპონური ქილოგრაფიის „კუინიესა“ გამოფენამ, რომელზეც ბევრი ნამდვილი და ამასთან იშვიათი გრაფიურა იყო წარმოდგენილი.

მუსეუმში იაპონური ხელოვნების მუდმივი ექსპოზიციაც არის და იგი დამოვალიერებელთა მუწუნებელი ყურადღებით სარგებლობს. მათ აოცებთ იაპონული მხატვრებისა და ხალხურ სელოვანთა მაღალი მხატვრული ოსტატობა. ნამუშევრებში გამოირჩევა შესრულების სიფაქიზით და დახვეწილი ესთეტიკური დონით.

დამოვალიერებლებს თან მიჰყვებათ იაპონიის სახეები, რომლებიც ასე ოსტატურადაა ხორცშესხმული მხატვრების მიერ ხეში, ლითონში, ძვალსა და სხვა მასალაში.

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, როდის ნახა პირველად ქართველმა მხატვარმა-გრაფიკოსმა ლეილა ჩოხელმა იაპონური ფაიფურის ნაწარმი. ეს ალბათ ბევრად უფრო ადრე იყო, ვიდრე მოსკოვში თანამედროვე იაპონური გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა გაიხსნებოდა. ყოველ შემთხვევაში, როცა პირველად იაპონური ლარნაკი ნახა, მხატვარი ისე მოიხიბლა, რომ ამ მარტო ძალზე დაინტერესდა იაპონური ხელოვნებით, არამედ გადაწყვიტა კიდევ — თვითონვე შეექმნა იაპონურის მსგავსი კერამიკა. მაგრამ იმის გამო, რომ ხელთ საკმაოდ არ ჰქონდა ნამდვილი იაპონური კერამიკის ნიმუშები, ლეილა ჩოხელი მუშაობდა ძირითადად ინტუიტურად, ცდილობდა რა წარმოდგენითა და ალღოთი შეეცოხა ის, რასაც მოკლებული იყო იაპონური სტილის კერამიკის შექმნასა. ჩვეულებრივ ის იღებდა თეთრ კერამიკულ ჭურჭელს, რომელიც თავისი ფორმით იაპონურს ჩამოგავდა, და სპეციალური ჩამოურეცხავი საღებავებით იწყებდა მის მოხატვას იაპონურ სტილში, ისწრაფვოდა რა გადმოეცა არა მარტო მის მიერ ნახული ნახატები და ორნამენტული მორთულობანი, არამედ მისი თავისებური გაგებაც თუნცა, პირველ ხანებში ეს მოხატულობანი ზოგჯერ ჩინურს ჩამოგავდა (ჩინურსა და იაპონურს შორის სოამ ასე ბევრი საერთოა). მაგრამ მხატვარი ბეჯითად მუშაობდა, თავისი მოხატულობისთვის არჩევდა წმინდა იაპონურ მოტივებსა და დეტალებს. ბოლოს მიაღწია იმას, რომ მისი ფუნჯიდან იქმნებოდა ლარნაკები, ფინჯნები, ლამ-


მხატვრის ოთახში დგას შუშის კარადა, რომლის თაროებზე სიყვარულთაა განლაგებული იაპონურ სტილში მოხატული ლარნაკები, ჩაიდნები, თევზები და ფინჯნები. ისინი თვალს ახარებენ თავისი მკაფიო, უჩვეულო მორთულობით, ფერთა შესაბამის პარმონიისა და ორნამენტების ოსტატური შერჩევითა და განლაგებით. ყოველივე ეს გაკეთებულია ნიჭიერად, მთლიან გულით.

შესატყობ, ლეილა ჩოხელის იაპონური კერამიკა, იაპონელის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ იყოს სრულყოფილი, ჯერ კიდევ მთლად არ გავდეს იაპონური კერამიკული ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, იაპონელი მკითხველებისთვის საინტერესო იქნება გაიგონ, რომ იაპონური ხელოვნება სიყვარულისა და დასვენების საგანია ქართველი მხატვრის, ლეილა ჩოხელისთვის, რომელიც ამ ნაკეთობებს ქმნის თავისთვის და თავისი მოხარებისთვის თავისუფალ დროს. იგი ისვენებს ამ საქმიანობაზე“.

გარდა იაპონური სტილის კერამიკისა, მხატვარი გატაცებით მუშაობს თანამედროვე კერამიკის ნიმუშებზე. ამ მოხატულობებშიც ავტორი ამჟღავნებს გამოზონებლობას, მდიდარ ფანტაზიასა და ფაქიზ გემოვნებას. საერთო ნახატი, ნახევი და ლაქები ყოველთვის გააზრებულია ჭურჭლის ფორმის მიხედვით, ორგანულად შედის მის კომპოზიციაში და მოხდენილი დაკორატული ვადაწყვეტით გამოირჩევა.

ჟურნალის ამ ნომერში ვათავსებთ ლეილა ჩოხელის კერამიკული ნაკეთობების ფერად ფოტოილუსტრაციებს.





მსახიობი ალ. ყალაბეგიშვილი

ქართული თეატრის წარსულის შუკრვლიდან

მედეა ასათიანი

ალექსანდრე ყალაბეგიშვილის გარდაცვალების გამო 1937 წ. გაზ. „მუშაში“ მოთავსებული ნეკროლოგი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „პირადად როგორც ადამიანი, ხომ იშვიათი სულიერი სათქაქაზის პატრონი იყო; საუბრით სუფთა და პატიოსანი მოქალაქე. ამხანაგებს არ დაეცივნებოდა მისი თავდადებული, წრფელი გული. დარწმუნებული ვართ, ქართული თეატრის ისტორია მადლოებით მოიხსენიებს ამ სიტყვებ მოამაგეს“ და მართლაც, როცა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 1954 წ. 1/11 გამართა ალ. ყალაბეგიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, აქ მრავალი წრფელი სიტყვა წარმოიტყვა მისი მისამართით.

ქართული თეატრის დიდმა მოღვაწეებმა შექმნეს ჩვენი თეატრის დიდი ტრადიციები, ამ დიდ ეროვნულ საქმეებში გამოჩენილ მოღვაწეებს მხარში ედგათ ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც მათთან ერთად იბრძოდნენ ქართული სიტყვის და ქართული კულტურის განვითარებისათვის. სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის მსახიობი ალ. ყალაბეგიშვილი და მისი მუდღეუ ღია ღლონობრივობა.

ალ. ყალაბეგიშვილი გარეგნობით მოხდენილი ვაჟაკი იყო, დიდი ლამაზი თვალებით, კარგად ჩამოსხმული ტანით, ასევე მშვენიერი და შესანიშნავი იყო მისი შინა-

განი არტისტული მონაცემები, მეტად სცენური წარმოსახვითი დეკორაციების, იგი კარგი მოცეკვავე და მომღერალიც იყო. მასწავლებელი მას ყოველთვის ვულთბილად ხვდებოდა. შალვა დადიანი იკონებდა: „მეტად გვიჭირდა, მეტად რე, კაცების, როლების ზეპირად დასწავლა. მაგრამ სანდრო (ასე ეძახდნენ ალ. ყალაბეგიშვილს) პირველი ქართველი მსახიობი იყო, რომელიც, ყველა, დიდსა თუ პატარა როლს ზეპირად სწავლობდა“.

სანდრო ყალაბეგიშვილი დედაბოძივით იდგა ქართულ თეატრს მისი არსებობის ყველაზე მძიმე წლებში.

მან პირველმა შესარულა და შესანიშნავადაც განახორციელა გიორგი სააკაძის როლი სანდრო შანშიაშვილის „უვიკრივიზიო მეფეში“ (აქ. ფალავას მოგონებებიდან).

სანდროს მამა, ერთხანს, თეატრის მოღვაწე მუშაობდა, ამიტომ სანდრო თეატრის ხშირი სტუმარი იყო.

სიმონი ყოველთვის აფრთხილებდა კარისკაცებს, სანდრო არ შეეშავთ თეატრში, მაგრამ მისი ვაჟი ლოყაში მამალული, კარგი რეცენზენტებით სწონიდა ყოველი მსახიობის მოქმედებას. სანდრო კარგად იცნობდა ვასო აბაშიძეს და სხვებს. შექმლო მათი გამოჯაგერება. ხან გის მოინოლავს წაიკითხავდა და ხან ვისას. ბოლოს ჩინებული დეკლამატორი გახდა (იკონებს მ. გარიყული).

სწორედ ამ პერიოდში იქმნება სახალხო თეატრები. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ მუშები. სახალხო სცენაზე იჭრებოდა რევოლუციის შუჭი.

რკინიგზის მუშების თაოსნობით ნაძალადეგში დაარსდა მუშათა აუდიტორია. ამ ინიციატორთა ჯგუფში შედიოდა ალ. ყალაბეგიშვილის მამა სიმონიც. მათ გრ. ჩარკვიანის ბინაზე, სახლის აივანზე მოაწყვეს სცენა სპექტაკლების გასამართავად. აქედან იწყება სანდროს სასცენო მოღვაწეობა.

ნაძალადევის თეატრის ინიციატორთა ჯგუფში იჯარით აღიო მიწის ნაკვეთი და მაგისტრალის ქუჩაზე საზაფხულო თეატრი ააშენა. გამართულ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ მუშა-მსახიობები გიორგი ჯაბაური, ისაკა ძნელაძე, დავით შველიძე, სიმონ ყალაბეგიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, თ. ლეჟავა და სხვ.

სანდრო ყალაბეგიშვილი დიდი სიყვარულით მუშაობდა დასში; ხშირად, ვარდა მსახიობობისა, სხვა მოვალეობასაც ასრულებდა. „თეატრში, — წერს შალვა დადიანი, — იყო სცენაროების, რაც მაშინ წარმოადგენდა დიდ სადავიდარაბო საქმეს, ვინაიდან სპექტაკლის წაყვანა ასეთი თანამდებობის პირზე იყო დამყარებული. — მასსოგ, სანდრო სიზუსტით, მაშინდელი შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც დისციპლინით ასრულებდა ყოველთვის ნაკისრ ვალდებულებას.“

მასშინდელი ხელისუფლება ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ მუშათა წარმოდგენები ახალი ცხოვრების მებრძოლი სულით იყო გამსჭვალული. ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენელნი ხშირად მიმართავდნენ პროვოკაციას. ერთხელ მათ მიიზიარეს მღვდელი გურგენიძე და მისი წაქეზებით ქვემო დაუშინეს ერთ-ერთი სპექტაკლის მონაწილეებს — „თეატრი არ გვიანდა, ჩვენ გვიანდა ეკლესიის“ — გაიძახებდნენ მღვდლის დამკავშირებში. თეატრი დახურეს. ამის შემდეგ სანდრომ მუშაობა დაიწყო აგჭალის აუდიტორიაში.

1902 წელს ვალ. გუნამ ალ. ყალაბეგიშვილი მიიწვია ქართულ თეატრში რეჟისორის თანაშემწედ. იმ დღიდან სანდროს პროფესიული თეატრისათვის თავი არ დაუნებებია. 1903 წ. სანდრო სამუშაოდ გადავიდა ქუთაისის თეატრში, ხოლო 1904 წელს ისევ თბილისში დაბრუნდა, მუშაობდა ქართველ მსახიობთა ამხანაგობაში, რომელიც წარმოდგენებს მართავდა არქაინისა და მურაშკოს თეატრებში.

1905 წ. სანდრო მიიწვია ალექსანდროპოლის (ახლანდელი ლენინაკანი) — რკინიგზის ქართველ მუშა-მოსამსახურეთა დრამატულმა ჯგუფმა. იგი ცხოვრობდა საგაფიცო კომიტეტის თავმჯდომარესთან, მემანქანე სილოვან კოტრიკაძესთან, და გარდა იმისა, რომ სცენის მოყვარეთა დასს ხელმძღვანელობდა, ასრულებდა საგაფიცო კომიტეტის სხვადასხვა დავალებებს.

1908-1909 წ. სეზონში ვასო ბალანჩივაძის ინიციატივით ქ. ქუთაისში ჩამოყალიბდა ქართული დასი. რეჟისორებად მუშაობდნენ შალვა დადიანი და ვალ. შალიკაშვილი, რეჟისორის თანაშემწედ სანდრო ყალაბეგიშვილი, მაგრამ უსახსრობის გამო დასი ერთ თვეში დაიშალა. ნაწილი მსახიობებისა თბილისში დაბრუნდა, დანარჩენებმა შეადგინეს ამხანაგობა შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. შალვა დადიანმა ურჩია სანდროს, თავი დაენებებინა რეჟისორის თანაშემწეობისათვის და მსახიობობა დაეწყო. სანდრომ მიიღო ეს რჩევა, გამოდიოდა მთავარ როლებში (ოთარბეგი „ღალატში“, გიორგი სააკაძე — „უკვირველი მეფენი“, გიგა „მსხვერპლში“, ონოფრე — „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, მოხუცი იაპონელი „ტაიფუნში“ და სხვ.) ამ ხნიდან მოყოლებული სანდრო ყალაბეგიშვილი მოღვაწეობდა ქუთაისში, ბათუმში, შ. დადიანის „მოგზაურ დასში“, ფოთში, ჭიათურაში და ა. შ.

1933 წლიდან ალ. ყალაბეგიშვილი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და მუშაობდა დაიწყო სახელმწიფო კინომრეწველობაში რეჟისორ მიხეილ ქორელთან. ამავე დროს მონაწილეობდა მოგზაურ დასში, თუმცა ფიზიკურად ცუდად გრძნობდა თავს.

მისთვის, როგორც მსახიობისათვის, დამახასიათებელი იყო დიდი უშუალობა და სისადავე. 1931-32 წ. სანდრო ყალაბეგიშვილი მუშაობს ბათუმის სახელმწიფო თეატრში.

თეატრმა სეზონი გახსნა კ. კალაძის პიესით „ხატკე“, რომელიც დადა რეჟისორმა დ. ანთაძემ, მხატვრულად გააფორმა თ. აბაკელიამ. ამ სპექტაკლში დიდი დამაჯერებლობით და მხატვრული ოსტატობით გამოირჩეოდა ალ. ყალაბეგიშვილი — აჟარელი გოგონას ხატკეჯს მამის მოხუცი გულბათის როლში.

მისი გულბათი დიდი ქართველი მსახიობების ალ. იმედაშვილისა და უშანგი ჩხეიძის მიერ შესრულებულ ამავე როლისგან განსხვავებით, სრულიად ახალი სახე იყო. ყალაბეგიშვილი დიდ სცენურ გამომსახველობას აღწევდა ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც იგი არ ლაპარაკობდა სცენაზე.

ალ. ყალაბეგიშვილს მთელი სიწრფელით უყვარდა თავისი ქვეყანა. იგი გულისხმიერი დამცველი იყო მშობლიური ქართული ენისა, ვერ ითმუნდა, თუ ვინმე სცენაზე შებღალავდა ენის სიწმინდეს. ამ მხრივ იგი გავდა ალ. იმედაშვილს. ალ. ყალაბეგიშვილი რეჟისოსთვის ხშირად მიმართავდა ხოლმე ალ. იმედაშვილს და კ. მარჯანიშვილს, რომელთაც უდავოდ დიდი გავლენა იქონიეს მის სასცენო მოღვაწეობაზე.

ალ. ყალაბეგიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა რეჟისორებს. ყოველთვის ცდილობდა მთლიანად და ღრმად გაეგო ყველაფერი ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ.

ალ. ყალაბეგიშვილი წლების მანძილზე ცხოვრობდა სოფ. დიდ ჯიხიაში მეუღლის ლიპა ღოღობერიძის ოჯახში.

მე შემთხვევით მოხვდები ამ სახლში: ვის არ მიიზიდავს პატარა ოდა სახლი დასუფთავებული კარმიდამოთი, სადაც ფესვმეგარი, ტოტებეაშვილი ასწლოვანი ჭადარი დგას. ვიჯექით ჭადრის ძირში და ვუსმენდი სანდროს მეუღლის დას — დარეჯან ღოღობერიძეს, რომელსაც ახალგაზრდული სინათლე და სიცოცხლის სიყვარული შერჩენია თვალეგში. სინანულით თუ სიხარულით, ვერ ვიტყვი, მიყვებოდა მოხუცი ამ ოჯახის წარსულს. დაბალი, შთამაგონებელი ხმით საუბრობდა და ჭადრის ფოთლებიც წყნარი შრიანით ესიტყვებოდნენ წას. მის ჩრდილში ხომ ნშირად უსაუბრიათ ალ. ყალაბეგიშვილთან ლაღო მესხიშვილს, ალ. იმედაშვილს, ყ.შ. ჩხეიძეს და სხვ.





ჩარლზ ჩაპლინი

ორი ნაშრომი კინოს დიდოსტატზე

ნანა გუნცაძე

„ჩაპლინი არის უდიდესი მსახიობი, როგორც კი ოდესმე არსებულა“ (მაკ სენეტი), „ჩარლი ჩაპლინი არის ადამიანი, რომელმაც მოგვცა ისეთი კინონაწარმოებები, რომლებიც ყველაზე უფრო ღირსეულია ამ ხელოვნებისათვის“ (რენე კლერი), „ჩაპლინმა მიაღწია დიდების ისეთ სიმაღლეს, რომ მისი სახელი თითქმის ლეგენდარული გახდა“ (ა. აბასი) — აღფრთოვანებით წერენ მსოფლიოს ყველა კუთხის ადამიანები: რეჟისორები და მსახიობები, მხატვრები და დრამატურგები. მართლაც, ლეგენდარული გახდა ამ გენიალური შემოქმედის და დიდი მოქალაქის სახელი. ამიტომ, რომ არცერთ თანამედროვე ადამიანზე, ხელოვანზე თუ მეცნიერზე არ არსებობს ისეთი დიდი ლიტერატურა, როგორც ჩაპლინზე. დასავლეთ ევროპის კრიტიკოსები, ისინიც კი, რომლებიც ვერ ჩასწვდნენ ჩაპლინის რეალიზმის სიღრმეს და მას ფორმალისტნივით ვერაფერად ხედავენ, იძულებულნი არიან აღიარონ ჩაპლინის გენია და ქედი მოხაზონ მისი ტალანტის წინაშე.

სამართა კავშირში არა ერთ კინორეჟისორს და კრიტიკოსს უცდია ჩაპლინის შემოქმედებითი გზის აღწერა, მისი გაანალიზება. ამ შრივ ყველაზე საყურადღებოა გ. ავენარისის წიგნი „ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი“ და ა. კუკარჩინის „ჩარლი ჩაპლინი“, რომლებიც თითქმის ერთდროულად გამოვიდა. გ. ავენარისის წიგნი „ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი“ შედგება ხუთი თავისაგან. პირველი თავში, სხვადასხვა ენებზე გამოსულ

დიდად მასალებზე დაყრდნობით, ავტორი დიდი გულმოდგინებით აღწერს ჩაპლინის ბავშვობის წლებს, მის პირველ ნაბიჯებს სცენაზე, ინგლისური და ფრანგული პანტომიმის ოსტატების — დენ ლენის და გასპარ დებიურის გავლენას ჩაპლინის, როგორც ლონდონის მიუზიკ-ჰოლის ბრწყინვალე მსახიობის ჩამოყალიბებაში. გ. ავენარისმა შესძლო ჩარლი ჩაპლინის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლების ისეთი ბიოგრაფიული ცნობების გამოშვებება, რომლებიც მანამდე უცნობი იყო. ავენარისმა, პირველმა ჩაპლინის შემოქმედებაზე მიმუშავე უცხოეც კრიტიკოსთა შორის, შესძლო შეფასებისა და დიდი მნიშვნელობა, რომელიც იქონია მიუზიკ-ჰოლში გატარებულიმა ცამეტმა წელმა ჩაპლინის, როგორც მსახიობის ჩამოყალიბებაში. იმ ამერიკელ კრიტიკოსთა საწინააღმდეგოდ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ჩაპლინის შემოქმედების ძირითადი ფესვები მხოლოდ ამერიკულ კინოშია, ავენარისმა დაამტკიცა, რომ „კინოში პროფესიულმა თეატრალურმა მსახიობმა ცამეტ წლის სტატიე მოიტანა არა მარტო ვირტუოზული ხელოვნება ესტრადის მსახიობისა, არამედ ინგლისური კლუნადის, დემოკრატიული სახალხო თეატრების რეალისტური ტრადიციები“.

* * *

1889 წლის 16 აპრილს ფრანგ მომღერალ ჩარლზ ჩაპლინს და მისმღერალ ქალს ხანა ჩაპლინს შეეძინათ უმცროსი ვაჟი ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი. პატარა ჩარლზს სცენური ნიჭი ძალზე ადრე აღმოაჩნდა. ჯერ კიდევ ორი წლის იყო, როდესაც მამამ ცეკვა და საესტრადო სიმღერების შესრულება შესწავლა. ოთხი წლის ბიჭუნა უკვე შესანიშნავად ზაბავდა იმდროინდელ ცნობილ ქუჩის მომღერალს პას ელენს და დიდი ოსტატობით ასრულებდა სიმღერას „ჯეკ ჯონსი“. 1900 წლის 15 იანვარს 11 წლის ჩარლი გამოვიდა ლინდონის თეატრ „იოდრომიში“. ამის შემდეგ მალე სდგეს თავის პირველ კონტრაქტს ანსამბლთან „Casey's court Circus“, ხოლო 1907 წელს ჩარლი ჩაპლინი დასთან ერთად საფრანგეთში მიემგზავრება, სადაც გამოდის საფრანგეთის ცნობილი თეატრების „სივალის“, „ფორი ბერჟერის“ და „ოლიმპიას“ სცენებზე. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ჩარლი ხელშეკრულებას სდებს ფრედ კარნოს ე. წ. „სიცილის ფაბრიკასთან“. ნიჭმა მას საერთო აღიარება და მსყურებლის დიდი სიყვარული მოუპოვა. მიუზიკ-ჰოლის პროგრამის მრავალფეროვნება მსახიობისაგან უდიდეს შრომას მოითხოვდა, როგორც ავენარისმა აღნიშნავს, მიუზიკ-ჰოლის მსახიობი უნდა ყოფილიყო სპორტსმენი, ბოქსორი, მოცეკვავე და აკრობატი. „კარნი პანტომიმ კომპანია“ ორჯერ გაემგზავრა სავასტროლდა აშშ-ში (1910-1913 წლებში). საგასტროლო პიესებში ჩარლი მთავარ როლებს თამაშობდა. მან აქ არა მარტო უზრუნველ მსყურებლის, არამედ პროფესიონალების და რეჟისორების დიდი მოწონება დაიმსახურა. ერთ-ერთი კრიტიკოსი ხუმრობით წერდა: „ჩაპლინს შეუძლია ერთნაირად მოხდენილად ითამაშოს მეთევზე, თევზი, ანკესი და თვით თევზსაჭერი კაუჭიკიკი“. ჩაპლინმა ამერიკელ კინოხელოვანთა ყურადღება მიიპყრო. მსხვილმა კინოფორმებმა ხელშეკრულების დადება შესთავაზეს. ჩარლი გრძობდა, რომ მიუზიკ-ჰოლში დიდ წარმატებას მიაღწია და ამიტომ არ უნდოდა მისი დატოვება.

წიგნის მეორე თავში აღწერილია ჩაპლინის მოღვაწეობა ფირმა „კისტოუნი“, გაანალიზებულია ჩაპლინის პირველი

სახე კინოში—ჩეისი და აქვეა აღნიშნული მისი მეორე და საბოლოო სახის — ჩარლის ჩამოყალიბება. ავენარიუსმა სწორად გაიგო ჩარლინის ამ პერიოდის ფილმების დიდი განსხვავება მკ სენეტის ფილმებისაგან. მისი აზრით, ამ „კისტოუნისეულ“ ფილმებში ჩაპლინი თანდათანობით, სულ უფრო და უფრო ცდილობდა, რომ მის ფილმებში სასაცილო ყვეტებში გვირახს ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე ყოფილიყო და არა იმ სასაცილო ჩაცმულობით და მოუქნელი მოძრაობებით, რითაც ხასიათდებოდა მკ სენეტის ფილმები.

ფირმა „სისტოუნის“ ფილმებშიც აღა და კესელის და ბაუმერის დატვირთული თხოვნით 1913 წლის ნოემბერში ჩარლს ჩაპლინი სდებს თავის პირველ კინემატოგრაფულ კონტრაქტს. „კისტოუნის“ მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი იყო სახელგანთქმული მკ სენეტი, რომელმაც დიდი ამაგი დატვირთული კინოფილმების შექმნის და განკეთარების საქმეს. უმეტეს შემთხვევებში მკ სენეტი თვითვე იყო თავისი ფილმების რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი. ისე, 1914 წლის ნოემბერში ინგლისური პანტომიმის ახალგაზრდა მსახიობს ჩარლს ჩაპლინს იღებენ მის პირველ ფილმში „შრომა არსებობისათვის“. სურათის რეჟისორი იყო ჰენრი ბატ ლერმანი. ჩაპლინის პირველი რეჟისორული ნამუშევარი იყო „სიყვარული ოცი წუთით“. ამ სურათში მან პირველად შემოაპარა მკ სენეტს მისი კომედიების ჩეისის საწინააღმდეგო გმირი ჩარლი. ეს უკვე ის გმირი აღარ იყო, რომელიც ხალხის სიცილს თავისი სასაცილო გარეგნობით იწვევდა. მასში უკვე იგრძნობოდა ადამიანის, საცოდავი, მოუხერხებელი, სასაცილო, მაგრამ მაინც ადამიანი. ჩაპლინის ყოველ ახალ ფილმში იგრძნობოდა მისი ახალი სახე. უკვე ნათელი იყო, რომ მან გერედი აუქცია მკ სენეტს და სრულიად ახალი გზით წაივდა.

წიგნის მესამე და მეოთხე თავებში ავენარიუსი აღწერს ჩაპლინის მოღვაწეობას „ესენების“, „მიუნუელსა“ და „ფერტ ნეიშენლში“ და მოიცავს მისი მოღვაწეობის 1915-1921 წლებს. აქ იგი მოგვითხრობს ჩარლის სახის თანდათანობით ევოლუციას და პატარა ადამიანის ბედულ სასტიკი სამყაროს გარემოცვაში. გ. ავენარიუსს დიდი დამახსოვრება მიუძღვის ჩაპლინის იმდროინდელი ფილმების ნამდვილი იდეის განსაზღვრაში. მან უკუაგლო დასაყვამი ვეროპის კრიტიკოსთა არასწორი შეხედულებანი, რომელთაც ჩაპლინის „ესენებისა“ და „მიუნუელში“ გადაღებული ფილმები განსაზღვრეს როგორც „შესაბარლებელი და გასართობი მოთხრობა კეთილშობილ მოხეტიალეზე“. ამ შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ავენარიუსმა დამატკიცა, რომ ჩაპლინის ფილმთა უმრავლესობა წარმოადგენს პატარა ადამიანის უბრალო, ადამიანური გრძნობების გადმოცემას, მისი ოცნებისა და ცხოვრების დაპირისპირებას. მისი აზრით, ჩარლის ქცევა მეტისმეტად ექსცენტრულია, მის ფილმებში ასახული სამყარო კი ნამდვილი, რეალისტური.

1915 წელს ჩაპლინი კონტრაქტს სდებს ფირმა „ესენებისთან“, რომლის ხელმძღვანელებმაც მას მეტი შემოქმედებითი თავისუფლება აღუთქვეს. ფირმა „ესენების“ მთავარ რეჟისორებს დევიდ უორკ გრიფიტს და თომას პარკერ ინსს საწარმოლოვი ბრძოლა უხდებოდათ იმისათვის, რათა თავიანთ ფილმებში რეალისტურად აესახათ ის წინააღმდეგობანი, რაც ასე დამახასიათებელია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის. ამ

სტუდიაში განაგრძო ჩაპლინმა თავისი ეპოპა, რომლის რეიტინგის წარმოადგენს პატარა ადამიანის ბედი ულმოხელი სინამდვილის, სასტიკი სამყაროს გარემოცვაში. ფირმა „ესენებისში“ ჩაპლინის პირველი სურათია „მისი ახალი სამუშაო“. სოციალურ თემას ეძღვნა ჩაპლინის შემდეგი სურათები: „მანაწაა“, „ჩემპიონი“, „სამუშაო“, „ბანკი“, სადაც მისთან ერთად მონაწილეობენ ედნა პერეგინის, ჯეივინის, უაიკი, და სხვ. ესენისეულ ფილმებს ეკუთვნის „კარმენი“, პაროლია სესელ დე მილის და გორდონ ედუარდის ამავე სახელწოდებ ბის ცნობილი ფილმებზე (სადაც მთავარ როლებს ასრულებდნენ სახელგანთქმული მომღერალი ქალბი ჯოვალდანი ფურარი და ტედა ბარა. ფილმ-პაროლია „კარმენში“ ჩაპლინი მასხრად იღებდა ჰოლივუდის სისტემას.

მაღე ჩაპლინი გადადის ფირმა „მიუნუელში“. 18 თვის განმავლობაში მან 12 სურათი გადაიღო. ამ ფილმებმა, რომლებიც კინოხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ, მას გენიალური შემოქმედის სახელი დაუმიკვიდრეს. ამ ბრწყინვალე ფილმთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „წყნარ ქუჩას“, რომელიც წარმოადგენს იუმორისტულად დახატულ ფართო სოციალურ ტილოს. იგი ჩაპლინის ერთერთი შედევრთაგანია. როგორც აქ, ისე შემდეგ ფილმებში — „მკურნალობა“, „იმიგრანტი“, „თავდასავლის მაძიებელი“ — დიდი შემოქმედი ავითარებს მის მიერ დასახულ ხაზს. ეს არის ბრძოლა საკეთესა და ბოროტებას, სინამდვილესა და ოცნებას შორის. 1917-1921 წლებში ფირმა „ფერტ ნეიშენლში“ გადაღებულ: „ძალღური ცხოვრება“, „თოვი მხარზე“, „მზიანი მხარე“, „ბიჭუნა“, „პოლიგრამი“, წარმოადგენს ძალზე ძლიერ, მახვილ სატირულ-სოციალურ ფილმებს, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მამნიწიწი აქალა. ფილმ „ბიჭუნაში“ ჩაპლინი არაჩვეულებრივი სიძლიერით ავლენს როგორც მსახიობურ, ისე რეჟისორულ გენიას. მისმა დიდმა ნიჭმა და ბავშვის (ჯეი კუგანის) შესანიწნავი მონაცემებმა შექმნეს დიდხანს დასამახსოვრებელი სახე პატარა ბავშვისა, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსოფლიო ვერას.

უკანასკნელ თავს ავტორი თითქმის მთლიანათ უძღვნის ჩაპლინის პირველ დებას, მის ერთ-ერთ უბრწყინვალეს



ფილმს „პარიზელ ქალს“, ამ ფილმის უდიდეს რეჟისორს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. აქვე აჯამებთ ჩაპლინის პირველ პერიოდს შემოქმედებას, წერს მის მიმზამებლებს და გამოთქვამს თავის შესჯდულებებს ჩაპლინის შემოქმედებითს მეთოდზე.

„ახრმა და მშვენიერების შერბნება, რომელსაც ხელოვნების უდიდეს ნაწარმოებებში ვპოულობთ, უნდა მოიპოვოს არა მარტო ენთუზიასტთა ჯგუფის, არამედ უფრო ფართო აუდიტორიის აღიარება... ხელოვნებაში უმდიდრეს მხოლოდ სიმართლედ ცოცხლებს, წერლობანები კი ყოველთვის დავიწყებას მიეცემა“ — ეს სიტყვები ჩაპლინმა გამოაქვეყნა 1924 წელს, მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინ, მსოფლიოს მრავალმილიონანამ კინომაყურებელმა ეკრანზე ხილა ფილმი, რომელმაც გადატრიალება მოახდინა კინემატოგრაფიულ ხელოვნებაში. სიუჟეტი ფილმისა არც ორიგინალურია და არც მოულოდნელობით არსაცხე. იგი ყველასათვის ცნობილია. ჩაპლინის სილივად სწორედ იმამა, რომ უნდა იყოს ამავა, რომელსაც, შესაძლებელია, სხვა რეჟისორის ხელში დეტექტივის ხასიათი ექნებოდა, ისე გარდაქმნა, ისეთი ღრმა სოციალური საფუძველი მოუხაზა, რომ სურათის ატრიალების თავიდან ასაცილებლად, ავტორი იძულებული გახდა, მოქმედება ამერიკიდან საფრანგეთში გადაეტანა. ფილმი „პარიზელი ქალი“ წარმოადგენს არა დრამას, არამედ უფრო ტრაგედიას დაღუპული ადამიანური გრძობებისა და დამსხვრეული ოცნებებისა. აქ ჩაპლინმა პირველად, მთელი ათი წლის განმავლობაში, უდალატა თავის ტრადიციულ ეანრს — კომედიას, თავის ტრადიციულ გიმრს — ჩარლის და მიულ ქვეყანას დაანახვა, რომ მისი ფილმები მარტო ჩარლის განილადური თამაშით არ იყო ასეთი პოპულარული, ასეთი შესანიშნავი.

ცნობილი დაწილი კრიტიკოსი, ბრანდის სულ ზვეგავარად ცდობის აზსან ამ სივის მოცულობის სიმძირე, მისი არბით, სიგანა წარწობადგენული დაწმინდება განიცად ნაწილებს დაწარცხებების სახით და ამბობო მისი არქიტექტურულ მოღანად დაწვავული უნდა იყოს, რომ დასაბუთებულად იგი მოვიდა საფუძველშია ახალდებს, რომ მეოთხე მოქმედების „სურბი და ღურე“ მსგავს სურბი, რომელიც მალეკობისა და მადლებს განშობილი დღილია, რომელიცა ზემდგომია დაწმინდული თვალსაზრისით (I). ვით იწყება, სრულდება ზემდგომია დაწმინდული თვალსაზრისით (II), ვით მისი არბით, „შედაც ვრძელ სცენაში“, რომელსაც ბრანდის მოვლი მოცულობას თითქმის შეუდელი უფრანს, არ მოიკლება ვან ურთია ხანძრების დრავა ვაგზე თმებთან მითრობო იფიჯისა მეფე დღივარად აღმსარებლის საოცრია უნარის შესახებ, რომლის შემოხვეობაც მას თითქმის შეუძელი საყმაფერო სცინთ და აჯიუდებულთა ვაგურებნა და ეს ამხავა ჩამატებული უნდა იყოს იმისათვის, რომ ატაროს ზემდგომად ემგებნა ქაინანურების მოყვარულ მეფე ვეიშისათვის შემდეგი სიტყუებანი:

ამომაგე კიდევ

განვრწობის ნებს ვაგებებსაოთ თვის ზომამაგულად, და აქვანად გამოქმნიარ ბრანდის გამაგებს ფრად გეოგრაფიული დასყანა: სახელოვანი, შემოდება ვაგებლობის, რომ დანარჩენი სცინითაც აღობო შეესაბამებდენ ამ სცინის მოცულობით (I), ვინანად შექმნიარ თავის სხვა წარწობებებში არსად არ არის ახი არაბოსორც ცუდილი. „შემდეგი იგი ამტკიცებს, რომ „მოვლენა სიხვის მიუხედავად „მაკეტის“ უკვლავ მჭირე მოცულობისადა შესწავლის წარწომება მოხის“ და აქვე ვაგებებს ცნობას იმის შესახებ, რომ მაგნი, როდესაც „ამაღლები“ 3924 ლქინა, „ირჩარე III-ში“ — 3599 და ა. შ., „ამაღლები“ მხოლოდ 1993 ლქინა თურმე ათ ამის გამო შიარეწებულად მოთქვას, ვინ იცის როგორ იყო მოქმედის ხელდადებ გამოსული სიგის, მაგრამ მას რომ ასეთი მოზობა ბოლოდ მოთქვანა, აღმოჩინდა, რომ შესწავლის წარწომების „მაკეტის“ მჭირე მოცულობის შედგენების მოთხოვნა, ვარდა ამისა, მსოფლიო ლტერატურაშიც ვერცა მჭირე ზომის ქმნილების მიგნება შეიძლება, რომლებსაც მეტად დღი პრეტენზია განიხიათ საფუძველად სამართალოდად.

ბრანდის გლვია მიტვის დაწარგული ნაწილების ანბო საყოფიქლოს მოცულობითა, ტრავადით, უნდა ვეფიქსიბით, საწმენად, აღობო მართლაც განიცად დაწმინდება. შესაძობა ნაწილების დაკარგვის სახითაც, მაგრამ შეუძლიანად დარწმუნებულად იყოთ, რომ არაოთარ შემოხვეობას ისეთი დღი მასწავლები, როგორც ეს ბრანდის გლვინა. მისივე სიტყუებით ამ რთვითა, „თავის უკულოვარი ნაწილითა და იგი თვის სიდიადის განსახარებაში“, უფრო შემოხვევა, შიარეწობა შეიძლება მიიღოთ, რომ სივის ღღიანობით სხვა არანაგული მონოგენერულად გამოთქვანა, ვიდრე ბრანდის წარწომდგენის არსებულ მრავლად.

რაც შეეხება ბრანდის განცხადებას ზემოთ აღნიშნული სცენის არაბოსორცობის შესახებ სივის არქიტექტონიკით, აქ ბრანდისის აპორტიტივი უფროსად მოთქვანა, თუ იგი მეტ წლადან გამოჩინდა შესწავლისადმი, რომელსაც საცხოვრებელი ცილდა რ ფორმებში ვაგებუთა თავისი ჩანაფიქრად, ამ შემოხვეობით ჩვენ საქმე ვაგებს გენიალური შემოქმედის უღლებს სიზრხიბილით ვაგებო ნიშნავთან და არაოთარ კომპოზიციურ დისნანობას აქ შეიძლება დასარა.

შესწავლი აქ გვევლინება არა მარტო თავისი გემრების უღლებს გულთმამოვლავად, არამედ, როგორც თავისი მავრებობის „შინაწ“ ნაიფიქსილიცა, ზემოთ აღნიშნულ სცენას არ უღლებს შემწავრად და ამავე დროს ღღინა მსოფლიო ლტერატურის ერთ-ერთი უმეხმონიერის სცენა დაწმინდულია ამის მძაბრად ერთ-ერთი უღამარეზი დღილით, რომელსაც მაკეტის დაწარავებული მეკვლეები სწვე-

ტენ ამის შემდეგ იწყება „იკაველ დღლავე ახალ ქარვთა კვითირი-ტიკრილი ახალ ბოლებსა, ახალ ვაგებს დაწმინდა, რომელიც ზვეგანს სცენადება“. აქამედ მოქმედება პრადების ხაზით მიმარბობოდა და შესწავლისა ამ ხანგრძლივად ვაგებულები არამედგენივი მხატვრული ადგილი გამოაგლან. მან შემწევრად იცოდა, რომ მავრებობისათვის, რომელიც აქამედ სურეკავებულთ უნებნად და უფრებდა მიედ და სწორებლბას, ამ ტრავადარ შეცვენბა იყო სპირი, რათა შეეძლებო იგი მომზადებული შეგებროდა კიდევ მავრები მდრ დაწმინდარი აღსაცხე მიმდევლო სცენებს, ამ მავრებებო რამდენიმე ხნით სწვევას უშუალო კავშირს სისხლისმცურად ამბებთან და მისი მიგვევლიბა და სხენა რამდენიმედ ისვენებდ ტრავეუო სახების აქმისხან და უღანაშაულითა სისხლით შეღებოთ იარაოს მდრ ატეხილი მხარისაგან. ამ თვისუღლებდა მავრებებო უზღებო ბრომეკომქმედის საწმენდ ტრავებთა უშუალო მრწმედ კოფისხან და საწმენდაც ძილვდა მხოლოდ მინაბრბობის მიზნებით შეტყობის შრის მომადარ საწმენდი ამბები, რომლებსაც როსის სიკეთით, საერთო სულადვად აქციეს მთელი ქვეყანა და, ბოლოს აქვე ვაგებო მადლებს უღებურებაც, რაც ამ დღილისათვის უკვე ხალხის საერთო მდის ტიპირი ვაგათიხად არის ცდობილი და მთლი სიხისხისათვის ვაგებობისათვის შურისძიების უცილობლობის მოახლოვება. ამასთანავე, უმეხმენბას აქ ვეცნობო მალეკობს, რომელსაც შეედეგ საზრბარო უნდა დაღობს მთლიან და სწორებლბას, ამ ვეცნობის მას, როგორც პრეობებს, რომელსაც უნდა მოაზრობას მჭარვალი და ატაროს საკეთილი ლტერატურული თავისაზრობა ხალხს და მისი ადგენის საკეთილი ხნით დადგარებდა მავრებობის მოახლოვება, რომ ადგენის საკეთილი ხნით დადგარებდა მავრებობის მოახლოვება და შენაშედეგ ტექნიკური კარად გრძობდა, რაც სწორად და სცენაში წარუღებია მავრებობით იგი.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ დაწარავების სხვა-თამირის ის ვაგებულები, რომ ეს სცენა მალეკობს დაამასხაბიებელი სიტყუებით იწყება:

მოგახანო (აღსვ კუთხის სომეხ და მუხარე გულს შინა) ხარ მიტეულ ცრუმებს დაღობი.
ეს განმარტობისადმი სწავრავა, „ცალკე კუთხის“ ძიებან, რასაც მავრებებო ხვდება მაინა, როდესაც მის უფრებში ვერ კიდევ არ დაღობიებულა მადლებს ცოლსმების საწარმო ძაბოთ, ისეთ კონტრასტს ქმნის ტრავებობის მიედ დაწარედ ნაწილთან, რომ სრულდება ნაწილად, თუ რა ბრანა ქმნიდა ატაროს მისი შექმნისა, ინტელსურ ტექნიკის ეს უფრო მვეჯრად იგრძობანა:

Let us seek out some desolate shade, and there ween our sad bosoms empty

desolate shade — მანახლებთან „ცალკე კუთხე“ — უფრო ზუსტად აღნიშნული „შედობრი, მიკვლეულად ჩრდებს“, ლღვავა ტიპი, რომლის გერმანული თარგმანი შედეგლთან ერთად შესწავლის თარგმანს ქლასიკურ ნიმუშად ითვლება საერთოდ, შემდგენიარად თარგმნის ამ ადგლებს:

Less uns nien stillen. Schatten suchen und Durch Thüren unser Herz erleichtern
აქ მიტევალობის ჩრდილი desolate shade წინარ ჩრდილოდ იქცა — stille Schatten, ბოლო რბულთ თარგმანში იგი „მანაწ-მარტიკობითა ჩრდილი“ გამოიბო.


Подъем искать уединенной тени

И там печаль слезами обтегчим (ლოლოვიტი)
უკვლავიერი ეს თქმული მკობეგლის საურთაღებობა და განწყობლობის შესაქმნელად სხვა არაფერია, თუ არა ისევ კომპოზიციურად აუცილებელი შესვენების მჭირე, და სცენის მოცულობითა, შვიდი, ბრბობითა კოლი და მართლაც ამის შემდეგ მიქმედება აღნიშნულ მიზანს უნახებოდა, და მართლაც ამის შემდეგ მიქმედება თარგმანდამვეჯე ვაგებო მიტევაბა კატასტროფისხან, სადაც მაკეტის სულელორ დაწმინდულთა ურღებს ტრავეუო წარწობის აღწერას, და აქ უკვლავიერი თავებები, ვარდა ამისა, შესწავლი ამ სცენით ვაგებებნას, რომ ჩვენს საქმე ვაგებს ჩვეულებრივ დაწმინდულთან და რაგებურად საჩინოსანა, სწორედ ამბობო არის აღსაცხე ეს სურნა დაწმინდარი სიღნეფითა და სიღმარაბილით, ამით მიედღებია იგი ახი მდორე ტემპით და ვაგებენილით ვაგებულებოთ, საყოფაშობებოდა წარწომებებოთ.

ამიტრავა: კუთხისაგანდებ მეოთხე მოქმედების ბოლო სურათამდე ირჩევდ ბრანის მძიოცირი ამბობიბუდა და ეს ირო პოლესის უფითიერის განსაზრვარას.

თუ ბრანდისის მოსაზრების სწინააღმდეგოდ ჩაივლით, რომ სივის (აღსვლებისა და დაწვლების გარეშე) მომადარ ჩინრბით, თამადად შეგვევლიან ვეკვით, რომ მისი სახით ჩვენ საქმე ვაგებს ერთ-ერთი უღიობის ამბობებთანა, როგორც იქ კა. პრეობისა იო-ს-ში უფლებას, შესწავლის გრინა სწორად და სწორეობარად ღღინის უღაღლი ფორმებში მისწვდა სწორეობას და აჯიუდარო ჩრითილორ რადაც არც ამ წარწომებში გამოქვიათა თავისი შემოქმედებითი ბრანის და როგორც ბიკრონობია ამბობს, „შემდებლად იქვანს, რომ ტრავების საძარბოთ ამ სივის უფერა ერთ-ერთი მიოწადღობილი მჭერვებოთ, რომელიც მხოლოდ ეტყობო იტოპო რდესიდა, იგი ამათი განისვენების ამ მჭერვებოდა, განმარტებულად და იოთური, მჭირეხანოვად და პირქმით, ისევე დაწმინდული ვაგებობითა და ტრავებობით, როგორც ის იყო ამ დღისა, როდესაც საშახის წელს წინაშე პირტის მითროვლავარ ხელმად აღმარბა იქ თავისი ახლადდაწარავებული ქმნილებით“.





დრამატურგი გიორგი ხუხაშვილი

ახალგაზრდობა იმარჯვებს

(გიორგი ხუხაშვილის „ზღვის შვილების“ დადგმის გამო რუსთაველის სახ. თეატრში)

ნოდარ გურაბანიძე

„როგორ შორსა ვართ იმ ნაპირიდან
გემზე პირველი გზით რომ აველით“ —

გალაკტიონის ეს სტრიქონი უძღვის გიორგი ხუხაშვილის პიესას „ზღვის შვილებს“. ავტორმა მშვენივრად იცის, რომ არავითარი ეპიგრაფის გადატანა არ შეიძლება სცენაზე, მაგრამ შინაგანი მოთხოვნილების კარნახით იგი ამ სტრიქონით თავისი სულისათვის იღებს პირველ ნოტას, რომელიც შემდეგ გასმართდება და სულ სხვა მელოდიას მოგვცემს.

ეს ქვეყნობიერი, ძალზე შორეული ასოციაცია, მე ვიტყვი, ასოციაცია საკუთარ არსებში პირველად გაღვიძებული პოეტური სამყაროს მიმართ, მერთალ შექად გასდევს მთელ პიესას და სპექტაკლს.

ნ. ოსლოპოვის კლასიკურ სპექტაკლში ა. ოსტროვსკის „ჭეპა-ჭუხილიში“ სცენის მთელს სიმაღლეზე ატყორცნილი იყო და სადაც მალა იკარგებოდა არყის ხის ნახი ტანი. ეს სრულიად განყენებული პლასტიკური ხატი რეჟისორისათვის ქმნიდა პოეზიის განწყობილებას და წარმოადგენდა მისი ემოციების ერთ რეპლიკას.

მაგრამ არც ერთ, თვით გენიალურ ეპიგრაფს და პლასტიკურ ფრაგმენტს არ ძალუძს ნაწარმოებში, მით უმეტეს დრამატული, აქციის პოეტურად და დამოუკიდებელი ღირსებანი მიანიჭოს მას.

„ზღვის შვილები“ თავისი წყობით, ასოციაციურობით, მოვლენის აღქმის მრავალმხრივობითა და ფრაგმენტულობით (რა საპირისპირო მცნებებია!) პოეტური დრამაა და მასში

უპირატესად, ყოფითი სიმართლე შეცვლილია პოეტური, გა-
მონაგონი სინამდვილით.

მრავალი ეპიკური და პოეტური ნაწარმოების ლეიტმოტივად ქცეულა ზღვა. ლირიკული პოეზიის შედევრები გეგხატავენ მისი ლურჯი სივრცეების მომზიბულელობას, მისი საღრმეების ბნელ წაგარნებს, სადაც კალიედოსკოპური სურათები თითქოს ლურჯ ბინდში სრიალებენ. ძველი ბერძნებისათვის ზღვა იყო ვერაგი მეგობარი, რომელიც წამიერ სიხარულს ანიჭებდა და შემდეგ უსასტიკეს ტრაგიკულ აღსასრულს მოუვლენდა ადამიანს. მაგრამ იგივე ზღვა სამყაროს შეაცნობინებდა მას: — ოდისვესი ზღვის მეცხერ ტალღამ აიტაცა და მთლიან სამყარო დაანახვა.

ზღვისა და ადამიანის მტერ-მეგობრობის ეს თემა, რომელიც ასლებურად ჟღერს ჰემინგუეის ეპიკურ რომანში „მოხუცი და ზღვა“, ცხადია, ნაცნობია ჩვენი ავტორისათვის და მისი გმირებიც, ზღვასთან ბრძოლაში დავაჯაცებულნი, გამორთობილნი, მისგან გვემულნი, მიმხვდარან წყლის სტიქიონის იღუმალეობას. ეს ნაცნობი მოტივები ყრუდ ისმის მათს საუბარსა თუ შგონებებში. ამით გ. ხუხაშვილი ერთგვარი ასოციაციების (თუმც თავისებური ასოციაციების) წრეში ცხოვრობს, მაგრამ მისი ნაწარმოების ფილოსოფიურ-პოეტური აზრის პოეტური სულ სხვაგან ძეგს.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი, მოხუცი ბოცო ამბობს: „ზღვა ყველასათვის ზღვა არის, წყალია, ღიდი წყალი. ჩემთვის სულ სხვაა, ცოლის ხელბობა, შვილის სუნთქვაა“. შემ-



მისა — ზ. კვერცხილაძე, ბოცო — ერ. მანჯგალაძე.

დღე თავის დაღუპულ შვილზე და მის მეგობრებზე: „ზღვა იმათი სასაფლაოა... ზღვიდან ხმა არ ისმის, იმათი ხმა კი მოაქვს ტალღებს, ვხედავ... მუღამ ზღვამ არიან. ამ ოცი წლის წინათ ისინი ზღვამ მოიტაცა...“ ზღვა არასოდეს აბრუნებს ცოცხალს, თუ ერთხელ მოიტაცა“.

აი, ასეთია ამ პიესის გმირებისათვის ზღვა, ასეთად ეჩვენება იგი ავტორსაც და აქედან ჩინებულად აკავშირებს ორ ცნებას: — ზღვა სასა და დროს. გ. ხუხუაშვილისათვის ზღვა არის ღრისი სიმბოლო და ეს არის სწორედ მისი მხატვრული აზროვნების ორიგინალობა. ადამიანები ებრძვიან ზღვას, ისევე როგორც ღრისს წარმავლობს, და ამ უთანასწორო შეჭიდებაში სურთ უკვდავების პოვნა.

ზღვაზე არ რჩება ამ ბრძოლის კვალი, შემდეგმა თაობებმა აღარაფერი არ იციან თუ რა ძნელობა ხვდათ წილად წინაპრებს, თუ როგორი იყო სახელისათვის თავგანწირვის სიმწარე, მაგრამ ამ პიესაში პოეტურ სახედ ქვეული ზღვა, ნამდვილი ზღვისაგან განსხვავებით, ინახავს გმირების თავდადების ამბავს — იგი რჩება მის სიღრმეებში, ისევე როგორც დროში რჩება „განწირულთა სულისკვეთება“. დროისთან, ამ სოფლის „ბინძინვეგარობასთან“ გაზარეული ეს გმირული ბრძოლა ქართველი ხალხის სულიერი ოპტიმიზმის პირველი ძალა და შთაგონებაა. პამირზე ტრაგიკულად დაღუპულ ჯუმბერ მემშარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე ქართველი ერის

სახელისათვის, მისი სულიერი ენერჯის განმტკიცებისათვის ტიან-შანის თავერდამხვევ სიმაღლეებზე ებრძოდნენ ყინულის სამყაროს საუკუნოებრივ მდუმარებას, სადაც თითქმის დროც კი შეჩერებულა და ერთ-ერთი ექსპედიციის შემდეგ თეიმურაზის მიერ ჩამოტანილი ედელგაისის ყვავილის იშვიათი ეგზემპლარი მოწმობს იმას, თუ ვინ ვის სძლია — დრომ თუ ადამიანმა. თეიმურაზი ფიქრებად სვას გაოცებასა და სიხარულზე, იგი ცოცხლობდა ჩვენთვის. ამგვარი ადამიანების თავდადების წყალობით უფრო მტკიცდება ძალა ერისა, რომელიც ხედავს თავისი შვილების უმაგალითო შემართებას მისი უკვდავებისათვის.

ამგვარი სულიერი განწყობილებანი შთააგონებენ ჩვენს ავტორს თავის პიესაში სიცოცხლის განუწყვეტელობის აზრი აქციოს უშთაფერესად.

...გემს ერქვა „იმედი“, მასზე იყვნენ ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ ვერ მოესწროთ ოცნებათა და ფიქრთა საქმედ ქცევა, თვითველ მათგანს სურდა რაიმე კვალი დაეტოვებინათ ამქვეყნად, მაგრამ გაშლილ, აბოთქრებულ ზღვაში გასულნი (მათ ქერიანდნ საქართველოში მოყვადთან დაჭრილები) მტრის თვითმფრინავებთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ და ზღვის მარილიან ფსკერზე პოვნეს სამარე. ხალხი ცოცხლობდნენ, ცდილობდნენ კარგი საქმის გაკეთება მოესწროთ, მაგრამ სიკვდილითაც მათ თავიანთი ცხოვრების წაურთმელო კვალი დასტოვეს ზღვაზე და ადამიანთა გულეში.

აქ გ. ხუხუაშვილი გვიჩვენებს, რომ კეთილი და დიადი საქმეები ყოველთვის პოულობენ ახალ გზებს, რომ მათ აქვთ ძალა იმანენტური აღორძინებისა (შეიძლება საქმე წაიშალოს, მაგრამ მისგან აღძრული იდეები და მისთვის გაწეული თავგანწირვა რჩება), იგი ამოქმედებს სხვას და ამაში ძვეს მისი უკვდავება.

ჩვენთვის თავდადებულთა განუზოცრცილებელი, დაფარული (დროისა და ცხოვრების ნისლით) იმედების გამხველა მათს ხელმეორედ გაცოცხლებას უდრის — ასე „გადადიან“ მამები შვილებში. და თუ ვაჭი ყველაფერში იმეორებს მამას — აქ ჩვენ გენების უკვდავებასთან ერთ გვექვს საქმე, არამედ პირობით, პოეტურ ალვეგობასთან, სადაც ავტორი იწყებს თავისი ძირითადი აზრის მხატვრულ ხორცენახმას.

პიესაში ერთი თაობა და მათ შორის მთავარი გმირი გურამი, ცოცხლდება მოხუცი მეზღვაურის, ცალწელა ბოცოს ხილვებში. მხოლოდ მას ესმის ზღვის ფსკერზე დამარხული ჭაბუკების ხმა და სიმურთა, როცა გემები ნავსადგურს სტოგებენ და საყვირის გუგუნით გადიან ზღვაში. მოხუცი გამოიხიზნის მათ მარადისობის სამყოფელიდან და ისინიც ჩვენ თვალწინ ხელახლა იწყებენ სიცოცხლეს. ეს პირობითი მომენტი განასაზღვრავს პიესის ფორმას. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ გურამის ვაჭი, პატარა გურამი მამას ემსავსება ყველაფერში, ვინაიდან აქ ავტორი კვლავ გვანიშნებს, რომ ყველაფერს ბოცოს ხილვების მიშანი აძებს და რაკი ერთხელვე მივიღეს ეს პირობითობა, ამიტომ მისგან გამომდინარე სხვა შედეგებიც უნდა ვცნოთ.

წინა თაობის ბრძოლა, თავგანწირვა ახალი თაობისათვის პერსონიფიცირებულია დაღუპულ სიყვარულში. მათთვის ეს გემი იქცა ვაკაცობის, მაშულის გეგმურულის სიმბოლოდ. მათმა მამებმა ამ გემის გემანიდან უკანასკნელად ახედეს ტარს, უკანასკნელად შევალეს თვალთ მშობლიური მიწის კონტურები, რათა საკვდილისაგან გაყარულ, გამწრულ გუგუნებში სამარადამოდ ჩაებჭაბათ მათი მომხიბველობა. და ჭაბუ-

კებმა განიზრახეს ამ დამსხვრეული გემის ამოღება. შეიძლება ეს განზრახვა დიდ გმირობასა და თავდადებას არ მოითხოვს, მაგრამ მისი ბიძგები, შინაგანი იმპულსები ძალზე კეთილშობილურია და ადვილად ასახსნელია ადამიანური მორალის სახელებში. ეს ჭაბუკები ასლა გამოდიან ცხოვრების გზაზე, ისინი მოქმედების დაუოკებელი წყურვილით არიან გამსჭვალულნი და მათი პირველი ნაბიჯიც კეთილშობილები — სა და რაღაც დიადის ბუნდოვანი გრძნობით არის ნაკარნახევი. აქ ურთიერთს ორი ხაზი ხვდება — თაობის გაცოცხლება არა მარტო მათი ფიზიკური რელიქვიის აღდგენაა, არამედ მათი ოცნებებისა და იმედების ახდენაც. ცხადია, ობიექტულისათვის გაუგებარია ამ ჭაბუკების მისწრაფება, რომელნიც თითქოსდა მოუხელებელის, უტილიტარული თვალსაზრისით უსარგებლო საგნის დამორჩილებას ცდილობენ, მაგრამ ყუზმარებისაგან შემდგარი ეს გემი მათთვის იგივეა, რაც თქიმურაზ კუხიანიძისთვის იყო ელექტროსის ყვავილი, სადაც თითქოს შეიკრა მშობელი ხალხისგან, მშობლიური მიწისგან შთაგონებული მთელი სიყვარული და პოეზია. არც ერთს არ შეეძლო ამ საჩუქრის გაუცემლობა. და დრამატურგი გარდასული თაობის ოცნებების გაცოცხლებით სიმბოლურ სიცოცხლეს ანიჭებს მათ.

ეს არის პიესის ფილოსოფიური აზრი.

მაგრამ როგორია მისი პოეტური აზრი?

ყოველ დროში, ყოველ თაობაში ცოცხლობს ამაღლებული და მდაბალი სულის კონფლიქტი. ყველაზე დიდი გმირობა საკუთარ სულში კეთილშობილური, ნათელი მისწრაფებების აღზრდაა. ნატიფი სულის კაცი უფრო ვაჟკაცურად, ქედმოუხრებლად ხვდება ცხოვრებისაგან მოვლენილ ფაქტორებს, ვიდრე მისი ანტიპოდი. გურამისა (მამა) და ვახტანგის, გურამისა (შვილი) და ნოდარის (ვახტანგის ვაჟის) კონფლიქტი სწორედ ამას გამოხატავს. ეს კონფლიქტი ადამიანის სულიერი ცხოვრების ორ ძირითად — სიყვარულსა და საქმისადმი დამოკიდებულების — ასპექტში იშლება.

გურამსა და ვახტანგს ერთი ქალი, ლილა, უყვართ. ეს სიყვარული წმინდა და გჭვინუტანელია. ორივე ჭაბუკს მძლავრად დარევს იგი ხელს და აფორიაქებს, მაგრამ თუ გურამს იგი ამაღლებს, ანიჭებს ახალ ძალებს, კიდევ უფრო ხვეწს და ანატიფებს მის სულს, ვახტანგში იგი ანგარიშმიუცემელ, დაუოკებელ, რაღაც ქვეშეცნულ სამყაროს აღვიძებს. იგი ამ ქვეყანას მომხვეჭელის თვალთ უყურებს და ქალიც მისთვის მოსანადირებელი არსებაა. მაგრამ როცა აღმოჩნდება ჭეშმარიტი სიყვარულის პირისპირ და სულ მკრთალი თანაგრძნობის მეტს ვერას ჰპოვებს, იგი ვეღარ აოკებს თავისი ბუნების ბნელ ძალებს და აღვირახსნილობის მორევში ქანდება. სიყვარულის ძალა ერთში თავდადება წარმოშობს, მეორეში — თავდავიწყებას. სიყვარულის ეს ორელსულობა ამ ორი ადამიანის ხსათოს ამძაფრებს და თვალსაჩინოს ხდის მათს თვისებებს. ავტორი გურამისა და ლილას სიყვარულს მძაფრს, ექსპრესიულ ფერებში წარმოსახავს. იგი უცვლელია აინთო და ალივით მოედო ორივეს არსებას, ეს არის, როგორც ვაჟა იტყოდა, „სულის გაზაფხულების“ მძლავრი მასობი, რომელიც აფეთქებს ფარულ იმპულსებს, იპყრობს მათს შინა სამყაროს და მას ავსებს მრავალგვარი ხმითა და ფერით.

ოდნავ სახეცვლილ ვარიანტში ვითარდება გურამისა და ვახტანგის ვაჟების სიყვარულის ისტორია, მაგრამ ესეც წარმოშობს იმვეარსავე პერიპეტეიებს, რაც წინა თაობას გადახდა. აქ ავტორი კვლავ ერთგულია თავისი ჩანაფიქრისა —



ლილა — მ. ჩაბავა

დროის სიბრძნეში არ იკარგება არა მხოლოდ იდეების სიწმინდე და ამაღლებულობა წინა თაობისა, არამედ მათი სულიერი თვისებანიც. ამგვარად, თაობების შეპირისპირება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დროის სინრტყეში“ გმირების პარალელურად გაშლილი ცხოვრება ორმაგად აირკლება თავის ცნობიერებაში (დაახლოებით ისე, როგორც ატორტმა-



ბოკო — ერ. მანტელავა, ვახტანგ — გ. გვიშვილი

ნებული წყლის ზედაპირზე არაკლილი ერთი საგანი ხან ჰკავს თავისთვის, ხან არა) და თითქოს უნდა თავხედეს ურთიერთს, მაგრამ არა; გ. ხუასშვილი გრძობს და ხედს დარის დისტანციებს. თითქოს ცხოვრებაში, ზერეულდ რომ განვსაჯოთ, გარეხულად ბევრი რამ უცვლელი დარჩა. მაგრამ შეიცვალა მისი არსი, იგი უფრო განმტკიცდა, გაიზარდა და დროის ძირითადი ნიშნები ადამიანის თვისებად იქცენ. პატარა გურამი თითქოს ზედამოჭრილი მამამისია (ამას ამბობს მისი დედა ლილა და ბაბუა ბოცო); მაგრამ არც არის იგი. თუ უფროს გურამში იყო რაღაც, შედარებით უნდოფანი ხილვა მიზნებისა და მისკენ ლტოლვა, პატარა გურამს ცხოვრებაში უფრო ნათელი და კონკრეტული პირობები ნიშნები ესახება. საყვარელი და ზვივის შორეული ნაპირები, რომელზედაც მამა ოცნებობდა, თითქოს, მისი შვილის შესახვედრად გამოემართნენ (ამას გრძობს მოხუცი ბოცოც: (გურამს) — ვისი გვიმა ბიჭო, რაღაც ვერ ვამჩნევ, ჩვენსას არა გაუგას.

გურამი: — ამბობენ გერმანელებისააო.
 ბოცო: — გერმანელების? რაფერ იცვლება ეს ქვეყანა... და ქვეყნის კარების ამ „განხვნაში“ ყოველ თაობას შექიქონდა თავისი წვლილი. გურამისა და მის მეგობრებს უგრძობიათ წინაპრების ეს დამსახურება და ახლაც ჭაბუკური სიფიციით აღზნებულები კაცად ცნობენ მხოლოდ მას, ვინც სცხისთვის იშრომა, მომაგალ თაობებს უკლია ახალი გზები. და ავტორი გვეგრძობინებს, თუ რა შეუმჩვენვალა, ბუნებრივად შემოვიდა ჩვენი დროის ადამიანში განუყოფლობა პირადის და სა-შოგაო საშემისა, თუ როგორ იქცა იგი ხასიათის განსაზღვრულ ნიშნად და როგორი უპირატესობის ფაქტორი, ქვეცნობიერი სიამაყის გრძობით აავსო მან ადამიანი.

თუ ვახტანგისა და გურამის (მამის) კონფლიქტი მაინც ვიწრო საზღვრებში იმლება და ეხება პირად გრძობებს, გურამის (შვილის) და ნოდარის კონფლიქტი პირადად გარდა საერთო ნიშნებსაც მოიცავს. თითქოს უფრო „გართულდა“ ნოდარის ფილოსოფია. მამამისი ვახტანგი ჭაბუკობის ჯამს მხოლოდ ცუდს ხედვდა ამ ცხოვრებაში — ადამიანის გაუტანლობას, ორპირობას; და სწრაფწარმავალი სოფლის სიახვეთა მოხეტიათისთვის სინდისის დაუკითხავად ირჩევდა გზას. უსურველი ცხოვრება მისი იდეალი იყო და თავის ხელკუდ-მართობას, ქვეყნის „უძღებ შვილობას“ ადვილად ამართლებდა, ნოდარი კი, უფრო მგრძობიარე და ფაქიზი ჭაბუკი კარგს

შესანიშნავად ხედვას ადამიანებშიც და ცხოვრებაშიც, მაგრამ მთელი უხედურება ისაა, რომ კარგისა და ვის ეთიკური საზომი მისთვის ერთიდაიგივეა. იგი ჩინებულად არჩევს სხვაობას ამ ორ მორალურ საწყის შორის, მაგრამ მისთვის ორივეს ერთი ფასი აქვს: მათ შორის ტოლფარდობის ნიშანს სვამს.

მართლაც, რა ეთიკური უპირატესობა აქვს ერთს მეორეზე, როცა ეს ქვეყანა შეიძლება ერთ დღეს ატომური ბომბის აფეთქებით აღივავოს პირისკენ მიწისა? მაშინ რის კვალი დარჩება ამ ქვეყნად — კარგის თუ ავის? მაშ, განა სულერთი არ არის, რა გზას დაადგება ადამიანი, თუ კი ყველაფერი ამაოებათა ამაოებაა, და კაცთა შრომა და ბძოლა, მათი ღვაწლ და კეთილშობილება მხოლოდ ფუჭი ფუსუსული რაღაც გარადღეული, კოსმიური აღსასრულის პირისპირი?

მაგრამ ადამიანი ვერ გაქცევა საკუთარ თავს. თუ სინამდვილეში ყოფილა მხოლოდ ორი გზა — ბოროტად და კეთილად, რომელსაც საბოლოოდ ერთი დასასრულისკენ მიყავართ, ხომ არ არსებობს მესამე გზაც? და აი ნოდარიც ამ მესამე გზის ძიებაშია, მაგრამ იგი არ ჩანს და როგორც ეცემა არც შეიძლება ოდესმე გამოჩნდეს. დაბნეული, საკუთარ თავზე გაბოროტებული კომპლექსი ორი გზა — ბოროტური ეთიკური კატეგორიის გზაგასაყართან და მტანჯველი სპლინით შეპყრობილი უმოქმედობის, სახარი ხელაჩვენებლობის, განურჩევლობის ატმოსფეროში წელა იძირება. თუ მამამისი ვახტანგი აღმოედებულა მოქმედებად შედეგი დევიზის კარნახით: მოასწარი სხვისი გაქვლა, სანამ შენ გაგქვლავს ვინმე, მოატყუე და გაძარცვე სხვა, სანამ შენ, მართლაც, არ გაგძარცვენ და მოგატყუენ. სამეგობროდ, ნოდარი ცხოვრების სიკეთათა მხეკველთა გულგრილად შესქქების და ერთდღერთი რაც მას აძლევს ძალას, ეს სიყვარულია. მაგრამ შემდეგ გურამთან სწორედ ამ ნივთაზე შეჯახებისას, იგი გრძობს მთელ თავის უშუქობას. თუ მამამისში უიბღობო სიყვარულმა თავდავიწყების სულიკვეთება გადაიღო, ნოდარში მან აღძრა თვითმცენობის უნარი. აქამდე იგი მიძობ ქვეყნს განიცდიდა, რაღაც გაურტყველი, მტანჯველი ფიქრი უფორიქებად სულს, მაგრამ როცა უარყვეს მისი სიყვარული, მას თითქოს თვალი ახილა და დინახა, რომ იგი როგორღაც ორ საწყის შორის უფრონობის მდომარეობაში იყო. ამის გამო მას აქამდე დეკარტული ჭქონდა თვითშეგრძნების, თვითშეცნობის უნარი. მან იგრძნო საკუთარი ჭაბუკური წლების არაობა და ნელა, მისი განიცნობის პირველი პროცესით ძალაბოძვეული, ახალი ცხოვრების შესახვედრად გაემურა. ამგვარად, ნოდარის „მოქცევა“ უფრო გრძმა და პრიციპული მნიშვნელობისაა, და სწორედ აქ იწყება ჩვენი დავაც ავტორთან.

ვახტანგს გარდაცემის რთულს, დრამატულ კოლოზიებს გადაის. მას სიკეთის მიმართ თვალი ჭქონდა დახუჭული, და ყური — სმენად დახუჭული. მაგრამ მიმედ, შემეწვენვალად რაღაც იღვიძებს მის სულში. იგი ჯერ ხედვდა მეგობრის კეთილშობილებას, გმირობას, ურთიერთისათვის თავგანწირვის შთამაგონებელ სურათს, გურამისა და მისი ტოლების ტრავაკულ სიკვდილს და ამ განსაჯელიდან იგი გამოიღის შეძრული და გაოგნებული. ამიტომ ჩვენ ავტორის ნაძალადევი ფანტაზიის ნაყოფი არა გვერინია, როცა მას ვხვდეთ გარდაქმნილს, გაკეთილშობილებულს. ნოდართან კი ეს ერთიანი პროცესი უფრო სტიკვერი მასალაშია გადატეხილი, რთულ ცსენურ მოქმედებაში და ბევრი რამ ჩვენ უნდა ვივლილსხმოთ.

გ. ხუასშვილმა თავიდანვე რთული ამოცანები დაუსხა თავის თავს — ორი თაობის ცხოვრება, მათი კონფლიქტები,



ამ ცხოვრების ერთმანეთზე „წაფენა“ (როგორც კინორეჟისორები იტყვიან), პირობითი პოეტური განწყობულობა მოთხოვდა პიესის თავისებურ, ასევე პირობით ფორმას. მართლაც, წარსული ცხოვრების რეტროსპექციული წარმოსახვა, მოვლენის შუაგულში ორივე მხრიდან სვლა, ბოცის ხილვები, ტრაგიკული დაღუპული გმირების სიმღერა და მათი მონოლოგები ქმნიან სავსებით ორგანულ პირობით მარჯოს, სადაც იშლება ნამდვილი, პოეტური ცხოვრება — განწმენდილი ყოველდღიური წერილობრივან. შესაძლოა პიესის ეს ფორმა შორეულ ასოციაციებსაც კი აღძრავს ა. მილერის პიესასთან „კაცი, რომელსაც ბედი ასე არ სწყალობდა“, ანდა ჯ. კოპოუტის პიესასთანაც — „როცა ასეთი სიყვარულია“, — მაგრამ, ვიმოვრებ, არსად არ იგრძნობა ფორმის ხელოვნურობა, იგი სავსებით ორგანულია და ნაკარნახევია თვით ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურით, მისი პოეტური სუბთქით. მაგრამ ვინაიდან ავტორს აღებულება აქვს გმირთა მოქმედების პრეცილი არე, დიდი დრო, გამოყვანილი ჰყავს ორი თაობა, მან უფრო მოგვცა ცხოვრების „დრამატული ნატივები“, ვიდრე, ერთ მძაფრ კონფლიქტზე აგებულნი, მთლიანი დრამა. გ. ხუსტაშვილმა ორი თაობის ბრძოლის და კონფლიქტების სურათი გადავიწყალა, მან ერთის მხრივ იგრძნო, რომ საჭირო იყო ორი, განსხვავებული კონფლიქტის (თუნდაც ნიუანსებშიც კი) შექმნა, ვინაიდან ორივე პლანს საკმაო დაძაბულობა ჰქონდა, მაგრამ მჭირს მხრივ სურდა რა, რომ პიესა მთლიანი ყოფილიყო, იგი მაინც, პრინციპში, ერთი კონფლიქტის ვარიანტის შედეგაა. აი, ამის გამო პიესას აკლია ჭეშმარიტი დრამატიზმი და ემოციური მღვლავარება, ზოგჯერ გონებისმიერი, ხელოვნური დაძაბულობა ეტყობა სცენებს, თითქოს ბუნებრივი ცეცხლის ნაცვლად მაგნიუმის ალი ანათებს მათ.

ამ სპექტაკლში კვლავ ახალი ძალით იფეთქა მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორულმა ტილანტიკმა. განზოგადებული, პოეტური ფორმებისადმი მიდრეკილება, გმირების ფსიქოლოგური და ემოციური ქვეტექსტების შერწყმა წმინდა რეჟისორულ გამოხატონთან, სცენაში მოულოდნელი დეტალის შეტანა და ამით ახალი აზრის მინიჭება, თითქოს, უკვე ნაცნობი და ჩვენ მიერ ადრე გააზრებული მოვლენებისადმი, საერთო კომპოზიციური მთლიანობა მისი საუკეთესო სპექტაკლების თვისებაა. ჩემი აზრით, მ. თუმანიშვილის ნამუშევარი აქ სრულია — თუმც არა სრულყოფილი, და საუკეთესო ნიმუში პიესის ყველა კარგი მომენტის აბსოლუტური გასსინია. მან ავტორს არ დაუკარგა სულ მცირე კეთილისმყოფელი მარცვლიც კი, თავისთავად დრამატურულიად კარგად განვითარებული ამბები კიდევ უფრო გაზარდა და გააღრმავა. რაცა მიხეილ თუმანიშვილი იმარჯვებს, მაშინ სპექტაკლის ყველა კომპონენტი მაღალ დონეზე დგას ხოლმე. ე. ი. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ იგი არრეგს რეჟისორულად მახვილგონიერულად დასადგმელ სპექტაკლებს, მაინც მას არა აქვს მთლიანად წმინდა ე. წ. რეჟისორული სპექტაკელი, — მსახიობი და მსატყარი მისი ნამუშევრის განუყოფელი, ტოლფასოვანი ძალები არიან ჩვენში არ გაგვიორდებთ, სამწუხაროდ, ისეთი „სპექტაკლის“ ხილვა, სადაც მხოლოდ ერთ-ორი მსახიობი ქმნის საინტერესო სცენურ სახეს, მაგრამ საერთო კომპოზიციური წყობა დადგმისა, მისი შინაგანი რიტმი, რომლის გარეშე საერთოდ ვერ გაიზარება დადებითა ცხოვრება, იდეური და ემოციური აქცენტების განაწილება სრულიად არ შეინიშნება (ხშირად ამგვარი სპექტაკლის ვაი რეჟისორი გამოდგება და გვიმტკიცებს, რომ თუკი

სპექტაკლში ერთ-ორი კარგი სცენური სახე შეიქმნა, მაშინა დაბე, რეჟისორული ნამუშევარი მაღალ დონეზე ყოფილი). მ. თუმანიშვილთან ამგვარი რამ არ შეიძლება მოხდეს. თუ მისი დადგმა „ვარდება“ — მისთან ერთად „ვარდებიან“ მსახიობებიც, მსატყარიც და კომპოზიციურიც (მაგ. მის სპექტაკლზე არ შეიძლება ითქვას, რომ იგი სუსტი იყო, მაგრამ მასში კარგი იყო მსატყარი). ეს ჰარმონიულობა მისი ტილანტის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა, მაგრამ საგარეისა, მას აქ სადმე დაერტყვის წინაწირობა, რომ კრახი გარდუვალია.

„ზღვის შვილები“ მისი ჰარმონიული და მთლიანი სპექტაკლის რიგს განეკუთვნება. მან, უპირველესად, განიზრახა შექმნა ერთგვარი „სპექტაკლი-ბალადა“, და როგორც ამ პირის შეფერვაბა, გვერდი აუარა ყოფი-ცხოვრების ყოველგვარ წერილობასა და გმირთა ყოველი მოქმედების ფსიქოლოგიურ მოტივაციას. პირობითი სცენური ქანაობები (მსატყარი დ. თავაძე), რომელზედაც იშლება მოქმედება, მისი „სიმშრალე“, განწყობულობა და ადგილის ზუსტი კოლორიტისაგან განთავისუფლება, უკვე ქმნის ზოგად გარემოს შთაბეჭდილებას. ამ მკაცრ, რუბ-მოშავო სინტრეპებს ხანდახან აცოცხლებს რაიმე საგნის პიუბლიკური დეტალი (მიკრობოლური ამ მოუღანთან შედარებით: ხან გემის უზარმაზარი ქიმი, ზღვის სანაპიროსთვის ეგზომ დამახასიათებელი რესტორნის კოტეჯრები). როცა ვერანზე გამოჩნდება აბოთქრებული ზევა ან მისი მღვრიე ტალღები, ეს სცენური მოვლანი ისე ორგანული და ჩვეულებრივია ჩვენი თვალისთვის, როგორც ზღვის სიღრმეებში ჯიქურ შეჭრილი ზევილი. მისი მოქმედების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, რომ პიესის გმირები, სანსტრუქტურული აღგზნებული, გარბიან ამ „თუტრალურ დამბეზე“ ზღვის შესასვედრად, ხან ზღვიდან იმავე გზით ბუნდღებინ ხმელეთზე მტვინებიან ან ტრაგიკულად შეძრულინი. ეს არის გმირების „ცხოვრების ხილი“ რეალურობიდან უსარულო

ნოდარ — გ. სალარაძე, მზია — ზ. კვერენჩილაძე





სივრცეებისაკენ როცა ბოცის ხილველში გაცოცხლებდა დაღუპულ გმირთა მივლი თაობა, ჭაბუკები დგებიან ერთ სიბრტყეზე, სახით ჩვენსკენ, სწორედ იმ საზღვარზე, სადაც თავადებმა ხმელეთი (ხმელეთს მე აქ ვმარბო როგორც ამქვეყნიურების ცნებას) და იწყება ლურჯი უსასრულობა. ისინი ჭკრებიან სცენის პორიზონტიდან და ამ მიმენტიდან ორ სამყაროს შორის არსებულ მიჯნა უკვე ერთგვარა ჩვენთვის და დარბა მომენტში მათი „თამაშის“ და ურთიერთობის ცვლილების. ამგვარად, ფონი ადასრდოს არ არის ნეიტრალური. თვით მცირე ეკრანებზე (გარდა სცენის მთელ სივრცეზე გადაჭიმული ეკრანისა, რეჟისორი და მხატვარი იყენებენ მცირე ეკრანებსაც) ასახული ქალაქისა და სივრცის დეტალები დინამიკურია და და ცხოველ კავშირში არიან გმირების ცხოვრებასთან. ქალაქის ხედი, სულ პატარა კუთხის პატარა „გრაფიკული“ სახლებით (მხატვარის ისინი თითქმის შორიდან დაუნახავს) შევსავართ ზღვისპირეთის მცხუნვარე ატმოსფეროში (თუმც არსად არ ჩანან არც პალატი და არც მაგნოლიები), სადაც ადამიანთა ვენებანი სრავად ხელდებიან. როცა გურამი (კობე მახარაძე) და ლილა (მედეა ჩახავა) სივრცეში აღაზრებლები ზღვიდან ბრუნდებიან, მათს უთიერთ ტროფალს თითქმის კიდევ უფრო აცხოველებს, ამაფრებს, მცხუნვარე მზე (გამოსახული კვლავ მცირე ეკრანზე). მზის სხივები თითქმის იჭრებიან მათს ძარღვებში და უხვად აფრქვევენ მათს სულში ელვარებას. ეს მზე, — პირდაპირ ვინსენტ ვან გოგის მზე, — გამომწყვავად, დამბარბაველად სიკაშკაშით ანათებს მათს გზას. და შობრტყელენიც თავის მხრივ ასევე პირდაპირ უმართავენ მას ზურას და მისგან თვალმოჭორილი კარგავენ გარემოს რეალურობის გრძობას და მხოლოდ ერთმანეთის პირისპირ რჩებიან. ასე ძალუმად და შესანიშნავად გვაგრძობინებენ მასობივე სივრცეში მცხუნვარებას, მის „კოსმოსურობას“. ვახტანგსა (გიორგი გვიჭკორი) და გურამს კი (სცენა საწივარში) დატყვევებს ზანტი მთავარ და ქალაქს რაღაც სამომთივითობის ატმოსფეროში ხელს. იგი თავის ვერცხლისფერ ზოლს უშვებს ზღვაში და საიდანაც არ უნდა შეხედო მას, იგი ყოველთვის შენგან იწყება. ეს არის ოპტიკური ცდუნება, მაგრამ ადამიანებს თურმე აქვთ მიდგრელება არა მარტო ირწმუნონ ეს ცდუნებანი, არამედ სხვა ცდუნებებსაც კი აწყენენ (ვახტანგი იმ დამეს ძარცვას სახელმწიფო საწყობის, რომლის დარაობა მიწილილი ჰქონდა მის მეგობარს — გურამს).

სცენურ ატმოსფეროში რეჟისორს ამგვარად შემოაქვს ცხოვრების სუნთქვა. მცირე დეტალები, ყოფის ნიშანიც კი მის ხელში ინარჩუნებს პირველყოფილ აზრს, მაგრამ აუცილებლად მაღლდება საკუთარ თავზე — ის უფრო მეტს ამბობს სცენაზე, ვიდრე ამის თქმა შეუძლია ცხოვრებაში. სპექტაკლში მოქმედება იწყება გათივების ხანს. რეჟორდექტორიდან მოისმის დიქტორის ხმა, რომელიც დილის გამამხნეველ ვარჯიშს ისე გადმოსცემს, თითქმის ქვეყანას ჰკუას ასწავლიდეს. თითქმის არაფერი მომხდარ და მაყურებელიც ამას ჩვეულებრივად იღებს, როგორც რეჟისორის სურვილს — გამოცოცხლოს, ცოვრების სმით აავსოს სცენა. მაგრამ როცა ეს ხმა დიქტორისა კვლავ განისმის უფროსი გურამის ცხოვრების ჩვენებისას (კვლავ თამბიადზე), იგი იძებს სხვა, უფრო მნიშვნელოვან აზრს — რაღაც მომამხრებელი, ავისმომასწავებელი ნიშანი ხდება — თავისი თანმიმდევრობით, მონოტონური უცვლელიობითა და ერთგვარობით. ომით მოგვრული გატრეყებას და სიღუპრებზე პიესაში არაფრავა ნათქვამი — მაგრამ რეჟისორი ერთ სცენ-

ნაში გავარძობინებს მის სუსხანს სუნთქვას ...ცარიელ მოუღონებში გრძობად გატიშულა სახავეთების, აგურების, ქვის ნატყნების გრძობი რიგი. თვითუღლ მათგან ცარიელ რაღაც რიცხვი აწერია. ჩანს ცივა; ეს უტყვი რიგი ნივთებისა (ადამიანებმა ვეღარ შესძლეს დამის თვეა, რიგში უსაშველო გომამ და თავის მაკვირად დატოვეს ეს ნომირანი ნივთები) გავარძობინებს, თუ როგორ დაცარიელდა ეს ქალაქი და უკაცრელობის მტანჯველი ატმოსფერო გამეფდა აქ. თითქმის სიცოცხლის დერიტა დაიწრტა, მინულად ცხოვრების მაჟისცემა. ამ საგნების მუკრევიში რაღაც უშეუღლ ჩაყუველა შედეა ჩახავა — ლილა. მისი სუსტი ხსეული, სინაზე კონტრასტულად მოჩანს ამ გარემოში — რომელიც განაცხადურდა და მხოლოდ ამ ქალს შეაქვს მასში მოძრაობა სიცოცხლისა. ამ სცენურ ატმოსფეროს სადგანებოდ ქმნის რეჟისორი: — ომმა ადამიანებს მოუტანა დიდი ტვიტობი, მარტობის გრძობა, გატრეყება, ლოდინის სიმძიმე, მან თითქმის ადამიანებს სისარულს ყოველგვარი განცდა წართვა, მათს სახეზე საბოლოოდ წაშალა ღიმილი და მძიმე სკედის ნიშანი დაატყო, მაგრამ აქ იხადება სწორედ სიცოცხლე, აქ შეიგრძობა პირველი მოქმედი ნიშანი მისი უწყვეტობისა (ლილა თავის არსებაში გრძობს სიცოცხლის მოძრაობას) და ეს მიმჭრალი, თითქმის ჩაფერული ცეცხლი ნელა ღვივდება, ოპტიმიზმის ცხოველყოფილი სხივის შემოჭრამ მას ახალი ძალა მისცა.

ეს ოპტიმიზმი გასდევს ცალკეულ სცენებს და, ამრიგად, მთლიანად სპექტაკლსაც. ...მტრის თვითმფრინავის ქარცეცხლი დაატყდება თავს გურამის კატარას, რომელსაც დატრელები მოჰყავს. ზღვის ბობოქარი ტალღების ძალას არიკევეს ახლოს გამსჯარი ყუმბარებისგან დაფულილი პარკირწყვა კატარად. შეზღავრები ფრესტ ძლივს დანახან, მათ სახეებს თითქმის შექვის სამართებლით ჰკვეთს მტრის პროექტორები. ეს სახეები ხან გამორდნება და ხან ბნელში იშლება. ამ ჯორჯოხეთურ გარემოცვაში გმირები არ კარგავენ შინაგან წონასწორობის (სხეულის წონასწორობის დაცვა შეუძლებელია), მაგრამ რაც უფრო ძლიერდება კატასტროფის გარდღევალობის გრძობა, მათი ფსიქიკა უკიდურესად იძაბება. ახლა ისინი არიან ექსტაზში, ყალყყე შემდგარნი და მათი სულიერი ძალა და კეთილშობილება ისევე წაიჭირად და მოულოდნელად ჩნდება, როგორც პროექტორების შექვის თამბი ბნელში. ეს ქაოსი ზღვაში ინთქმება, ყველაფერი წყნარდება, მაგრამ მაყურებლის სმენაში კვლავ ხმაურობენ მისი სხები, მის ფი კვლავ მოძრაობს კატარლის უწიური ანდს. და შემდგომ იგი ხდება ვახტანგს — დატყროს, სასობიბდობს, რომელსაც ხელში უტყობას მამული რღვი წარწრით „იმედი“. ეს არის უკანასკნელი გადმონარული განცდილი ქაოსისა, ადამიანთა გაფაფრული იმედიების საბრალი რღვიქვია. თითქმის ბუდის ირონიამ, თუ ცხოვრების უცნაურობამ მიანდო ვახტანგს — ამ გმირი ჭაბუკების ანტიპოდს — გამოტანას ამბავი მათი დაღუპვისა. მაგრამ აქ რეჟისორი გავიანობის სხვას: — ვახტანგი ღრმად შესძრს ზღვაზე დატარალებულმა ტრაგედიაში. მისი უცნაური პატრიმეყარობა საბოლოოდ დაინთქა ზღვის სიღრმეში, მასში გაიღვება თანავარძნობის და თავდადების გრძობამ და მის ხელში „იმედი“ სიმოლურ აზრს იძებს. აქამდე მეგობართავან და გარემოთავან განწირული კაცი ახლდება ჩვენ თვალწინ და იგი ამიერიდან იესობრის იყოს ღრისეული მოპიკანი თავისი თაობისა. მან ივრწამ, რომ გარემოებამ, თუ ღრმ მას მოჰდაყეტეს როლი არგუნა, რომ უნებლიეთ სვესისი შექვი მას დაყცა



და რომ ამის გამო იგი სხვა კაცად უნდა იქცეს, ვინაიდან სხვი-
ლი იმედებისა და ოცნების — ამაღლებული და ნათელი მის-
წრფეების — ყველაზე უშუალო და პირდაპირი მაუწყებე-
ლია.

აი, ეს უმთავრესი ფსიქოლოგიური გარდატეხა გმირისა
მთელის სიღრმით გვიჩვენა გიორგი ვევეკვირმა. ამიტომ
ჩვენთვის ფრიად სარწმუნოა, როცა მას ვხედავთ შინაგანად
ორგანიზებულ, მტკიცეს, ახალგაზრდობის წულისხმირ მეგო-
ბარს, რომელმაც იცის ფასი ცხოვრების წესების. ამავე სცენაში
მკვლევანდებ ბოცოს მთელი დიდებულება.

ჭემშიარტი ადამიანური უშუალობის, გულბილობის, დიადი
რწმუნის პოეტური სული: არის გამსჭვალული ეს სპექტაკლი.
თუმცა იგი კონკრეტულ კოლორიტს მიკვლევულია და უფრო
ზოგად პლანში ვითარდება, მაგრამ ერთი მანჯაღაძე (ბოცო)
დღის ტაქტი, სპექტაკლის სტილის სრული გრძობით
ქმნის ძველი მეზღვაურის, ცხოვრებანანაჲ კაცის სახეს და ეს
კაცი, უპეტელად, კოლხეთის წიაღში ნაშობი და აღზრდილია.
სულ მცირე, მსუბუქი შტრიხით აქვს ეს აღნიშნული მსახიობს.
ეს არის ახლა მხოლოდ ზღვის შვილი, არამედ მიწისა და მთელი
მისი ცხოვრება, იმედები, ოცნება თუ მისწრაფება უკავშირ-
დება ზღვას, მაგრამ ქართველი კაცის მოწყვეტა შეუძლებელია
მიწისაგან, ვინაიდან იგი აღუვს მას ძალას, მასში მარად
ციცხლობს ძალში ყვილი მიწისა (ამიტომაც ასე ხშიანობს
მსახიობის გულიდან ამომსკდარი: „მიწა იყოს და ქალაქი
ყოველთვის აშენდება“). ამ მიწიერ ძალას სპექტაკლს ანიჭებს
სწორედ ერთი მანჯაღაძის ბოცო. მისი კეთილშობილება,
ვაკაცობა, თავშეგავება სიცოცხლის ენერჯიტი კვებავს სხვა
ადამიანებს. თითქოს ცხოვრების ძნელებლობას მოუტყავს იგი
და ჩვენ მისგან მხოლოდ სიკეთის პასურ გამოვლენას უნდა
ველოდეთ, მაგრამ მსახიობი ხშირად „აღვიქებს“ ამ მოჩენ-
ებით სირბილეს და მაშინ ბოცო ჭემშიარტი გმირად იქცევა.
ეს გმირობა რაღაც პოეტურ საბურველშია გახვეული. მოხუც
ბოცოს შინაგან სენას ზღვის ფსკერიდან სწვდება თავისი
დაღუპული ვაჟიშვილის და მისი მეგობრების ხმა და სიმღერა
(ასევე ესმით ვაჟს გმირებს წინაპართა აზვართ ქღარანი).
როცა იგი ეძლევა თავის ხილვებს, ჩვენს წინ ცოცხლებიან
დაღუპულთა სახეები და ამ მსახიობის წყალობით ჩვენ ამას
აღვიქვამთ არა როგორც პიესის პირობით ღერხს, არამედ რო-
გორც ბოცოს მოუტყებელი სულის ემანაცია. ეს არის ბოცოს
ოპტიმიზმი და თუმცა მის ხმაში რაღაც განწირულების ნოტები
ქღერენ, ჩვენ მაინც სარწმუნოდ ვეძებულობთ მისი სულის
ძლიერბორობას. მისთვის გმირები, მათი თავდადება არ
ჭკრებიან და იგიც მათ აცოცხლებს, რომ ამით ძალა მოიცეს
და სხვესაც გაანდოს მარადისობასთან თანაზიარობის იდემა-
ლება და აღმჯღერა. მან განვლო თავისი ცხოვრების გრძელი
გზა, მაგრამ მსახიობი იმგვარად შესცქერის ჭაბუკებს, თავის
შვილშვილს, უშუალობის ისეთ ძაფებს აბამს მათთან, რომ
გაგაგრძობინებს — ბოცო უკვე ახლა ხედავს თავის უკვდავე-
ბას, ვინაიდან ყველა მისი საუკეთესო ადამიანური თვისებანი
ახლებს შეუსისხლოცრებიათ, (ამიტომ ასე მტკივნეულად გა-
ნიცდის თავისი იმედის სულ მცირე გამტყუნებას).

ხანში შესულ ადამიანებს ახასიათებთ მიდრეკილება სენ-
ტიმენტალობისაკენ და წარსული მოგონებებით ცხოვრება.
მაგრამ ბოცოს მოგონებანი ნეტარების ბურუსში როდი სვეს-
იგი მას აღაგზნებს და თითქოს ახალგაზრდავებს (მისი
საუბარი მიტოვებულ ყვავილთან გამზარია არა მარტო საკუ-
თარი განცდების წამიერი გაელვებით, არამედ სხვისი ბედნიე-

რებით მოგვრილი სიხარულითაც). როცა იგი დანახასწავლ-
ტანეს, რომელსაც ხელში „იმედის“ მამული ორლო უშუოდ
უჭირავს, იგი იმ წამსვე ყველაფერს ხედება. შვილის სიკვდილი
მისთვის ქვეყნის დაქვევას უდრის, მაგრამ უკანასკნელი, მშობ-
ლიური მიწველი თითქოს გამაგრებულა, თუმც მთელი მისი არ-
სება მტანჯველ ბინდში გახვევა. ამ ბინდს მისი გონების წა-
მიერი იმპულსები ანათებს, შემდეგ კვლავ ბნელი გაურკვევე-
ლობა და სიკარგიულის ირგაურობის გრძობა მოიცავს მას.
ამ უცხო სამყაროდან ესაუბრება იგი ვახტანგს და ჩვენ ვიცით,
რომ იგი სულ სხვაგანაა გადასახლებული. რაც უფრო ნათე-
ლი ხდება მისთვის შვილის დაღუპვის ამბები, მით უფრო გა-
მოდის ამ გამოუთქმობი ბურუსიდან, უფრო ძლიერდება იგი
ნაცვალად საბოლოო წახსენება. მაგრამ სწორედ გარკვეულობა
ართმევს მას უკანასკნელ ძალებს და იგიც მოცელილივით ეცე-
მა. აი, ასე სწორ ფსიქოლოგიურ სურათს ქმნის მსახიობი და
იმიტომ არის ემოციურად ძლიერ ზემოქმედი სცენა (ისე,
ცხადია, ამის გარეშეც, მაყურებლებზე ისიც იმოქმედებდა,
მამამ რომ შვილი დატვირთის — მაგრამ ეს არ იქნებოდა ხე-
ლოფებმა). ბოცოს ძლიერი სულის, მისი ვაკაცური შემართო-
ბის და ცხოვრებისეული აზრის გარეშე შეუძლებელი იქნებო-
და სპექტაკლში ასე მძლავრად აფლერებულყო გუარამისა და
ლეილას სიყვარულის პოეტური თემა, რომელიც თავის მხრივ
ახალ შექაპ ჰქვანს ბოცოს სახეს და ვახტანგის შემობრუნება-
საც.

როგორც ეს „ბაღალი სპექტაკლის“ ეანრს შეფერის — რეჟი-

გია — კ. საკანდელიძე, ელგუჯა — ჯ. ლალანძე



სორი არ ცდილობს გმირთა მოქმედების მამოძრავებელი ფსიქოლოგიური იმპულსების სრულ მოტივაციას. იგი და მასწო-ბები ხასიათის ჰქვეით უკვებ, ფართო მონასწორით, მხოლოდ გადამწყვეტ, საკანძო მომენტებში იგრძნობს ფსიქოლოგიური სისწორე და სიღრმე მძაფრ სიტუაციაში მოქცეული ადამიანისა. მოქმედი პირების მგრძობარობას ელდის ხასიათი აქვს, იგი მოულოდნელად და სწრაფად ვლინდება და ადამიანების ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. აქ დროს რევი-სორი, პირობებად რომ ვთქვათ, მიმართავს „მსვილ პლანს“ — ე. ი. ყურადღების კონცენტრირებას ახდენს გარ-კვეულ ქვეყანაზე, სახეთა გამომეტყველებაზე და სხვა დანარ-ჩენი ჩვენი ხილვის სასურვებს მიღმა რჩება. ასეთია ბოცის (ეროსი მანკვალად) და უკვე სასულგო კაპიტანად ქცეული ვახტანგის (გეორგი გეგეჭკორი) შეხვედრა — როცა ისინი შემთხვევით ჩაუვლიან ერთმანეთს, წამიერად შეყოვნდებიან, იცნობენ ურთიერთს და სიტყვის უთქმელად გაშორდებიან. მათს შურაში ინახება მიტარება და მიტკვევება, წარსულის უნებლიე გასწვებაც და ორმხრივი შეტყუებაც. ანალოგიუ-რა ვახტანგისა და ლეილას (მედეა ჩახავა) შეხვედრაც — როცა ვახტანგის თვალებში კვლავ ძველდღის სიყვარული ნაკრწვლები გაიფლავებენ, რომლებიც ქალს შეკრთობენ (ჩვენ ამ ორ მომენტში უნებლიეთ მხოლოდ მათ სახეებს შევცქერით) და ვგრძნობთ, რომ ამ შურადა დუღული წარსული ცხოვრე-ბის იდუმალება ფიარება, რომ ამ ადამიანებს რაღაც მნიშვნე-ლოვანი, მძაფრი (ისინი ხომ გულგრილად ვერ უქცევენ ერთ-მანეთს მხარს) ისტორია აუვებოდათ.

გრძობათა ელდა ყველაზე მძაფრად არის გადმოცემული კოტე მახარაძისა და მედეა ჩახავას გმირებში. გურამი და ლეილა პირველად ხვდებიან. ეს უნებოთი ჭბაუკი და ქალიშვილი ეცნობიან ბაღში, ცვეკვას. მათ რაღაც შინაგანი ლტოლვა, გრძნებს პირველი შეხვედვისთანავე და ახლა საკმარისია სულ ოდნავ შეეხონ ერთმანეთს, რომ უკვე ურთიერთის გავლენაზეც ახდენენ, რის გამოც თავსარადა-ცემობის არიან. ამიტომ მათ უმინიათ ამ შეხებისა, გაუგებდა-ობისა და განუცდელის პირისპირ დგანან ისინი და ამახსან ადრეულ შიშში, პირობით, უფრო აცდუნებს ორივეს, დასძლი-ონ რაღაც უნებოთი ძალა. რეჟისორისთვის (და ჩვენთვისაც) სასებოთი საკმარისია ასეთი მძაფრი ფსიქოლოგიური მონას-მები. ახლა იგი ჩქარობს ეს ხასიათები უფრო ფართოდ გვიჩ-ვენოს და ისინი, მართლაც, გავიგანა ჩვენს წინაშე მას პათე-ტიკურნი, მას სიყვარულით აღზნებულნი ხან გასცდელდები და ხან მეოცნებენი, ზოგჯერ რიტორიკულნიც კი და ეს ქმნის სპექტაკლის თავისებურებას.

მართლაც, განცდებისა და ემოციების რთულ პერიპეტეიებს გადიან ეს მოტრეციალენი. მათი სიყვარული დაიწყო უკვებ. თითქმის გარეგნულად მოუხეშავ გურამში კეთილშობილვდა კი-დეც უფრო სიყვარდა, ხოლო ლეილაში სითანამე. პირველი გაცოლების განაშნი მსახიობების განცდების სწრაფ მონაცვლე-ობას გვიჩვენებენ. მარტოდ დარჩენილი რაღაც უხერხულო-ბას გრძნობენ ისინი. ამ დროს საკმარისია სულ ოდნავ დაიჩ-ვლებს მათი შემოჭოვი ინსტიქტები, რომ ამ წაშლელ თავი-უსუფლებს მათი ნაზი და მოსიყვარულე ბუნება. სულ უბრა-ლოდ, თითქმის საყვედროთი, უუნებოან ისინი ერთმანეთს პირველ სიტყვას „შე გლახა“ (ვითომ რამ შეგაციოლი) და ამ უმნიშვნელი სიტყვებს მიღმა, ინტონაციაში გამხველია გაღვიძებული სიყვარულის ძალა. ეს ნაზი პოეტური სცენა უმაღლად გაღიზნდება პათეტიკურ, პოეტურ აღსარებაში. ორი-

ვენი ბუნდირებების სიასხლოესაგან გაიცისკრებულნი გჭნა-ბობენ პირველ განცდაზე და მერე უბოლოდ ბრუნდებიან აღ-მოცდებულნი: სიყვარულს მათ საზღვიად ახსენს სადავები და ამ დროს „ვან გოგის შვი“ კიდევ მეტ პათეტიკურობას ანიჭებს ამ ურთიერთგზნებას.

ამგვარად, ენაცვლებს ურთიერთს ფსიქოლოგიური სიმაჩ-თლე და ტრეშიკარტა, შეუნიბოვი პათეტიკა.

ადამიანის ცხოვრების უმთავრეს მომენტებს ასე გულმოდ-გინედ ამუშავებენ რეჟისორი და მსახიობები. ჩვენთვის ძნე-ლია დავაზუსტოთ, როდის უფრო ახლოს არიან ეს ადამიანე-ბი ერთმანეთთან, როცა ინტიმურ საუბრებს ეძლევიან, თუ — გულახდილ, დაუფარავ საუბარზე გადდიან პირდაპირ მიყ-რებულთან. მაგრამ გვინებ ადამიანის სიყვარულის, მის გა-რემუტ ცხოვრების უაზრობის განცდა შესანიშნავად არის გად-მოცემული, როცა მედეა ჩახავა — ლეილა მოსსხამის კალ-თაზე ჩამოცვდება ოში მიმავალ გურამს და ტრაგიკულ გა-ოგნებით გაიბაძის: — „არ გაგიშვებ, არ გაგიშვებ!“ — თით-ქმის გრძობს, რომ მის სხეულს სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაწილი წყდება.

ასე რეჟისულად კომპოზიციის და შინაგანი სენის ჩინე-ბული გრძობით არის აგებული სპექტაკლი, გაზონაკლისია მხოლოდ ერთი-ორი ერთობ ზერელე და ყალიბი სცენა გურა-მის მეგობრების მსჯელობისა, რომელიც გარდა იმისა, რომ გამოირჩევა თუხისა და ანტითუხის პრიმიტიულობით (ეს დრამატურგიული ნაკლია), ამოვარდნილია სპექტაკლის სა-ერთო სტილიდან. ძალზე გაულებელივოდ გამოიყურება კონ-კრეტული სცენა, მაღალ ტაბუკში მსჯელობენ, თუ როგორ ამოიღონ „იმიდი“. სრულიად არ შეესაბამება სპექტაკლის ზოგადდრეკურ ქარებას. ეს სცენა ჩვენს მიმტკვევებ-ორინი-ულ დიმილს იწვევს არა მარტო მსჯელობის უადგილობისა და პრიმიტიულობის გამო, არამედ მოყვარულთა თეატრისათვის დამახასიათებელი დეკლარაციულობისა და „სერიოზული ფარისი“ გამოც (ეს უკვე რეჟისორული ნამუშევრის სისუ-ტება). ამას გარდა, პირდაპირ მუშონია, რომ საერთოდ ამ სპე-ტაკლში არ იყო გამართლებული „სტილიაგების“ წარმოსახვა ტრადიციულ მანერაში; კ. საკანდელიძე და ჯ. დადიანიძე ძალზე კარგად, პირდაპირ შესანიშნავად თამაშობთ თავიანი როლებს, მაგრამ ყოფითი ფარისი ყველა ელემენტი შემოაქვს მათს სცენებს, რაც უცხოა ამ სპექტაკლისათვის. ვგონებთ, როგორც ავტორისთვის ხატვა ამ გმირებისა, ისე მათი რეჟი-სორული ინტენტიანეტიკა სცილდება სპექტაკლის ამაღლე-ბულ, პოეტურ სტილს (ამას გარდა, ეს სცენები საკმაოდ გა-ჭიანურებულია).

ცხადია, სპექტაკლს იმდენი ღირსებანი აქვს და იმდენად კარგი მოვლენაა ჩვენს თეატრალურ სინამდვილეში, რომ შე-იძლებოდა ამ ნაკლოვანებისადაც გვერდის ავლა, მაგრამ წარ-მოვდგინო სიუჟეტური მთლიანობისთვის ბრძოლა სცილდება მარტოდენ „სულის შივლების“ მნიშვნელობასა და ფარე-ლებს. იგი, საერთოდ, ქართული თეატრის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და მის დასაძლევად ყველა ძალებს უნდა მოუხე-სოთ.

მე ვცდილობდი, რომ ამელო რეჟისორულად ყველაზე მას-ცილოზნერულად გადამწვევული სცენები და აქვე მომეცა მსახიობთა შესრულების ადურა, ამიტომ არ გამოყვია ისინი ცალკაკვე (როგორც ეს კანონიკურ რევენუიბებშია მიდებუ-ლი). ეს ნაკარნახევი იყო არა მარტო ჩემი სურვილით, არამედ თვით სპექტაკლის ბუნებითაც.

მაგრამ არის სხვა სცენებიც, როცა სხვა მსახიობები ქმნიან საინტერესო სახეებს. უკვე ითქვა, რომ სპექტაკლის სტილს არ შეეფერება „სტილიაგების“ ტრადიციული გააზრება, მაგრამ ეს უმაღლესი რეჟისორის და ავტორის დანაშაულია, ვიდრე მსახიობებისა. კარლო საკანდელიძე და ჯემალ ღალანაძე ავლენენ ბრწყინვალე უნარს ცხოვრებაში შეინახული დეტალის მხატვრული გააზრებისა, ორივე შესანიშნავი სახასიათო მსახიობია და, რაც უპირველესია მათ პლასტიკური სახეებში აზროვნებისაკენ აქვთ მიდრეკილება.

შედარებით სუსტად არის დაწერილი გურამის (შვილი) და შოისა სახეები. ნოდარის როლს გურამ საღარაძე უფრო ფაქიზად მიუდგა, მართალია, ნოდარიც „სტილიაგების“ ამქარია, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ შინაგანმა გაურკვეველობამ, აფორიაქებამ, მიზნის უქმნობამ შემოსხვევით მიაკვლამათ, მსახიობი მის ფარულ კეთილშობილობას უსვამს ზახს, გადმოგვეცემს მისი ბუნების მიდრეკილებას სიკეთისაკენ.

საერთოდ სოსო ლაღიძეს ახასიათებს უშუალობა, შეუბღალავი სიწმინდე და ბავშვური გულბრყვილობა. ყველა ეს თვისება მან ძალზე კარგად ჩააქოვა ამ როლში. ხოლო ტემპერამენტთან და ძალზე ემოციური მსახიობის ზინა კვერცხილაძეს არა აქვს მოქმედების ვრცელი არე. თუმც ცხვენიშვილი კი — გრძნობების გამწვლა გურამის წინაშე, მისი გაუზრებელი აფორიაქება, გამოწვეული არაკონკრეტული მისწრაფებით — ახერხებს იგი ხასიათის საერთო კონტურების მოხაზვას.

ამ სპექტაკლში არის ერთი სრულიად უმნიშვნელო როლი, პაროკმახერისა. მის არავითარი დრამატურგიული და სცენური ფუნქცია არ აკისრია, ამ როლს ასრულებს გივი ჭიჭინაძე. ეს მსახიობი ახლახანს მოვიდა რუსთაველის თეატრში, ე.ე. ითამაშა სამიოდე ეპიზოდური როლი („ფიროსმანში“ — დუქის ბიჭი ივანია, „თანამედროვე ტრაგედიაში“ — ჩერჩილ მეფე). და ითამაშა ბრწყინვალედ. იგი, როგორც ჩანს, ნიჭიერი მსახიობია. სრულიად უმნიშვნელო ეპიზოდს იგი ნამდვილ სცენურ სიყოცხლეს ანიჭებს. ეს გარემოება ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩვენს რეჟისორებს და ალბათ უახლოეს ხანში მის ახალ, უფრო მნიშვნელოვან ნამუშევარს ვიხილავთ.

როგორც ითქვა, მხატვარმა დ. თავაძემ სპექტაკლის გაფორმებაში კინოვრანი გამოიყენა. ეს ეკრანი პიესის შინაგანი აუცილებლობით არის ნაკარნახევი. იგი გამართლებულია მოქმედების მთელი მსვლელობით და ხელოვნურად შემოტანილი, ნაძალადევი ელემენტი კი არ არის სპექტაკლისა, არამედ მისი ორგანული ნაწილი. მართლაც, ძნელი იყო დროსა და სივრცეში ასე რიგად განხილული მოქმედების, ცხოვრების სხვადასხვა მომენტების ჩვენება ეკრანის გარეშე. ნამდვილი შემოქმედებითი მოლიანობაა დამაყრებელი სცენურ პირობითობასა და ეკრანის კონკრეტულ, საგნობრიობას შორის (გარდა „ვან გოგის შოისა“, რომელიც მხატვრული დეტალია და არა კოსმური საგნის ფოტოგრაფიული წარმოსახვა) ეს მოლიანობა, უპირველესად, მყარდება არა ამ ორ განსხვავებულ სინამდვილეს შორის არსებულ კავშირის აღნიშვნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა სცენური ცხოვრების მეშვეობით ე. ი. სწორედ ეკრანზე გამოსახულ გარემოში უნდა გაშლილიყო ის მოქმედება, რასაც ჩვენ ვხედავთ და არა სხვაგან. ფონისა და მოქმედების ეს ჩინებული შეთანხმება ერთიან სცენურ ატმოსფეროს ქმნის. რაც შეეხება

პრინციპულ საკითხს თეატრში კინოს შემოჭრისა, მე მგონია, ეს სპექტაკლი ვერ მოგვეცემს მასზე სრულყოფილ პასუხს. კონკრეტულად ამ სპექტაკლისათვის იგი გამართლებულია, მაგრამ თუ ზოგადეთიერიულ პლანში დავსვათ საკითხს, მაშინ, ცხადია, ეკრანს არასოდეს შეუძლია მოგვეცეს მთელი სპექტაკლის ისეთიფობის, მისი მხატვრული წყობის საერთო სურათი, იგი როგორც ეს ძალძს ფერწერულ და დეკორაციულ გაფორმებას. კინო შესანიშნავად შექმნის კონკრეტულ გარემოსა და ფონს, მაგრამ ნამდვილ თეატრს მეტი სიღრმე და სერიოზულობა სჭირდება. სპექტაკლის ჭეშმარიტი მხატვარი ხომ მოლიანად მოისაზრებს ავტორის თავისებურებას, იგი ქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ გარემოს, არამედ ზოგადაც და პლასტიკურ ხატში ახორციელებს ნაწარმოების ფილოსოფიას. შეიძლება ითქვას, რომ იგი ქმნის პიესის კონტრესტეტივრებულ, სიმბოლიურ ხატს, სადაც აზრობრივი და ემოციური მომენტები პირველხარისისოვან რილს ასრულებენ: და ურთიერთს ერწყმინან.

მაგრამ თუ კონკრეტულად დავებურუნდებით ამ სპექტაკლის სცენურ გარემოს, აქ ჩინებულად გრძნობენ თავს ჩვენი გმირები, რომელთა წარმოსახვას, როგორც ითქვა, არც ნამდვილი არტისტიზმი აკლია, არც — ნამდვილი შთაგონება.

გურამი (მამა) — მსახ. კ. მახარაძე, ლეილა — მსახ. მ. ჩახავა



„ევროპის გულში“



ევროპის ორგზის ჩემპიონი ფიგურულ სრიალში ვერა სუხანკოვა

კიეველ მოციგურავეთა გასტროლების შემდეგ არ გასულა ორიოდე კვირაც და ჩვენს წინაშე წარსდგა პირველი სახელმწიფო რიგითი, პრივეტული კოლექტივი, ჩეხოსლოვაკიის აისრეველ.

ორიოდე სიტყვა თვით ამ ტერმინისა და ენარის შესახებ.
რევიო ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მიმოხილვას. რევიო როგორც ენარი, ნიშნავს თეატრალურ თუ საესტრადო წარმოდგენას. იგი შედგება ცალკეული დრამატულ-კომიკური, მუსიკალურ-ვოკალური, საცეკვაო და საცირკო ნომრებისაგან, რომლებიც გაერთიანებულია თემატურად. უმთავრესად მას აქვს მუსიკალურ-დრამატული მიმოხილვის, დივიტისმენტის სახე. პირველი რევიო გაჩნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში პარიზში და ატარებდა სატირულ ხასიათს. შერე თანდათან დაკარგა თავისი ნიშანდობლივი სატირული სიმწვავე და შეიძინა ე. წ. თვითსაკმარისი კომედიურობა, ლტოლვა ფეერული დიდებულებისაკენ, სწორედ ამ სახით გავრცელდა იგი ამერიკასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, სადაც ითვლება ძირითად თეატრალურ ენარად. „აის“ კი ევროპულ ენებზე ნიშნავს „ყინულს“. ამგვარად, „აისრევიუ“ — არის „მუსიკალურ-დრამატული მიმოხილვა უინულზე“!

აისრევიუს ბაზა საციგურო სპორტია. ეს სახე შეტად მოკულარული და ტრადიციულია ჩეხოსლოვაკიაში, სადაც დღეისათვის მის საკლებო გუნდია 60 ათასამდე მოყვარულით. სწორედ ამ კლებებთან არსებული თვითმოქმედი ანსამბლების ბაზაზე ჩამოყალიბდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ანსამბლი — ბალეტი უინულზე (მხატვრული ხელმძღვანელი ლ. პეკუოკა), რომელიც წელს შესამჩვევერ ეწევა საბჭოთა კავშირს. ჩვენი სტუმრების დასში 45 სპორტსმენია. ეს არის ჩეხოსლოვაკიის საციგურო სპორტის წაღები: მსოფლიო პირველობის პრიზორები ლ. კრეიჩი და ლ. მანოუსკოვა. ევროპის ორგზის ჩემპიონები წყვილია სრიალში ვ. სუხანკოვა და ზ. დოლდეალი, ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონები, კორტინა და ამაბეცო, ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ი. კრამპეროვა, ევროპის ჩემპიონატის პრიზორი მ. კლადრუსკა, ი. კანოკოვა, ი. ზაპულტალოვა და სხვ.

ჩებურ აისრევიუს სტეპალს ეწოდება „ევროპის გულში“ (სცენარის ავტორი — ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო პრემიის ლურეტი ი. კაუცკი, შთავაზი რეჟისორი რენსპოლკის სახალხო არტისტი ი. მისკალონი), ანსამბლის ხელმძღვანელობას მიზნად დაუსახავს მკურებელს უჩვენის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, მისი დღევანდელი და ვეცადილდეო ღღე ამ მზონი აქ გამოყენებულია აია მარტო რევიუს როგორც ენარის ყველა შემადგენელი ნაწილი, არამედ მეტი თვალსაჩინოებისა და ცალკეული სცენების ერთ სუფერტარ ზაზუე ასაწეობად, შემოტანილია ახალი ელემენტები — კანო.

ქრება სინალოდ. სცენის სიღრმეში გერანზე გამოჩნდება თვითმრინავე, რომელიც გამაურებელი გუგუნით ეცემა პრადის აეროდრომ რუხინოზე. მფრინავები და სტიუარდესები გაღიბებული სახით ხვდებიან უცხოელ ტურისტებს. კეთილი იყოს თქვენი ფხვი ჩეხოსლოვაკიის მიწაზე! ასე იწყება ეს მეტად ორიგინალურად ჩაფურტებული სპექტაკლი, რომლის ქვესაუთარია „უცხოელის თვლით დანახული ჩეხოსლოვაკია“. მკურებელი ეცნობა ჩეხოსლოვაკიის ბუნებას, ისტორიას, ხელოვნებას, ღირსშესანიშნოებს, მის ბედნიერ ადამიანებს, უოველივე

ჩეხური ბალეტი უინულზე

იშას. რითაც ცოცხლობს, რითაც სუნთქავს ეს პატარა ლამაზი ქვეყანა ევროპის შუაგულში.

სექტაკლის მთავარი გმირები, ორი ტურისტი—აპონელი მოცეკვავე და მექსიკელი დირიჟორი, თვითმღირწევნი ჩახსომამდე სრულიად უცნობები იყვნენ, მაგრამ ამ საინტერესო ქვეყანაში ერთად მოგაურობის შერდეგ სამუდამოდ დაუკავშირდებიან ერთმანეთს.

აპონელი მოცეკვავე — ლ. პანოსკოვა ვანსელითანავე ხიბლავს მაყურებელს. ეს შესანიშნავი მოცეკვავე კარგი მსახიობური ნიჭით არის დაჯილდოებული. მისი გმირი უაღრესად ნაწი, კალური და ჰეროიკულია მთელი სექტაკლის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მის მამაც პარტნიორ მექსიკელ დირიჟორთან (მ. კრიჩინი) ურთიერთობაში. ყველაზე მეტი არტისტიკაში, რომლის გარეშე აისრევიუ ვერ გაიმარჯვებდა თვით უმდიერესი მოცეკვრავიც კი, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ორ მოცეკვავეში შეინიშნება. ეს ალბათ, ასე იმიტომ გვეცემა თვალში, რომ ამ 15-კაციანი დასიდან მხოლოდ მათ აქვთ მოცემული გარკვეული პიტიორული „დავლება“ — ორივე განყოფილების განმავლობაში განახორციელონ ახალგაზრდა შევეარებულთა წყვილი, რომლის გარეშეც მიმდინარეობს მთელი მოქმედება. ამ როლად ამოცანას შესანიშნავად გაართვის თავი ახალგაზრდა მოცეკვავემ. სპორტულ ოსტატობასთან ერთად ქლიერისა მათი შესრულების არტისტული მხარეც, რაც განსაკუთრებით ლირიკულ დღეებში იგაძნობა.

მაგრამ ჩვენი სტუმრების ძირითადი ბირთვი მაინც სუხანკოვა-დოლგეალის წყვილია. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მათ მიერ ვირტუოზული სპორტული ოსტატობით შესრულებული „ჩეხური კრისტალი“, რომელსაც მაყურებელი ყოველდღიურად რამდენჯერმე ამეორებინებდა. ზ. დოლგეალი შესანიშნავი მოცეკვრავია. იგი სულაო სიმალისაა, აქვს ჩამოსხმული ტანი და ისეთი დახვეწილი, შთამბეჭდავი და ეკონომიური მოძრაობები, რომ მის უინფლუტ მუშაობის დროს, მოწონების ნიშნად არაერთხელ გაისმოდა მუხარე ტავი. ვ. სუხანკოვას გარდა, იგი კიდევ ქმნის ორ ძლიერ წყვილს. პულკოვასა და მ. კლადრუხსასთან, გადუქარებულად შეიბლება ითქვას, რომ ასეთი უზადო ხელოვნებისა და სპორტული ოსტატობის ბოლოც მსახიობი-მოცეკვრავე სანატრელი იქნება ყველა კოლექტივისათვის. თავბრულდამხვევი პარუტების დიდოსტატია ტემპერამენტია ი. კიანკოვა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი თავისი ბრწყინვალე ოსტატობით, გაბედული სტომებითა და ელვისებური ბრუნვებით. (ექსტრავაგანტური გოგონას ცეკვა). რაც შეეხება მ. კლადრუხსას, იგი უმაღლესი კლასის მოცეკვრავე-ბალერინაა. საცივურო ხელოვნების ვირტუოზული ტექნიკა გვიჩვენა მან ცეკვაში „გრანატი“. მაგრამ განსაკუთრებული ეფექტიურობითა და კადემიურობით გამოირჩევა მისი საუეთესო ნომერი „მსახიობი ქალის ცეკვა“, რომელიც საცვა გრაციით, მოხდენილობითა და ტემპერამენტით. ამავე დროს, იგი არც გაბედულ ნახტომებს გაურბის, არც სპორტულ ლიფების და ყოველთვის ქმნის არჩვეულებრივად ლამაზ ხატებს, რითაც აჯადოებს მაყურებელს. ჩვენს წინაშე იგი წარსდგა, როგორც დახვეწილი, დასრულებული, პროფესიონალი მოცეკვრავე-ბალერინა. სანახარულია, რომ უახლოეს მომავალში მას ვიზილავთ ახალ ჩეხურ ფილმში „უინფლის ადამიანები“, სადაც იგი მთავარ როლს თამაშობს. განსაკუთრებით შთაგონებით იცეკვა მ. კლადრუხსკამ 22 ნოემბერს, რაცა მას 22 წელი შეუსრულდა. ქართვებდა მაყურებელუმბა მსახიობს ამ დღეს, იქვე უინფლუტ, მიართვის დიდი კალათა.



ევროპის ორგანის ჩემპიონები წყვილთა ცეკვაში
ერა სუხანკოვა და დოლგეალი

ასევე ქების ღირსი არიან სხვა სოლისტები: ი. კრამეროვა, ა. ზააღტეალოვა — მ. გო-

დანის წუელი. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით კომპეტენსა და კორდელბლების შესახებ, რომლებიც ხაქმაოდ სუსტად გამოიყურებოდნენ.

კარგია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება რომელიც ეუთუნის მ. ვალტერს. აქ არ შეხედებით მისაბეზრებელ პატკურ ეფექტებსა და ამ უბელ-ჭრელ, მეფირალა კოსტუმებს, რომლებიც თვითმანად აქვს გადაქცეული ბევრ უცხოურ ანსრვეულს. რაც შეეხება მუსიკალურ ნაწარმოებებთანა წარმოდგენილი (ჩაიკოვსკი, მოცარტი, შტრაუსი, სმეტანა, პროკოფიევი).

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ანსამბლი — ხალეტი უინულზე — ახალგაზრდული კოლექტივია. მას სულ მ წლის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მათ მოამზადეს მ პროგრამა: „სასიმო უინულზე“, „პარალელი რომანი“ და „ევროპის გულში“. რომლებიც წარმატებით წარმოადგინეს უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში. ამჟამად, თბილისში გასტროლებთან ერთად, ისინი აშალებენ მეოთხე პროგრამას „უინულის გულში“, რომელიც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უველზე ორიგინალური და მრავალფეროვანი იქნება. სწორედ ამ პროგრამით დაიწყებენ ისინი თავიანთ მტად სასახუნისმგებლო ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩილში.

მნელია დავივიწყოთ ის კეთილშობილური შეუობა, რომელიც თბილისში უფუნისას გაუწიეს ჩვენმა სტუმრებმა ახალბედა ქართველ მოცეგურაეებს. ანსამბლის წევრები ი. კნაპეში, ი. იანდოვა, დ. იროვა, ი. ბურაკოვა და სხვები სისტემატურად მოდიოდნენ მათ ვარჯიშზე, გატაკებით უზიარებდნენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას და უყოვლდლიურად ამეცადინებდნენ მომავალ ქართველ ფიგურისტ-მოცეგურაეებს.

წინ დაუღალავი შემოქმედებითი ძიებისა და შრომის წლებია. გავილის დრო და ახლო მომავალში, მომე ჩები ხალხის ეს ახალგაზრდული კოლექტივი კვლავ გვეწვევა საინტერესო პროგრამებით, დაე მანის ქართველ მოცეგურაეებსაც ეჩვენებინათ მათთვის თავიანთი ოსტატობა.

ზიორბი დოლიძე



ციკვა „ლალი“ — ასრულებს მილინა კლადრუბეკი

ციკვას იანა ზალეტალოვა



საუბარი ანსამბლის წევრებთან

ათობით ათასმა თბილისელმა ნახა და მაღალი შეფასება მისცა შესანიშნავ წარმოდგენას — „ევროპის გულში“, რომელსაც სპორტის სასახლეში უჩვენებდნენ ჩეხოსლოვაკიის ბალეტის ოსტატები უინსლუჩე, თბილისში გასტროლების დამთავრების წინ ჩვენი უფროსი თანამშრომელი ესაუბრა ამ დასის წევრებსა და ხელმძღვანელებს, სოხოვა გავიარებინათ თავიანთი შობებელილებები.

— აღტოვანებული ვართ თქვენი მშოური ქალაქით, თქვენი გამებები და მაღალგემოვნებიანი მაყურებლით — თქვა ევროპის ორგულის ჩემპიონმა ვერა სუხანკოვამ — და როდესაც იგი გიწვევთ „ბისზე“, გული არ გიძლებთ კულიტებში, თუმცა ჩვენი ხელოვნება დიდ ფიზიკურ დამახულობასთან არის დაკავშირებული, ახლა, როცა გმორდებით, ერთი ნატვრა-და დაგვრჩა: — კვლავ შეგვცდეთ მალე.

დასის ხელმძღვანელმა იოზეფ მაციკიამ განაცხადა: — ბევრი რამ გვსწენოდა და წაკითხული გვექონდა თქვენს ლეგენდასავით ლამაზსა და ამაღლებულ ქვეყანაზე, ვიცნობდით უაზბეგს — ამაუსა და დიდებულს, მაგრამ იმას, რაც ვნახეთ თქვენს ადამიანებში, რა მიღწევებიც თქვენ გაქვთ. — უაზბეგის ბუმბერაზობაც ვერ შესწევდება, და როცა ჩეხოსლოვაკიაში დავბრუნდებით, ჩვენს ხალხს ვუამბობთ, თუ როდღე გამრჯე, გულადი და პურადი ხალხი ცხოვრობს იმ ლამაზ ქვეყანაში, რომლის სიმბოლოდ უაზბეგს წარმოადგენენ ხოლმე... თბილისში ბევრი მეგობარი შევიძინეთ. ვიყავით კიროვის სახელობის ქარხანაში, ჩაის გადაწონ ფაბრიკაში, რუსთავის მტკაღურგოლ ქარხანაში, ერთი სიტყვით, ვიგრძენით თქვენი რესპუბლიკის ძლიერი ინდუსტრიული სუნთქვა... ცხადია, გვაინტერესებდა თქვენი სახელმწიფევილი ბალეტი, ვნახეთ ფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები“, აგრეთვე სცენაზე — „ოტელო“. ჰაბუკიანი, მართლაც, შეუდარებელი დიდოსტატია!

თქვენი მაყურებელი გულთა, ტემპერამენტიანი და გამგებია. გვაამყება, რომ მოგეწონეთ. კვლავ შეხვედრამდე, მეგობრებო!



ცეკვა სანახაობიდან „უცხოელის თვალთ დანახული ჩეხოსლოვაკია“

ცეკვა „ბილენის ლუდი“.





დრამატურგი იოსებ გეგეძის ნიშნები

სიმიონ წერეთელი

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის გალავანში რომ შედიხარ, იქ ძველ სასაფლაოს ვეღარ ნახავთ, მთელი გალავანი გაწმენდილია სასაფლაოს ქვებისაგან; მხოლოდ ტაძრის მიჯვარ შესასვლელთან შენიშნავთ საფლავის ძველ ქვას, მაგრამ ბალახი ისეა მორეული, რომ მართლაც კარგი თვალი უნდა გქონდეთ ამ ქვის წარწერის გასარჩევად: „აქ მარხია დრამატურგი იოსებ კონსტანტინეს ძე გეგეძისნიშვილი. დაიბადა 1873 წელს, გარდაიცვალა 1939 წელს“. ეს ერთადერთი საფლავია დატოვებული ამ სასაფლაოზე დრამატურგის ხსოვნის პატივსაცემად, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე მოუვლელი და მივიწყებულია.

ოცი წელიწადია, რაც გარდაიცვალა სოსო გეგეძისნიშვილი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული დრამატურგიის განახლებაში და დღესაც მისი პიესები: „მსხვერპლი“, „სინათლე“ და სხვ. ხშირად იდგმება ქართულ სცენაზე და მრავალ მაყურებელსაც იზიდავს.

გეგეძისნიშვილის სამშობლო მცხეთაა, მაგრამ სოსო დაიბადა ყვარელში 1873 წელს, პოდპოლკოვნიკ კონსტანტინე დაეთის ძე გეგეძისნიშვილის ოჯახში.

თვით კონსტანტინე მსახურობდა ქართულ დრუჟინაში, რომელიც კახეთში იდგა. სოსოს დედა — გიემყრელის ქალი, ქართული კულტურის დიდი მოყვარული იყო და მომავალი დრამატურგის აღზრდაში გარკვეული როლი ითამაშა.

კონსტანტინე გეგეძისნიშვილს ექვსი ვაჟი და ორი ასული ჰყავდა. ხუთი ვაჟი სამხედრო პირებად გაზარდა, მხოლოდ ერთმა — დავითმა არ მიბაძა ძმებს და იურისპრუდენცია აირჩია. ეს ის დავით გეგეძისნიშვილია, რომელმაც 1902 წელს პეტერბურგის საოპერო თეატრის სცენაზე პირველად შეასრულა ქართული ენაზე დემონის პარტია რუბინშტეინის „დემონში“. დღეს იგი 85 წლისაა. კონსტანტინეს უფროსმა ვაჟმა ალექსანდრე გენერლის ჩინს მიადრწია და ერთხანს თბილისის სამხედრო სასწავლებლის უფროსი იყო. სხვათა შორის, მისი მოწაფეები იყვნენ შემდგომი ცნობილი გენერლები — ვასილ მჭავრიანიძე, კონსტანტინე ლუსკოძი და სხვ. მომდევნო ვაჟი გიორგიც სამხედრო პირი იყო, მაგრამ შემდგომი სამედიცინო მუშაობა დაიწყო მეტალურგიის დარგში და არჩეულ იქნა აკადემიკოსად.

თვით სოსო მიიბარეს კადეტთა კორპუსში, სადაც წარმატებით სწავლობდა. ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა, განსაკუთრებით ბევრს კითხულობდა მოგზაურების ცხოვრებაზე და ისე გაიტაცა ამგვარი წიგნების კითხვამ, რომ ცამეტ წლის ემაწილმა თავის ორ ამზავიან ერთად ამერიკაში გაპარვა გადაწყვიტა. ორი ტომარა ორცხობილა შეაგროვეს, ერთ მშვენიერ დღეს ზურგზე აიკიდეს ტომრები და უკავიკოფ ფეხით „გაემგზავინენ“ ამერიკაში. იმ დღემს მიადგნენ სოფელ მუსათვერდის ღუქანს და იქვე გაათენეს ღამე. შეღუქნენ ეჭვის თვალთ შუხედა ბავშვებს და რაკი გაიგო

მათი ვინაობა და მგზავრობის მიზანი, ფარულად აცნობა მათ ამავე შრომლებს.

დღეაღრიანა, როცა „მოგზაურებს“ ტკიზილად ეძინათ ღუქანში თავიანთ ტომრებზე, შრომლები თავს დაადგნენ და ცემა-ტყეპით დააბრუნეს „ამერიკიდან“ სახლში.

სოსო ხშირად ივინებდა ამ ამბავს: „ისეთი დღე დამაყენეს, რომ ამერიკა კი არა, საქართველოც დამაიწყდაო“.

კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, სოსო შედის პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს.

ქართული ენა თითქმის სულ არ ვიცოდი, — მიაბო ერთხელ ს. გეგეძისნიშვილმა, — არავინ იწუხებდა თავს, რომ საფუძვლიანად შემესწავლა მშობლიური ენა, ამიტომ მე თვითონ მოვიკიდე ამ საქმეს ხელი და გულმოდგინედ შევუდექი ენის შესწავლას. ჩემდა სასიხარულოდ, ენა სულ მალე ავითვისე, რადგან როდესაც სიყვარულსა და გულისხმიერებას არ დააკლებ საქმეს, მალე მიადრწევ საწაღელს. რაც შეეძინა სამხედრო საქმეს, სიმართლე კარზე ვთქვა, სრულიად არ მიზიდავდა და თუ შევედი სამხედროში, ეს გაავსეთე მამამჩემის დატინებით. მე კი, სიმართლე გითხრათ, სრულიად არ მიზიდავდა სამხედროების ცხოვრება და სულ სამიქალაქო დარგისაკენ მქონდა გული.

„ქართული რომ შევისწავლე, თავი გამოვცადე სამწერლო ასპირანტზე, შემდეგ კი ახალი თაობის საქმეში ჩავები“.

„სამხედრო აკადემიის დათავრებისთანავე დამინიშნეს დუშეთში სამხედრო ნაწილის უფროსად. ეს იყო 1905 წელს. საქართველოში გაღლიერდა რევოლუციური მოძრაობა და მე, როგორც რევოლუციის თანამგრძნობი, შეძლებისდაგვარად ვესმარებოდი რევოლუციონერებს. ამ მიზნით სამხედრო ფორმა მივეცი რევოლუციონერებს, რომელნიც თავს დაესხნენ დუშეთის ფოსტას და გაიტაცეს 250 ათასი მანეთი (ოქრობი). ეს თანხა გადაეცა რევკომს. სამწუხაროდ, თავდაშემხელთა შორის ერთი აღმოჩნდა პროვოკატორი, რომელმაც გაგვცა. ყველანი დავატყუსალეს. სამხედრო ტრიბუნალმა პირადად მე 4 წლის პატიმრობა მიმიხაჯა, ამყარეს პაგონები და სამხედრო ღირსება. მაგრამ ნათქვამია, „ზოგი ჭირი ჩემი გაგებლიაო“ — სწორედ პატიმრობის დროს დავეწერე ჩემი პირველი პიესა „მსხვერპლი“. საპატიმროდან რომ გამათავისუფლეს, აქტიურად ჩავები ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. იმ ხანებში ქართული თეატრი მწვავე კრიზისს განიცდიდა, მეტადიერ რეპერტუარის მხრივ. „სამშობლო“ და „ხანუშა“ არ ჩამოდიოდა სცენიდან. არც იყო თანამედროვე პიესა, რომელიც ასახავდა თანამედროვე ცხოვრებას და აი, ჩემს თეატრს მეც მივაშველე ჩემი „მსხვერპლი“, რომელიც დასადგმელად გადავიტოვე ნიჭიერ რეჟისორის ვალერიან შალიკაშვილს“.

ასე დაბრუნდა სოსომ ეს საუბარი და მისმა ბუხისმა „მსხვერპლმა“ მართლაც, იხსნა მაშინ ჩემი რეპერტუარის კრიზისისაგან.



პიესამ ჩვენი საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამ ნაწარმოების ძირითადი ღირსება ის იყო, რომ მასში მოგვარი მოქმედი პირი თვით ხალხია, დაბეჭდვითი და დარბეული მეფის მთავრობის მიერ.

ავტორმა დიდი ოსტატობით დასაბა მამინდელი ქართული სოფლის ცხოვრება, ის ენითუთქმელი ტანჯვა, რასაც ჩვენი გლეხი განიცდიდა მატერიალურად და მორალურად.

„ამ პიესის ფონად მე გამოვიყენე მცხეთის ახლო მდებარე ერთ-ერთი სოფელი — აწიოკებელი და ახორებელი მეფის დამპყმების მიერ. აქ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერებათ, — ამბობდა სოსო „მსხვერპლში“ მოთხრობილი ამბის შესახებ.

პიესის მთავარი გმირის გიგას როლი მსახიობ ალექსანდრე იმედაშვილისათვის უნდა მიეცათ. მაგრამ ლაღი მესხი-შვილის რჩევით, ამ როლის შესრულება დააქსრეს ახალგაზრდა მსახიობს გიორგი არაღდა-ოშენელს. რომელიც სულ ახლად ჩამოსული იყო ოფსიდან, სადაც ერთდროულად დრამატულ სტუდიაში და იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

გ. ოშენელს მოსოფის ერთ-ერთი თეატრიდან მოუვიდა მიწვევა, მაგრამ მან მშობლიურ თეატრში არჩია მოღვაწეობა. სპექტაკლმა არაფერი წააგო იმით, რომ გიგას როლი შესარულა ახალგაზრდა, მაგრამ დიდად ნიჭიერმა მსახიობმა, რომელმაც თავისი იშვიათი სასცენო ხმით და უშუალო განკლდით გააძიდა ეს როლი ისე, როგორც ამ როლმა გახადა მისი შემსრულებელი დიდ მსახიობად.

შეათვალი, ამ როლს მოემდგეში ისეთი უნიჭიერესი მსახიობნი ასრულებდნენ, რომლებიც ვიქტორ გამყრელიძე და ალექსანდრე იმედაშვილი იყვნენ, მაგრამ ისინი ვერ ავიდნენ არაღდა-ოშენელის სიმაღლეში.

პირველ დადგეზში ვანოს როლს ალექსანდრე იმედაშვილი ასრულებდა და ეს ერთგვარი ლირიზმით დაწერილი როლი უფრო მოუხდა ამ შესანიშნავ მსახიობს.

მოხუცი გლეხის გაბოს როლი ვიქტორ გამყრელიძე გამოიღა; გიგას ცოლს — ნატოს მსახიობი ნინო დავითაშვილი ასრულებდა, სომეხი მეღაქუნის როლში შეუდარებელი იყო ვასო აბაშიძე (ამავე როლს ნიკო გოცირიძეც თამაშობდა).

შესანიშნავი იყო პრისტავის როლში აგრეთვე კოტე შათირაშვილი. თუ ყოველივე ამას დავემატებთ დრამატურგ ი. გედევანიშვილის მხატვრულ ნიჭს და ოსტატობას, საკვირველი აღარ უნდა იყოს ის გარემოება, რომ წარმოდენამ გაიმარჯვა.

დღესაც მშენებრად მაგონდება ეს სპექტაკლი, თუმცა მას აქვთ ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა.

„მსხვერპლის“ წარმატებამ ისე აღფრთოვანა ავტორი, რომ მან სულ მალე გადასცა შალვაშვილს მეორე პიესა „გამეცმი“, რომელიც პერიფერიაში რევოლუციურ მოძრაობას ეხებოდა.

მასოს, წამყვან როლს ლაღი მესხიშვილი ასრულებდა, მემამულეს — დავით მგალობლიშვილი (მწერალი სოფრომ მგალობლიშვილის შვილი). სპექტაკლში მონაწილეობდნენ აგრეთვე სიბილა, ციციშვილი, მატარაძე და სხვ.

პიესა „გამეცმი“ აგებულია საინტერესო სიუჟეტზე, მასში ასახულია მემამულეების მტრული დამოკიდებულება რევოლუციური მოძრაობისადმი, ინტელიგენციის როლი 1905 წლის

რევოლუციაში, მისი დამარცხება და სხვა. მაგრამ ამ პიესას აქვს ნაკლებ წმინდა დრამატურგიული ხასიათი.

მიუხედავად პიესის სისუსტისა, უნიჭიერესმა ლაღი მესხიშვილმა ისე განასახიერა თავისი როლი, რომ „გამეცმს“ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მაინც „მსხვერპლმა“ მეტხანს იტყუა ქართულ სცენაზე, ვიდრე „გამეცმს“.

ამის შემდეგ სოსო გედევანიშვილმა დაწერა პიესა-ზღაპარი „სინათლე“ (ორ ნაწილად). „სინათლემ“, მართლაც, გაანათა ნივთიერად ღარიბი ქართული თეატრი და მისი რეპერტუარი. პიესაში წამყვანი როლები შესრულეს ტასო აბაშიძემ, ვიქტორ გამყრელიძემ, ვასო აბაშიძემ და სხვ.

„სინათლე“ ბევრჯერ დაიდგა ქართულ სცენაზე. ხალხს ძლიერს იტყუა თეატრი, ისე „დაწვავებით მიდიდა წარმოდგენები.

ზემოაღნიშნულის გარდა, ი. გედევანიშვილის კალამს ეკუთვნის პიესები „ოჯახი“, „წურბლა“, „უღელტეხილზე“ და სხვ.

პიესა „უღელტეხილზე“ დაიდგა გორის სცენაზე. სოსო სიკვდილის წინ მეუბნებოდა, განზრახული მაქვს დავეწრო ამ წარმოდგენას. მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა. პიესა მისი გარდაცვალების შემდეგ დაიდგა.

დრამატურგობასთან ერთად სოსო ბელეტრისტობაც მისდევდა. ქართულ ჟურნალებში დაბეჭდილი აქვს მრავალი მოთხრობა იმ დროისათვის საჭირობოროტ თემატიკაზე.

სოსო გედევანიშვილი საზოგადო საქმეებშიაც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, ქართული თეატრი რომ დაიწვა, იგი აირჩიეს ქართული თეატრის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარედ და მან მართლაც დიდი ამაგი დასდო ქართული თეატრის ახალი შენობის აგების საქმეს. ის იყო ქართული დრამატული საზოგადოების პასუხისმგებელი მიჯიანი და სხვ. დიდი ხნის მანძილზე იგი დაკავშირებული იყო ქართულ თეატრთან და ბევრი რამ შემება შრომაიურ ხელოვნებას. მისი პიესის „სინათლის“ მიხედვით კომპოზიტორმა გ. კილაძემ დაწერა ბალეტი, რომელიც წარმატებით დაიდგა ზ. ფაშიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

რეინიჭულთა სახლთან არსებულმა სასაღო თეატრმა ახალგაზრდა რეჟისორის გაიხუ ქართველიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა ხ. გედევანიშვილის „მსხვერპლი“. ეს პიესა დაიდა ჩვენი რესპუბლიკის სხვა სასაღო თეატრებშიც (ახალციხე, რუსთავი და სხვ.).

* * *

1923 წელს ამიერკავკასიის რეინიჭუზის მუშათა პროფესიულმა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი რეინიჭულთა რევოლუციური წარსულის ამსახველ პიესაზე. კონკურსში ამ სტრიქონების ავტორმაც მიიღო მონაწილეობა. მასალის შერგოვების მიზნით ვეწვიე რეინიჭუზის სახელოსნოების ძველ მუშა-რევოლუციონერებს: მიხა ჩოღრიშვილს, არაქელ ოქუაშვილს, გ. ჩხეიძეს, ვალერიან ნაშაიძეს და სხვებს.

ჩავიწერე მათი ნაშაიძე და პიესა კი დავეწერე, მათი მონაყოლის უბრალო ინსცენირება გააკეთა. მუშაობა რომ გავმთავრე, ვნახე, რომ არც პიესა გამოივიდა და არც ისტორია. მაინც ინტიმარი ამ გავიქტე და ჩავაბარე კონკურსის ჟიურის.

რამდენიმე ხნის შემდეგ დამიბრუნეს ჩემი ნაშრომი სოსო

გედევანიშვილის ასეთი ზედწარწერით: „Нужно писать художественные пьесы, а не подведомственные и по заказу. Пьесы надо писать по вдохновению, а не по поручению, фабриковать пьесы это ничего не даст искусству, тем более — театру И. К. Гедеванишвили“.

სოსომ ამ ჩემი ნაშრომის ასეთი შეფასებით მთლად მიწასთან გამასწორა, მაგრამ ფარხმალი არ დავყარე და მაშინვე შევედღევი პიესა „ცხრა ძმის“ წერას. სიუჟეტად გამოვიყენე ხუდადოვის ტყეში ცხრა რკინიგზელი ძმის გმირულად დაღუპვის ამბავი.

ეს პიესა მოიწონა ეიურემ და პრემიაც მომცეს ჰონორარი ხუთასი მანეთის რაოდენობით. იმ ხანებში ეს დიდი ფული იყო. მაშინ მე დამწყები ავტორი ვიყავი და ამ ამბავმა დიდად გამახარა, მაგრამ უფრო გამეხარდებოდა, რომ სოსოსაგან მიმეღო დადებითი შეფასება, რადგან იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში და მის აზრს განსაკუთრებით ანგარიშს უწევდნენ.

როდესაც სოსომ წაიკითხა ჩემი პიესა, მითხრა: „რამდენადაც მეტი გულწრფელი განცდაა ნაწარმოებში, იმდენად იზრდება მისი ხარისხიც. შენ ფული უფრო გაინტერესებდა, ვიდრე ნაწარმოების ხარისხი და ამიტომ მოგივიდა მარცხი. წერის ფხა ნამდვილად გაქვს, მაგრამ გულწრფელობის, უშუალო განცდის გარეშე ვერაფერს შექმნი საინტერესოს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მაყურებელს ვერ მოატყუებ ყალბი განცდით“. შემდეგ მხარზე დამარტყა ხელი და დასძინა: „არ გეწყინოს, მე პირში მართლს ქმა მიყვარს, შენ ახალგაზრდა ხარ, მოვა დრო და მომივინებ“.

მართლაც, დღეს რომ ვკითხულობ მაშინ დაწერილ ინსცენირებებს, ძლიერ სუსტად მეჩვენება და ეჭვი აღარ მეპარება სოსო გედევანიშვილის სიმართლეში.

• • •

1939 წელს დეკემბრის 22-ს მწერალთა კავშირი შევიარე. თვალში მეტა ჯალხის ფაცა-ფუცი. შეხვდები პ. აბრამიას.

— რა მოხდა? — შევეკითხე.

— სოსო გარდაიცვალა.

— ვინ სოსო?

— გედევანიშვილი, 21 დეკემბერს გარდაცვლილა ფილტვების ანთებით.

ძლიერ მეწყინა.

— როდის და სად ასაფლავებენ?

— თავის სამშობლო მცხეთაში, საკუთარი ანდერძა თანახმად.

მართლაც, სოსო დასაფლავებს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის გალავანში, სადაც მისი მოზობლები ასვენია.

მწერალთა კავშირიდან დასაფლავებას დაესწრო დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ: შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე და სხვ.

აუარებულმა ხალხმა მიაცილა საფლავამდე სოსოს ნეშტი.

დასაფლავების წინ შალვა დადიანმა გამოსათხოვარ სიტყვა წარმოთქვა.

კუბო რომ ჩაასვენეს, ერთმა მოხუცებულმა სოფელმა ქალმა თავი გაქანია და ამოთხვრით სთქვა:

„იყო და არა იყო რა...“

იქვე მდგომმა შალვა დადიანმა ხმაბალა გაუსწორა სიტყვა:

„იყო და იქნება კიდევ“.

ურა ვაჟაურაძე



ჩაფიქრება



მომღერალი ნადედა ცომაია

ოცდათი წელი საგჰოთა საკოპირო ხელოვნებაში

ნუნუ მესხი

ერთხელ მეზობლად მცხოვრებმა ყმაწვილმა კაცმა 18 წლის შავთვალა გოგონას სთხოვა — სიმღერის მასწავლებელთან თაჯიზნად გააყოლოდა. მასწავლებელი ქალი ეკატერინე ალექსანდრეს ასული მიხაილოვა (რიადნოვის მოწაფე) ეროვნებით რუსი იყო. გოგონას სიხარულით სახე გაუბრწყინდა — მას შემთხვევა ეძლეოდა რიალი, რომელიც ქუთაისში მხოლოდ ორ ოჯახს ჰქონდა, სულ ახლოს ენასა.

სიხარულით დაეთანხმა ყმაწვილს და იმ დღევე ორივემ მღელვარებით აირბინა ქვის საფეხურები. აი სადარბაზო შესასვლელიც, ზარის ხმას ფინიას მხიარული ყეფა გამოეხმაურა. კარებიც გაიღო და ქერთამიანმა ქალმა დიმიტრი კვიციანი სტუმრებს — რა გნებავთ; ალღელებულმა „თარჯიმანმა“ ენის ბორძივით ძლივს აუხსნა, ჩემს ამხანაგს სიმღერის შესწავლა სურს. — მობრძანდით! შეიპატკიეთა მასწავლებელმა ქალმა და ინსტრუმენტს მიუჯდა. ჭარხალივით აწითლებული ყმაწვილი მღელვარებისაგან რიალს აცერა და შუბლზე ჩამოშლილ თმებს ყოველწუთს ნერვიულად ისწორებდა. გოგონა კი ცნობის სათვალავოებით ათვლიდა ინსტრუმენტს, რომლის ხმას სიათობით ისმენდა ხოლმე ქუჩიდან.

— დავიწყობ! — მიმართა პედაგოგმა გოგონას, — უთხარი ჩაისუფლებს და აიღოს ის ნოტები, რომელსაც მე დავუკრავ. ოთახში გაუბედავად ახმინდნენ მუსიკალური ბეჭერები.

პედაგოგმა დიდხანს, მოთმინებით სინჯა ყმაწვილი კაცის მანერამ სენჯა არ მოეწონა და უარი უთხრა. გოგონა პირდაპირი შესტყუროდა ორივეს. პედაგოგი აკვირდებოდა მის სახეს, რომელიც ყოველ მუსიკალურ ბერებათან ერთად სწრაფად იცვლებოდა, ხან გაოცებული გამომტყვევლება ჰქონდა, ხან გაინაზებოდა, ხან კი თვალები გაუბრწყინდებოდა და ბედნიერებისაგან თრთოდა.

— რაო, გოგონა? — უცბად შეწყვიტა დაკვრა პედაგოგმა, — ასე ძალიან მოგწონს მუსიკა?

— მომწონს! — იყო ალღელებული პასუხი.

— შენ მღერი?

— ვმღერი! — გათამამდა გოგონა და გრუზა ხვეული თმებით დაფარულ შუბლს ქვემოდან შავი დიდრონი თვალები შეანათა.

— რას მღერი, მითხარი, დაუკურავ.

— მე მარტო გიტარაზე ვიცი სიმღერა, — თქვა მან და მზერა რიალიდან კედელზე ჩამოვიდებულ გიტარაზე გადაიტანა.


— გიტარა იყოს, — სიცილით უთხრა პედაგოგმა და მიაწოდა. გოგონამ სავარძელში მოიკალათა, სერიოზული სახე მიიღო და იმ დროს მოდაში შემოსული ძველი ბოშური რომანსი დაამღერა. პედაგოგი თავის ყურებს არ უჯერებდა — ქალიშვილს უტყუარი მუსიკალობა, ნამდვილი კომპაქტური ხმა აღმოაჩნდა.

ნაღია ცომაიას ცხოვრებაში ეს იყო ისეთი პერიოდი, როდესაც ფიქრები მოზავალზე გაუკვეცილია, როცა თვითონაც არ იცო, რა გესურს, რა გიტაცებს. და აი უცბად გუებზებინა — შენ უსათუოდ მომღერალი უნდა გამოხევი, ამისათვის ყველა მონაცემი გაქცეს!

ყმაწვილი კაცი გულდაწყვეტილი დაბრუნდა სახლში, ნაღია კი — ფრანკისმული. ფრთხილად შეაპარა დედას თავისი სურვილი, მაგრამ დედამ გადაჭრით უარი უთხრა — სახლში არტისტი არ მჭირდება, „კამპანიაში“ ისედაც კარგად მღერიო. — მე მაინც ვიმღერებ! ჯიუტად იმუქრებოდა ნაღია და მუშტებით იწმინდა ამღვრეულ თვალებს.

დიდმა სურვილმა დაბრკოლება არ იცის, ცომაია დედისგან მალულად ხატვის გაკვეთილებიდან იპარება და სიმღერის გაკვეთილებზე დადის. პედაგოგმა ცომაია მამინევი ჩაარცხინა ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში, სადაც კარგი სწავლისათვის ვ. სარაკიშვილის სახელობის სტაჰანდელ დაუნიშნეს. რამდენიმე თვეში მასწავლებელმა ნიჭიერი მოწაფე, რომელსაც ბუნებრივად დაყენებული მცოდნე-სორბანი აღმოაჩინდა, მოსწავლეთა კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად მოაწაზადა.

კონცერტის დღეს ორმაგად დღეღავდა ნაღია. ძალიან უნდოდა როგორც კონცერტზე გაეცყუებინა დედა, ბილით შეიძინა და ვითომ უფასოდ მისცეს, თხოვნა დაუწყო: „სიმღერის სწავლა ხომ არ დამანებე, კონცერტზე წამიყვანე, სხვები მაინც მომამეჩინე“. როგორც იყო დედა დათანხმდა. გახარებულმა ნაღიამ დედა სასწრაფოდ პარტურში დასვა და თვითონ კულისებში გაიპარა. კონცერტი დაიწყო. დედა სიამოვნებით ისმენდა ახალგაზრდების მიერ შესრულებულ სიმღერებს. თან თვალებით დაეძმებს ქალიშვილს, რომელიც, მაყურებელთა დარბაზში არა ხატეს. უცებ კონცერტისთვის ნაცნობი გვარი და სახელი გამოცხდა. ვარაუდი გამართლდა: სცენაზე მართლა მისი ქალიშვილი გამოვიდა... აღტაცებულმა ხალხმა სიმღე-



6. ცომია — აილა.

რის დამთავრებას აღარ მოუცადა, ფერმატოთი აღებული ბოლო ნოტა, ტაშის გრიალმა დაფარა.

მოსწავლეთა კონცერტს ესწრებოდა გამოჩენილი გერმანელი პიანისტი ევონ პეტრი. მას იმდენად მოეწონა ნადის ხმა, რომ შესთავაზა გააკოლოდა სახლვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად, ყოველგვარი დახმარება აღუთქვა, მაგრამ გაჯიუტებულ დედას არაფრის გაგონება არ სურდა.

5. ცომიამ 1927 წელს წარმატებით დაამთავრა ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმი და თბილისის კონსერვატორიაში გადაწვევითა შეწვალა.

6. ცომიას მამა ხომალდ-ტრიტანიკუმ მეზღვაურად მუშაობდა, ღრმად მოხუცებული იყო, როდესაც გარდაიცვალა. მეუღლე, რომელიც ძალიან ახალგაზრდა შეირთო, ექვსი

წერილში მისი ამარა დარჩა. ოჯახი ხელმოკლეობას განიცდიდა, ამიტომ ნადის თბილისში სასწავლებლად წავსლა დედის სერიოზულად აფიქრებდა. მას არ შეეძლო მატერიალურად დახმარებოდა თბილისში მიმავალ შვილს, მისი მარტო გაშვება არ უნდოდა.

მაგრამ ნ. ცომიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მუსიკალური სწავლის გაგრძელება. თბილისში წასვლის დღეს ეკატერინე მიხაილოვამ მოწაფე თავის საკუთარ პალატოში გამოაწყო და თვითონვე ჩამოჰყვა კონსერვატორიაში მისაღებ გამოცდებზე დასასწრებად.

გამოცდაზე ნ. ცომია სერიოზული რეპერტუარით წარადგა. იმდღეა „ორღანელი ქალიდან“ ჟანა დარკის არია, „სამოსნი და დალილადან“ დალილას არია „გაიხსნა გული“, თამარ მეფის კავატინა და არაყიშვილის „შოთა რუსთაველიდან“ და ისური ხალხური სიმღერა. საგამოცდო კომსია აღტაცებული დარჩა მისი ხმით. მოხდა უჩვეულო ამბავი: გამოცდის შემდეგ, დაუნიშნეს კონცერტი, სადაც განმეორებით ამღერეს იგივე ნაწარმოებები. კონცერტზე მიწვეული იყვნენ კომპოზიტორები ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი და კ. ფოცხვერაშვილი, დირიჟორი ალ. გველესიანი და სხვები. როდესაც ცომია სცენაზე გამოვიდა, კ. ფოცხვერაშვილმა ბუზღუნით ჩილაპარაკა — „ასეთ ცუდ ამინდში ამისათვის შეგაწუხესო?“ მაგრამ მისმა ხმამ ისე მოხიბლა, რომ სცენაზე პირველი თვითონ აიჭრა და გულმხურვალედ დაულოცა მომავალი.

5. ცომია კონსერვატორიაში ვოკალური ფაკულტეტის მე-3 კურსზე ჩაირიცხა პროფესორ თ. შულგინას კლასში, და დაენიშნა გადიდებული სტიპენდია. ოღლა ბახუტაშვილ-შულგინას ქართული ვოკალური ხელოვნების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის. თავის დროზე თვალსაჩინო საოპერო მომღერალმა ქალმა პედაგოგის დარგში არა ნაკლები ამავე დასდო ეროვნულ საოპერო ხელოვნებას.

6. ცომია შულგინასთან უკვე დაყენებული ხმით მივიდა, მაგრამ ვოკალური კულტურა, მუსიკალური ფრანზის შერწყმა სიტყვასთან და მისი ემოციური განცდა და გამომცემა შულგინასთან შეისწავლა.

კონსერვატორიაში ორი წლის მეცადინეობის შემდეგ ნ. ცომია ოპერის დასში ჩაირიცხეს. თბილისის საოპერო თეატრში მანამდე მეცო-სოპრანოს პარტიებს მხოლოდ რუსები ასრულებდნენ. პირველი პარტიების შემსრულებელი ქართველი მეცო-სოპრანოს გამოსვლას ინტერესით და სიხარულით შეხედნენ როგორც თეატრის მუშაკები, ასევე ქართველი საზოგადოება.

დებიუტი მოეწყო 1930 წელს მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ციციური“. ამავე დღეს დებიუტი ჰქონდა ორ ქართველ მომღერალს. ცირას როლში — თ. ნინუა-ცაცურას, ხოლო ს. გოცირიძეს — მეფის როლში. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველი ეროვნული საოპერო ხელოვნება ხელ-ხელა ფრთებს შლიდა და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა. ქართული ორიგინალური ოპერები ეროვნულ კადრებს მოითხოვდა, ამიტომ ახალი ქართველი მომღერლის გამოჩენა ოპერის სცენაზე ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. სპექტაკლს მრავალი მაყურებელი მოაწვდა. დებიუტანტებმა მაყურებლის წინაშე დიდი ვოკალური შესაძლებლობანი გამოავლინეს, მაგრამ სცენურად იმდენად სუსტი და გამოუცდლები იყვნენ, რომ მთელი მიზანსცენები აურ-დაურეს. დებიუტის შემდეგ ისინი კარგა ხანს აღარ გამოჰყავდათ სცენაზე. რეჟისორი

ალ. წუწუნავა მთელი თავისი შესაძლებლობით, გულმოდგი-
ნედ შეუდგა ახალგაზრდების სცენურ წვრთნას.

ალ. წუწუნავასთან ხანგრძლივმა მუშაობამ კარგი შედე-
გიც გამოიღო. სხვანაირად არც შეიძლებოდა. წუწუნავამ ქარ-
თულ საოპერო ხელოვნებაში შექმნა ახალი ეპოქა, რომელიც
ხასიათდება რეჟისორის გამარჯვებით ინდივიდუალისტ-პრე-
მიერებზე. მისი მოღვაწეობის პერიოდში თეატრში იქნებოდა
მკაცრი მხატვრული ანსამბლური სპექტაკლები, სადაც ყოვე-
ლი დეტალი ფუნქციონალურ ამოცანას ასრულებდა.

საოპერო სპექტაკლში რეჟისორი გახდა სპექტაკლის
ორგანიზატორი, შემთავმხრებელი ყველა მასში შემავალი
ელემენტისა. ალ. წუწუნავას შემოქმედებითი ბიოგრაფია იყო
ბრძოლა ძველი კონსერვატორული მეთოდის წინააღმდეგ, რო-
მელიც თეატრის სპეციფიკად მიიჩნეოდა ცალკეულ მსახიობთა
ბატონობას თეატრში. ხოლო წუწუნავა ქართულ თეატრში
მოვიდა ახალი მსოფლმხედველობით, რომელიც იზიარებდა
მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრაქტიკას, კერძოდ, სახის ში-
ნაგან ფსიქოლოგიურ გახსნას და მის გამოსახვას სცენური
საშუალებებით. ამასთან მან შექმნა ღრმად ეროვნული საოპე-
რო-სასცენო სტილის მთელი ტრადიცია.

ნ. ცომია, რომელსაც არაჩვეულებრივად ლამაზი და
ძლიერი ხმა ჰქონდა, ალ. წუწუნავასათვის სასურველი მასა-
ლა იყო. დაიწყო მძიმე შრომით დატვირთული დღეები. მე-
ცადინეობა ვოკალში, სასცენო ოსტატობაში, პლასტიკის
გაკვეთილები. დღეები ხან იმედინი, ხან უიმედო. ასე გა-
დიოდა დრო.

ერთხელ ცომია მოულოდნელად პლასტიკის გაკვეთილი-
დან გამოიბაძეს და ჰკითხეს — თუ შესძლებ ამ საღამოს ანე-
რისის პარტია იმღერო. საშინლად დაქანებულმა, უარი
მაინც არ თქვა. პარტია კონცერტმეისტერ მ. ანდრონიკაშვი-
ლის ხელმძღვანელობით მუსიკალურად მოზადებული ჰქონ-
და და ყუფილგან საორკესტრად და სცენური მოზანსცენების
გარეშე გავიდა სცენაზე. ეს იყო 1930 წელს, მაშინ თეატრის
წამყვანი მეცო-სოპრანო ლიალინა მოულოდნელად ავად გახ-
და. „აიდა“ იმ დროს მიდიოდა სანდრო ინაშვილის დადგმით.

რეჟისუნტი ამ სპექტაკლის შესახებ წერდა: „ოპერა
„აიდას“ წარმოდგენამ 31 თვეში კიდევ ერთხელ ნაოლად
დადგინტაცა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოპერის რეჟისორთა
მუშაობა ჩვენ ახალგაზრდა არტისტულ ძალებთან მიიღებს
უფრო გვემიან და მტკიცე ხასიათს, ახლო მომავლში ჩვენ არა
თუ აღარ ვეპირდებოდა რეპერტუარის აშენება მოპატენტებული
არტისტების პოტენციაზე დაყრდნობით, არამედ თვითონ
შევძლებთ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლების გარეშე როგორც
საკუთარი რეპერტუარის, ისე ჩვენი მიერ აღზრდილი არტის-
ტული ძალების მიღწევითა გამოფენას. ცომიას მონაწილეო-
ბამ „აიდაში“ მხოლოდ გამაყვინთა წარმოდგენა და მისგან
მას არაჩვეულებრივი სიცოცხლით აღსავსე ელფერი. ძნელია
მოიძებნოს სამდე ისეთი მიდიარი, ლამაზი და ფართო დაი-
პაზონის მეცო-სოპრანი, როგორიცაა ბუნებით დაჯილდოე-
ბულია ცომია. ეს ხმა დამუშავებულია პროფესორ შულგინის
ხელმძღვანელობით. სწორი, მძლავრი და მოქნილია ყველა
ფუნქცია. ანერისის როლის ვოკალური მხარე ცომიას დამუშა-
ვებული აშენს საუკეთესოდ. მისი სცენური გარეგნობა მშვე-
ნიერია, და თუ მის სცენურ განსაზიერებაში მაინც ჰქონდა
ადგილი მამდინიშე უშიშვნელო ნაკოს, ეს უნდა მეწეწროს
ცომიას მოულოდნელ გამოსვლას. (გაზ. „კომუნ-სტი“ 1930
წლის 4 ნოემბერი).



ნ. ცომია — ნინო („კაკო ყაჩაღი“)

რამდენიმე წლის შემდეგ გაზ. „კომუნისტ“ (1934 წ. 23
თებერვალი) აღნიშნავს: „ნ. ცომიას მიდარი ხმობამ მა-
სალა საკუთესოდ ეხმარება ანერისის პარტიას, და ახალ-
გაზრდა მომღერალიც ავიოლად ძლევს როლის ვოკალურ სიძ-
ნელებს! ანერისის სცენიურადც დიდი ნაბიჯია წინ ნ. ცო-
მიასათვის“. ამ რეჟისუნტის მიხედვით, ნ. ცომიას ანერის-
სი თუ მანამდე ვოკალურ მხარესთან შედარებით სცენურად
დაუმუშავებელი ჰქონდა, შემდეგ წლებში ამ მხრივაც ქება
იხსატურებს.

მორიგე გამარჯვება ნ. ცომიას წილად ხვდა თეატრში
ყოფის მთერე წელს. ვალ. გუნიას თარგმანით ქართულ ენაზე
დაიდგა ოპერა „კარმენი“.

კარმენის როლში დანიშნული იყო სამი მომღერალი: პრე-
ისი, ოგზარენკო და ცომია. დამდგმელმა ალ. წუწუნავამ
პრომეისათვის კენჭი აკრია. პირველი სპექტაკლში სიმღერა
ნ. ცომიას შეხვდა. კარმენის სახე ალ. წუწუნავას სრულიად
სხვა ინტერპრეტაციით ჰქონდა გახსნილი. 1-ლ მოქმედებაში
კარმენის ამოცანა იყო დონ-ხოზეში აღედრა სიყვარულის და
სიბრალულის გრძნობა. „ნაბანერას“ კარმენი თოკზე გაწოლი-
ლი მღეროდა; დაპატიმრების შემდეგ, ტირილით ასრულებდა
სიმღერას და დონ-ხოზეც თანდათან კარგავდა წონასწორობას.

ნ. ცომიას კარმენი — ექსპანსიური ქალი დიდ შთაბეჭდი-
ლებას სტივებდა ფინალში; ამას ხელს უწყობდა რეჟისორის
ეფექტიანი მოზანსცენა. გამაგებელი დონ-ხოზე შავ მოსას-
ხამს მოიხსნის და წინ დაეფენს კარმენს. თუ კარმენი მოსას-
ხამზე გადაივლიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მან გადათელა
დონ-ხოზეს სიყვარული. თეატრებში ჩაცმული კარმენი —
ცომია მაკვი გამომეტყველებით უშიშრად დაადგამდა ფეხს
შავ მოსასხამს და იმ წამზე გაფთხრებული დონ-ხოზეს და-
ნით გაგმირბული უშუალოდ ეცემოდა.

პრესამ აღნიშნა ქართულად დადგმული „კარმენის“

მხატვრული გამარჯვება, ამასთან ნ. ცომაიას ზრდა და პერსპექტიულობა.

რეჟისორ ნ. ვ. სმოლიჩის მუშაობამ თბილისის ოპერის თეატრში გარკვეული კვალი გაავლო თეატრის კოლექტივის შემოქმედებაში. ოპერა „პიკის ქალის“ დადგამა დიდი წარმატება მოიპოვა მაყურებელში. სმოლიჩმა „სპექტაკლი მუსიკაზე ააგო, თავისი რეჟისორული განაზრახი და სცენური მოქმედების ელემენტი ზუსტად შეუთანხმა პარტიკურის სასიათს, ოპერის მუსიკალური ქსოვილის ყველა დეტალი მან გახანა მოქმედებით, ესტით, მიმიკით, მიზანსცენებით და ამით მსმენელს მაქსიმალურად დაუახლოვა ჩაიკოვსკის ოპერა“. ასეთი რეჟისორული მუშაობა მსახიობებთან უსათუოდ თავის ნაყოფს გამოიღებდა. ამ ოპერაში ნ. ცომაიამ შეასრულა პოლინას როლი. როგორც ნ. ცომაია იგონებს, პოლინას სახის შექმნაში რეჟისორმა დიდი დახმარება გაუწია. აქტიორული თვალსაზრისით პოლინას როლი მსახიობისათვის დასრულებული სახე იყო.

1935 წელს ნ. ცომაია პეტერ ამირანაშვილთან და ოლღა გილბერტთან ერთად გაემგზავრა ლენინგრადში, კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მათი მიზანი იყო კვალოფიკაციის ამაღლებისათვის დროებით იქ ემუშავათ. სადებიუტო სპექტაკლი სამივეს ოპერა „აიდაში“ დაენიშნათ.

ნ. ცომაია — კარმენი



ნ. ცომაიას ანერესი უნდა ემდგა, პ. ამირანაშვილს — ნასორ, ხოლო გილბერტს — აიდა.

ჯერ კიდევ რეპეტიციაზე, ჯგუფური შემდგომებისას, ცომაიას ხმა ამ ადგილობრივ მომღერლებს შორის დიდი აღწერით განეხილა გამოწვივა. დებიუტისაღმდეგ ინტენსივი გალიერდა. სპექტაკლზე თავი მოიყარეს ლენინგრადის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებმა...

ოპერა „აიდა“ მაღალმხატვრულ დონეზე შესრულდა. თეატრის დირექტორმა შაირომ სპექტაკლის შემდეგ გამოიკვლია ნ. ცომაია და განუცხადა, ამ დღიდან თეატრის დასში ხარ ჩარიცხული. ლენინგრადში ნ. ცომაია წელიწადნახევარს მღეროდა. მის რეპერტუარს შეადგენდა „კარმენი“, „აიდა“, „მაცხა“, „პიკის ქალი“ და სხვ. აქვე მოეზადა ორტრადის პარტია ვაგნერის ოპერა „ლოუნგინში“, მარუას პარტია მუსორგსკის „ხოვანშჩინაში“, აზურენას და ლედი მილფორდის პარტიაში ოპერა „ტრუბადურში“ და „ლუიზა მილერში“.

ნ. ცომაიასთან ლენინგრადში მუშაობდნენ ცნობილი დირიჟორები ვ. ა. დრანიშნიკოვი, დ. ი. პასტიროვი. მას გამოსვლა მოუხდა ვილი ფერნისთან. ლენინგრადის თეატრში ცომაია, ლენიკულ პარტინიორობას უწევდა მომღერლებს პერკოვსკის, უნგრის, მიგაის, სლოვისკის და სხვ.

ნ. ცომაია ილია მაჩაბლის ოჯახში ხშირად ხვდებოდა ლენინგრადში მყოფ ქართველებს: რეჟისორ ს. ახმეტელს, რომელიც ოპერა „თავად იგორს“ დაგამა კიროვის სახელობის ოპერის თეატრში, დირიჟორ ე. მიქელაძეს, რომელიც ეშხა-დებოდა ოპერა „კარმენში“ დებიუტისათვის; ბალეტის სოლისტს ელ. ჩიკაიძეს, ვ. ჭაბუკიანს, რომელიც ამ პერიოდში ლენინგრადის ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ყოველი შეხვედრის დროს იმართებოდა სუა-ბასის ხელოვნებაზე. ნ. ცომაიას აღმდგენენ რჩევა-დარიგებას, ამხნევენდნენ. მათთან საუბარი კეთილ გავლენას ახდენდა ახალგაზრდა მომღერლის შემოქმედებაზე.

1935 წელს, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მომავალ დეკლასთან დაკავშირებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციამ სსრკ ხელოვნების საქვეთა კომიტეტს სთხოვა — მოსკოვსა და ლენინგრადში მყოფი ყველა ქართველი მსახიობი დაებრუნებინა საქართველოში. ამ საკითხზე თბილისის საოპერო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი დირიჟორი ე. მიქელაძე ნ. ცომაიას მოეთათბირა და ურჩია — სამშობლოში შენი დაბრუნებლობა ყოველად შეუძლებელია, თეატრს სწორედ ახლა სჭირდება შენისთანა ძალეობი.

1936 წ. ცომაია კვლავ საქართველოშია. იგი ინტენსიურად ჩაება თეატრის მუშაობაში, კერძოდ, სადგელო სამზადისში. ჩვენი საოპერო თეატრი დგადაზე ოთხი სპექტაკლით წარსდგა. ნ. ცომაია წამყვან პარტიებს ასრულებდა: „დაისში“ — ნანოს, „აბესალომ და ეიფრემი“ — ნათელას, „დარეჯან ცბიერიში“ — დარეჯანს და „ქეთო და კოტეში“ — ბარბალეს.

საკმარისია თვალი გადავაკლოთ მეც-სოპრანოს პარტიებს, რომელთაც ცომაია ამ ოპერებში მღეროდა, რომ დავრწმუნდეთ მის ვოკალურ და სასცენო შესაძლებლობაში. „დაისში“ ნანო სიცოცხლითა და სისხრულით აღსავსე ქალი-შვილია. როდესაც ხატობაში მიმავალი ხალხი მებატონას სახლთან თავს იყრის და ლხინს ეძღვევა (1-ლი მოქმედება), ნანო ამ ლხინის სული და გულია. ნანო ქალთა უფლებების მოსარჩლე და მხარდამჭერი — ტრადიციულ წეს-კანონებზე

მაღლა აყენებს სიყვარულს, რომლითაც შეპყრობილია მისი მეგობარი მარო. ნ. ცომაიას ნინო — თავისუფალი, პირდაპირი, სიცოცხლის სიყვარულით გაღაღებულ ქალია.

ოპერა „აბესალომ და ეფრეში“ კომპოზიტორის აბესალომის დღეა ნათელა გამოყვანილი ჰყავს დინჯ დარბაისელ დედოფალად. ნ. ცომაიას ნათელა ამაყი, ქედსრული დედოფალია და ამავე დროს შვილისადმი თბილი გრძნობებით აღსავსე დედაა. ამ მოთუხბუნური პარტიის გვერდით ოპერა „დარეჯან ციხურში“ ნ. ცომაია დიდი ტემპერამენტით და სიმკვეთრით ანასხიერება პატივმოყვარე დარეჯან დედოფალს, რომელიც წუთიერი ვენებათაღვლევის დასაამბულად სთელავდა ყვოფივგარ მაღალს, ადამიანურს და წმინდას. დარეჯანი ოპერის ცენტრალური ფიგურაა, მისი ვოკალური შესრულება მოითხოვს დიდი დიპლომატიის ხმას, მაღალ პროფესიულობას და დიდ აქტიურულ შესაძლებლობას. ნ. ცომაიას დარეჯანი იძლეოდა პატივმოყვარე, ცბიერი დედოფლის სახეს.

ნ. ცომაიას რეპერტუარში დარეჯანი, კარმენის და ამნერისის გვერდით ერთ-ერთი მთავარი სახე იყო.

ნ. ცომაიამ ვ. დლიძის „ქეთო და კოჭოში“ გამოამჟღავნა სახასიათო როლების შესრულების უნარი — გამოვეჭა ანგარებიანი და გაქნილი მაჭანკალის ბარბაქუს ფრიად კოლორიტული სახე. დეკადაზე, ამ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული როლების ჩინებული განსახიერებით, ნ. ცომაიამ მოსოველი მყურებლისა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დეკადასთან დაკავშირებით ნ. ცომაია საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოვდა. მომდევნო წელს, დასთან ერთად იგი საგასტროლოდ გაემგზავრა ლენინგრადში, სადაც მ.ს. გამოსვლებს კვლავ წარმატება ხედა წილად.

ნ. ცომაიას ოცდაათწლიანი სასცენო მოღვაწეობა არის გზა ტემპარტიკი შემოქმედისა, რომლის მნიშვნელობა, როგორც მეცო-სოპრანოს პარტიების პირველი შემსრულებლისა ქართულ მომღერალთა შორის, უდავოდ დიდია. მისი რეპერტუარი 40-მდე დიდსა და პატარა პარტიას შეიცავს, თვითუღო პარტია მომღერლისათვის არის ახალი სახე, ახალი შემოქმედებითი გამარჯვება. ისეთი როლების გვერდით, როგორც არის დარეჯანი, ამნერისი, აზუჩენა, კარმენი, დალილა, იგი წარმატებით მღერის რუს კლასიკოსთა ოპერებში.

ოპერა „შეფის საცოლემი“ ცოცხლად და განცდილთ გადმოგვეცემს ლიუბაშას შურისძიებით აღსავსე და საყვარელი ადამიანის ღალატით გაბოროტებული ქალის სულიერ დრამას. „პიკის ქალში“ პოლინას, შემდეგ ქინის გრაფინიას მძაფრ და დრამატულ სახეს. „ვეკენი ონეგინში“ ჯერ სიცოცხლით სასვე ოლგას და შემდეგ კი კეთილ და მისიყვარულე გადიას სახასიათო სახეს. „ქოშუმში“ მღერის სოლოხას, „მანუაში“ — ლიუბოვს, „ბორის გოდუნოვიში“ — მარინას, „წყნარ ღონში“ — აქსინიას, „ჯაეშნოსან პოტიომკინში“ — გრუნიას და სხვ.

ნ. ცომაიას შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს აგრეთვე თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე თემაზე დაწერილი ნაწარმოებები.

შ. თაქთაქიშვილის ოპერა „დეპუტატში“ „თავისი ძლიერი და გამომსახველი ხმით მომღერალი ნ. ცომაია იძლევა ღრმა განცდებისა და მტკიცე ნებისყოფის მქონე გლეხი ქალის სახეს, მგრამ მომღერალი ამ პერსონაჟის სცენური შესრულების გამო მოკლებულია საშუალებას ფართოდ გაშალოს

თავისი უტყუარი სცენური ნიჭი და მდიდარი ვოკალური შესაძლებლობანი. ნ. ცომაიას მიერ ნანოს ორი არის შესრულება ურადლებას იპყრობს თავისი ექსპრესიულობით“. ასე აფასებდა მას პრესა.

დიდი სამამულო ომისა და მის მომდევნო პერიოდში ნ. ცომაია წარმატებით ანასხიერებს ვ. გოგიელის პატრიოტულ ოპერა „პატარა კახში“ ელენეს, შ. შუმელიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა“ — ასამოს და ა. კერესელიძის ოპერა „ბაში-აჩუში“ — დილივარდისას. ამ როლებში ნ. ცომაიამ ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი უდავო ნიჭი და ვოკალური შესაძლებლობა.

საბჭოთა საქართველოს 20 წლისთაზე ნ. ცომაიას მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1943 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ნ. ცომაიას სიყვარული სასცენო ხელოვნებისადმი იმდენად ძლიერია, რომ თავისი შემოქმედების მესამე ათეულ წელში იგი ნამდვილი ოსტატობით ანასხიერებს მთელი რიგი ოპერების მეორე პარტიებსაც.

ასე განვლო მან თავისი სასცენო მოღვაწეობის საუკეთესო წლები. ამჟამად ნ. ცომაია ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის პედაგოგია, დიდი ხალისით და სიყვარულით უზიარებს თავის სასცენო გამოცდილებას და ოსტატობას ახალგაზრდა თაობებს — ვოკალური ხელოვნების მომავალ ოსტატებს.

ნ. ცომაია — აზუჩენა („ტრუბადორი“)



ქართული ხალხური ერთხმიანი სიმღერა და მისი მნიშვნელობა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში

დაგმარა სლიანოვა-მიხანდარი

ქართული ხალხური ორი და სამხმიანი სიმღერების მრავალფეროვნების გვერდით ერთხმიანი სიმღერასაც აქვს გარკვეული მხატვრული ღირსება. ქართული ერთხმიანი სიმღერის ძირითადი მრავალფეროვნება, ინტონაციური სახეების გამომსახველობა გახდა არა მარტო მცენიერული კვლევა-ძიების საგნად, არამედ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ კომპოზიტორთა შემოქმედებაშიც. ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერების მსგავსად ერთხმიანი სიმღერაც, იქნება ეს სასიმღერო-ლირიკული, საცეკვაო, თუ თავისებური მელოდია-რეჟიტატივი, წარმოადგენს ინტონაციური სიმდიდრისა და პროფესიული მუსიკის სხვადასხვა ფორმების განვითარების ამოუწურავ საგანძურს.

ქართული ერთხმიანი სიმღერის თავისებურმა მუსიკალურ-პოეტურმა თხრობამ ასახვა ჰპოვა სხვადასხვა ჟანრში (ოპერა, სუიტა, კვარტეტი, რომანსი და სხვ.), ამავე დროს ქართული ერთხმიანობა კომპოზიტორთა პრაქტიკაში შევიდა გადამუშავებული, ციტატის, მრავალფეროვანი გარდატეხისა და ფართო განზოგადების სახით.

ქართული ერთხმიანი სიმღერის ნაციონალური თავისებურება ასახულია სხვადასხვა ჟანრში — შრომის, ნახეობ, საწესის, ისტორიული, საგმირო, ქალაქურ-ლირიკული და სხვ. ხოლო ერთხმიანი სიმღერების ინტონაციური სახეების სიღრმეა და მრავალფეროვნებაზე მიკვირითებს მათი მელოდიური წყობის სხვადასხვაობა. ქართული ერთხმიანი სიმღერის მელოდიკის სპეციფიურობა შეიცვალა არა მარტო ცალკეულ ინტონაციურ ბრუნვებში, სახასიათო მინამდირებში, არამედ იგი განისაზღვრება ამა თუ იმ ჟანრთან დაკავშირებულ გამომსახველ საშუალებათა თანაფარდობით, მუსიკალურ-იერსახოვანი წყობით, რითაც ეს სიმღერები გამოირჩევიან სხვა ერის სიმღერებისაგან. ქართული ერთხმიანი სიმღერა პროფესიულ შემოქმედებაში სხვადასხვა ფორმით შევიდა, რითაც გაამდიდრა ნაწარმოების არა მარტო ინტონაციური, არამედ კოლო-პარმონიული სფეროც. თავის მხრივ ქართული ერთხმიანი სიმღერის ამა თუ იმ შტომ (ქარაილ-კახური, ხევსურული, მეგრული) პროფესიულ მუსიკაში განიცადა თავისებური გარდატეხა და განვითარება კომპოზიტორთა შემოქმედებითი სტილის შესაბამისად (შ. თაქთაქიშვილი, გ. კილაძე, შ. მშველიძე და სხვ.).

პროფესიულ მუსიკაში ქართული ხალხური სიმღერების გამოყენების პირველი ცდები XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიეუთვნება. პირველი გაუბედავი ნაბიჯები ძირითადად ქალაქური ჰანგების დამუშავებას შეეხება და დაკავშირებულია დ. ერისთავის, ფ. ქორიძის, ია კარგა-

რეთელის სახელებთან. ხოლო დამუშავების რამდენადმე რთულ სახეს ეხედებით იპოლიტოვ-ივანოვთან, ვ. რუზინ-შტეინთან, ნ. კლენოვსკისთან და სხვ. ქართული ერთხმიანი სიმღერის გამოყენების ერთეული ცდები, დაკავშირებული ვასული საუკუნის 70-იან წლებთან, შემდგომ დიდ გაქანებას იღებს ქართული კლასიკური მუსიკის აყვავების პერიოდში. ერთხმიანი ხალხური სიმღერების გამოყენება დღესაც ამიდგრებს ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებას.

ქართული ხალხური ერთხმიანი სიმღერის მრავალფეროვანი სახეების გამოყენება პროფესიულ შემოქმედებაში ხსნის სიმღერის გარდატეხის რიგ ხერხებსა და თავისებურებებს. ერთხმიანი სიმღერის ბევრი მელოდია ადრინდელ დამუშავებებში უცვლელი სახით დაელოდა საფუძვლად სხვადასხვა ნაწარმოებს. მათში მთლიანად შენარჩუნებულია სიმღერის სახე და მისი განწყობილება. აქ დამუშავება გამოიხატა ძირითადად ინსტრუმენტულ თანხლებაში, რომელშიც შენარჩუნებულია ქართული ხალხური მუსიკის კოლორიტი და პარმონიული კანონზომიერებანი. ადრეული დამუშავებები, უმეტესად საცეკვაო მელოდიური წყობის ქალაქურ-ლირიკული სიმღერების ნიმუშები, ხასიათდება ფორტეპიანოს პარმონიული თანხლების უბრალო ციტირებით. მათში ჭარბობს ტონიკური სამხმოვანებები და დომინანტ-სუბტონარდები (მაგალითად, კარგაერეთელთან და ქორიძესთან).

ერთხმიანი სიმღერის დამუშავება რთულდება მასში ახალი მასალის — შესავლის ან თავისებური ინტელექტუალის შექნათა, რაც მთლიანად აფართოებს ნაწარმოების მასშტაბს; ამ შემთხვევაშიც ხალხური სიმღერის ძირითადი ხასიათი, მისი შინაარსი უცვლელი რჩება (მაგალითად, ერისთავთან იპოლიტოვ-ივანოვთან და სხვ.). ამასთან, ინტონაციური მრავალფეროვნება და ფორტეპიანო-ლირიკული დაშრება ხალხური სიმღერის ძირითად პანაჯე (რუზინ-შტეინი).

უფროსი თაობის ქართველი კომპოზიტორების მიერ სიმღერების დამუშავებას (მ. ბაღაჩიანი, ზ. ფალაშვილი, დ. არაყიშვილი) ახასიათებს ხალხური თემის ინტონაციურ-რიტმული გარდაქმნა, პარმონიული ენის გამდიდრება, რაც რიგ შემთხვევებში აღრმავეს სიმღერის მუსიკალური სახის შინაარსობრივ მხარეს. დამუშავებული სიმღერის თანხლებას პარმონია და ფაქტურა ხშირად წარმოადგენდა ხალხური სიმღერის მუსიკალურ-პოეტური სახის ღრმა განვითარების შედეგს.

ხალხური ერთხმიანობის შემოქმედებითი გარდატეხა ახასიათებს შემდგომ დამუშავებული სიმღერების დიდ

უმრავლესობას. რომლებიც ინარჩუნებენ კილო-პარმონიული ქცევების ნაციონალურ თავისებურებას. ზოგიერთი ერთხმობიანი სიმღერის დამუშავებისას შეცვლილია სიმღერის სტრუქტურა, გაუართობულია მასშტაბები ორ-სამ ნაწილად ფორმამდე, ვარიაციამდე, კრნდომდე. მუსიკის ისეთი არსებითი მხარე, როგორც ქანრი, მდიდრდება მუსიკალური გამომსახველობის ახალი საშუალებებით.

მთელ რიგ შემთხვევებში ხალხური სიმღერის ქანრი დამუშავების დროსაც ინარჩუნებს თავის დამახასიათებელ თავისებურებებს. მაგალითად, როცა სიმღერა მოცემულია ისეთ ტიპურ პირობებში, როგორშიც ის ხალხში სრულდებოდა (არაყვილი). მაგრამ გვხვდება დამუშავების ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ქანრი იცვლება, თუმცა მუსიკალური სახის საერთო ხასიათი ხალხური ჰანგის ხაზგასმისა და მისი განვითარებისას ხშირ შემთხვევაში უცვლელ რჩება, ან ყოველ შემთხვევაში არ გადადის მის საპირისპიროში.

პროფესიულ მუსიკაში ქართული ხალხური ერთხმობის დამუშავების სხვადასხვა ხერხს ვხვდებით. ზოგიერთ შემთხვევაში ხალხური თემა დამუშავების დასაწყისში უცვლელად არის შენარჩუნებული და მხოლოდ შემდეგ, განმეორებით გატარების დროს მასში ხაზგასმულია ზოგიერთი დეტალი: ავტორის შემოქმედებითი ჩანაფიქრი თითქოს ამაღლება ხალხურ სიმღერაში ჩაქსოვილ გრძნობას. სიმღერის დამუშავების შემდეგი ტიპია თემა ვარიაციებით, სადაც რიგ შემთხვევებში ღრმადდება ჰანგის ქართული ხასიათი. გვხვდება ანართვი ხალხური ჰანგის თავისუფალი, ვარიანტული სახეცვლის შემთხვევებიც.

ქართული ხალხური ერთხმობიანი სიმღერის დამუშავების შემხილი ახალი თვისებები დამყარებულია ძირითადი მუსიკალური სახის დრამატისციის პრინციპზე. ზოგიერთ დამუშავებაში ხალხური სიმღერის ხასიათი არსებითად იცვლება, იღებს ახალ თვისებებს კილო-პარმონიული ფერების თავისებურებათა გამო (მაგ. შველიძე, ცინციძე).

ხალხური სასიმღერო მასალის გამოყენების პრაქტიკაში ვხვდებით ისეთი საშუალებები, როდესაც ხალხური სიმღერის საწყისი მელიოდური ქცევა მუსიკალური თემის შემდგომი გადმოცემის მხოლოდ ამოსავალი წერტილია (მაგ.: ზალანჩივაძის „ნანა“), ან კომპოზიტორი იღებს არა მთლიანად ხალხურ მელიოდიას, არამედ სიმღერის ცალკეულ ჰანგებს და შეეწყობს მას ინტონაციური ხასიათით მახლობელ მასალას (ზ. ფალიაშვილი, მაროს არია „დაისიდან“).

შეჭერდით ხალხური ერთხმობიანი სიმღერების დამუშავების ზოგიერთ დამახასიათებელ მომენტზე.

პირველი პროფესიონალი მუსიკოსი, ვინც ერთხმობიანი სიმღერები დაამუშავა ფორტპიანოსათვის, იყო ია კარგარეთლი, რომელიც ამ სიმღერების პირველ შემსრულებლადაც თითვლება. მაგალითად, გრამაშვილის ტექსტზე დაწერილი ქალაქურ-ლირიკული ერთხმობიანი სიმღერა „თორი ვარდი“. ერთხმობიანი სიმღერის დამუშავების უძველესი ნიმუში მარტო ქალაქური რომანსის ქანრით არ იფარგებოდა. დ. ერისთავს ეკუთვნის ქართულ სიმღერებზე დაწერილი „პოპური“ ფორტპიანოსათვის — ერთ-ერთი პირველი ცდა ხალხურ-სასიმღერო შემოქმედ-

ბის ნიმუშებზე კამერულ-ინსტრუმენტული ქანრის შექმნისას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ხალხური სიმღერის მასალას ხშირად მიმართავდნენ რუსი მუსიკოსებიც. ასე, ე. კლეროვსიმ ხუთი ქართული სიმღერა გადაიტანა ფორტპიანოზე.

რუსულ პროფესიულ მუსიკაში ქართული ერთხმობიანი სიმღერის გამოყენების ადრეულ მაგალითს (1828 წ.) წარმოადგენს ჰანგი, რომელიც გრიბოედოვმა გადასცა გლინკას, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ის საფუძვლად დაუდო თავის რომანსს „ს მღერი, ტურფა, მქმთან“.

ერთხმობიან რთულ ქანრში გამოყენების ნიმუშებია სიმღერა „ბუნდოვან გულსა“, რომელიც შევიდა ა. რუნიშინტინის ოპერაში „დეიონი“ (ქალთა გუნდი I მოქმედებიდან: „მივიღებთ ნათელ არაგვთან“ და „მერთალი ნათელი“ ჩაწერილი და დამუშავებული იპოლიტოვიანოვის მიერ, რომელიც ავტორმა გამოიყენა ოპერაში „დალატი“ (ერკელის არია III მოქმედებიდან).

ქართული ხალხური ერთხმობიანი სიმღერის გამოყენების თვალსაზრისით აღსანიშნავია მე-19 საუკუნის ბოლოს შექმნილი (1896 წ.) იპოლიტოვიანოვის სიმფონიური სუიტა „ივერია“, სადაც ვხვდებით ერთხმობიანი სიმღერის დამუშავების უფრო რთულ ფორმას.

სუიტის პირველ ნაწილს — „ქეღვიან დედოფლის ტირილი“ — საფუძვლად უდგეს ხალხური ერთხმობიანი სიმღერა „ქეთევან დედოფალზე“, რომელიც აქ უცვლელად არის გამოყენებული. იგი განიცდის მხოლოდ პარმონიულ და ფაქტურულ განვითარებას და იღებს დამუშავების ხასიათს. სუიტის ეს ნაწილის პარმონიული ენა კლასიკური მუსიკის საქცევებს ყურდნობა. II ნაწილში („ნანა“) კომპოზიტორმა გამოიყენა ხალხური „იავ-ნანა“. სუიტის მთელი მე-3 ნაწილი, შესავლის გარდა, კახური ლექურის („ქართული“) გადამუშავებული ვარიანტია. სუიტა მთავრდება „ქართული მარშით“. მისი მელიოდა არ წარმოადგენს კონრეტულად რომელიმე ქართულ ხალხურ სიმღერას; იგი ქალაქური ინტონაციების თავისუფალი განზოგადებაა.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ პროფესიულ მუსიკაში ხალხური ერთხმობიანობის გამოყენების ერთ-ერთ პირველ ცდა დაკავშირებულია მელიოდონ ბალანჩივაძის შემოქმედებასთან. ასე მაგალითად, ცირას სიმღერაში





(ოპერა „დარეჯან ციხერი“) შემოქმედებითადაა გამოყენებული ხალხური ერთხმიანი სიმღერის („ბუნდოვან გულსა“) ინტონაცია.

აღსანიშნავია ამავე ოპერიდან მასხარას ორივე სიმღერა, რომელიც დამყარებულია თხრობით-დეკლამაციური ხასიათის ხალხურ რეჩიტატივზე ფანდურის აკომპანიმენტით. ხალხური სახუმარო სიმღერის კანრი ოპერაში მთლიანად შენარჩუნებულია. ქართული ერთხმიანი სიმღერის მელოდიკამ გაამდიდრა ისეთი ნაწარმოებებაც კი, როგორც ზ. ფალაშვილის „აბესალომ და ეთერია“. ამ ოპერაში უფრო მეტად იგრძნობა ქართული ხალხური ერთხმიანობის მხატვრული ღირებულება, როდესაც პანგი ან ცალკეული მელოდიური საქცევი კომპოზიტორის შთაგონებით იძენს ახალ მხატვრულ ღირსებას. მაგალითად, იგივე სიმღერა „ბუნდოვან გულსა“ (ახალი ვარიანტი) დაედო სასუქვლად აბესალომის არიოზოს „მე ბან-ბანად გექმობ“.

Andante con amore A piacere

Handwritten musical score for a vocal and piano piece. It features a vocal line with lyrics and a piano accompaniment. The tempo is marked 'Andante con amore' and 'A piacere'. The score includes dynamic markings like 'p' and 'cresc. poco'.

ამ ხალხური სიმღერის მელოდიურ-თემატური ვარიანტების სიმრავლით და ეროვნულ ხასიათში ღრმა წვდომითაა გაპირობებული არა მარტო აბესალომის არიოზოს, არამედ მთელ რივ სხვა ნაწარმოებთა მხატვრული ღირებულება. მაგალითისათვის დავასახელებთ „თავი ჩემოს“. ეს სიმღერა არსებითად შეიცვალა მალხაისის არიოზო „თავი ჩემო“ („დაისი“). მუსიკალური სახე აქ დრამატიზაციას განიცდის, რომელიც განსაკუთრებით შეიგრძნობა კულმინაციებში (მიქსოლიდიური გაღაბრა მაღალ რევის-ტრში); დრამატიზმისაკენ გადახრა შეინიშნება საორკესტრო შესავალის დასაწყისშივე, სიმღერა მოცემულია ტიპიურ პირობებში და ინარჩუნებს არა მარტო თავის სიუჟეტურ შინაარსს, არამედ უცვლელ ტექსტსაც.

ხალხურ-სასიმღერო საფუძველზეა შექმნილი მალხაისის გამოსვლა („ურმულის“ მოტივზე) იმავე ოპერიდან, რომელსაც ახასიათებს ქართულ-კახური ერთხმიანი ურმული ტიპის სიმღერების დამახასიათებელი ინტონაციები. ხალხურ-სასიმღერო მასალის შემოქმედებითი გარდატეხა შეიგრძნობა მარის არიაშიც „შუქურ ვარსკვლავი“ („დაისი“); ვარიანტული განვითარების ხელოვნება, მდიდარი

და მოქნილი მელოდი, ნაციონალური კოლორიტი — ყოველივე ეს განაპირობებს ქართულ-კახური გულხური და ქალაქური ერთხმიანი ლირიკული სიმღერის ტიპიურ ნიშნებს როგორც მელოდიური წყობის, ისე კილოს სტრუქტურის მიხედვით.

სიმღერის დამუშავების ისეთ მეთოდს, როდესაც ინტონაცია და მხოვანების ხარისხი ინარჩუნებს პირვანდელ სახეს, ვხვდებით პოპულარულ ერთხმიან სიმღერაში „ურმული“, რომელიც გამოყვანად არაყიშვილმა ოპერაში „ოქმულემა შოთა რუსთაველზე“ (I მოქმედება)

Andante

Handwritten musical score for a vocal piece. It features a vocal line with lyrics and a piano accompaniment. The tempo is marked 'Andante'.

